მწერალთა სახლი

საქართველოს წიგნის გამომცემელთა
და გამავრცელებელთა ასოციაცია

მწერალთა სახლი

საქართველოს წიგნის გამომცემელთა
და გამავრცელებელთა ასოციაცია

ქართული წიგნის ბაზრის კვლევა
2016-2020

მომზადებულია „ეისითის“ მიერ
„საქართველოს წიგნის გამომცემელთა და
გამავრცელებელთა ასოციაციისა“
და „მწერალთა სახლისთვის“

ივნისი, 2021

ივნისი, 2021

1. შესავალი 3

2. კვლევის დიზაინი 4

2.1 კვლევის ძირითადი მიზნები 4

2.2 კვლევის მეთოდოლოგია 12

3. კვლევის შედეგები 15

3.1 წიგნის გამომცემლობები 15

3.2 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები 30

3.3 წიგნის სადისტრიბუციო კომპანიები 31

3.4 წიგნის მაღაზიები 37

3.5 ელექტრონული წიგნის მაღაზიები 47

3.6 ბიბლიოთეკები 49

3.7 ლიტერატურული კონკურსები 54

3.8 მკითხველთა კვლევის შედეგები 64

3.9 პანდემიის გავლენა წიგნის ბაზარზე 143

3.10 „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ საქმიანობის მიმოხილვა 159

3.11 „მწერალთა სახლის“ საქმიანობის მიმოხილვა 171

4. რეკომენდაციები 181

რედაქტორი: გვანცა შუბითიძე
კორექტორი: ნატო გორდელაძე
დიზაინი: ნატალია ღლონტი, ნატა ყიფიანი

1. შესავალი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ქართული წიგნის ბაზრის კვლევის ანალიტიკურ ანგარიშს, რომელიც მომზადებულია „ეისითის“ მიერ „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისა“ და „მწერალთა სახლისთვის“.

კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია წიგნის ბაზრის ზოგადი მდგომარეობის შესაფასებლად; არსებული პრობლემების გამოსავლენად; ბაზრის განვითარებისა და მკითხველთა ბაზის გაფართოებისთვის საჭირო სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობისას.

2. კვლევის დიზაინი

2.1 კვლევის ძირითადი მიზნები

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს 2016-2019 წლების სრული სტატისტიკური ინფორმაციის მიღება წიგნის ბაზრის ყველა კომპონენტისა (გამომცემლობები, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, წიგნის მაღაზიები/ელ. მაღაზიები, წიგნის სადისტრიბუციო კომპანიები, ბიბლიოთეკები, მკითხველები) და მათი საქმიანობის შესახებ. ანგარიშში მოცემულია 2020 წლის მონაცემებიც, რომლითაც შესაძლებელია წიგნის სექტორზე პანდემიის გავლენის შედეგების ანალიზი. კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- **ბაზრის განაწილება 2019-2020 პანდემიის გათვალისწინებით:**
  - დიდი გამომცემლობები
  - საშუალო გამომცემლობები
  - პატარა გამომცემლობები
  - რეგიონული გამომცემლობები

- **წიგნის ბაზარი 2016-2019 + 2020 პანდემიის გათვალისწინებით:**
  - შემოსავალი წიგნების საგამომცემლო ფასით გაყიდვიდან
  - პროცენტული ზრდა/კლება

- **წიგნის გამოცემა 2016-2019 + 2020 პანდემიის გათვალისწინებით:**
  - გამოცემული დასახელებები
  - პირველი გამოცემები / ხელახალი გამოცემები
  - ტირაჟი / საშუალო ტირაჟი
  - გაყიდული ეგზემპლარი

- **ქართული და თარგმნილი ლიტერატურა (ყველა კატეგორია, ჯამური მაჩვენებელი) 2016-2019 + 2020 პანდემიის გათვალისწინებით:**
  - გამოცემული დასახელებები
  - ქართული ლიტერატურის მაჩვენებელი
  - თარგმნილი ლიტერატურის მაჩვენებელი

› შემოსავალი კატეგორიების მიხედვით (%) 2016-2019 + 2020 წწ. პანდემიის გათვალისწინებით:

- » „მეინსტრიმული“ (ყველაზე კითხვადი) ლიტერატურა
- » არამხატვრული ლიტერატურა - დოკუმენტური პროზა
- » საბავშვო წიგნები
- » სასკოლო წიგნები / კრებულები
- » აკადემიური და პროფესიული ლიტერატურა
- » სურათებიანი წიგნები
- » ალბომები, წიგნები ხელოვნებაზე
- » რელიგიური თემატიკის წიგნები
- » სხვა (სამუსიკო ნოტებისა და რუკების ჩათვლით)

› ყველაზე დიდი გამომცემლობა 2019 + 2020 წწ. პანდემიის გათვალისწინებით:

- » შემოსავალი გაყიდული წიგნებიდან 2018 წელს
- » შემოსავალი გაყიდული წიგნებიდან 2019 წელს
- » შემოსავალი გაყიდული წიგნებიდან 2020 წელს

› 10 ყველაზე დიდი გამომცემლობა 2020 წელს შემდეგი მიმართულებებით:

- » მხატვრული ლიტერატურა
- » არამხატვრული ლიტერატურა, დოკუმენტური პროზა
- » თარგმნილი ლიტერატურა
- » საბავშვო ლიტერატურა
- » აკადემიური და პროფესიული ლიტერატურა
- » წიგნები ხელოვნებაზე / ალბომები

› წიგნის საშუალო ფასი 2016-2020 წლებში (Gel / Euro) ზოგადად და კატეგორიების მიხედვით:

- » მხატვრული ლიტერატურა
- » არამხატვრული ლიტერატურა, დოკუმენტური პროზა
- » თარგმნილი ლიტერატურა
- » საბავშვო ლიტერატურა
- » აკადემიური და პროფესიული ლიტერატურა
- » წიგნები ხელოვნებაზე / ალბომები

- **დისტრიბუცია 2016-2020 / სადისტრიბუციო ბაზრის წილი:**
  - წიგნის მაღაზიები
  - ელექტრონული კომერცია (გაყიდვები ინტერნეტით)
  - არასპეციალიზებული მაღაზიები და სივრცეები (მარკეტები, აფთიაქები და სხვა)
  - კარდაკარის პრინციპი, სატელეფონო გაყიდვები
  - B2B
  - წიგნის ბაზრობები და ფესტივალები
  - ელექტრონული წიგნები

- **სადისტრიბუციო არხები (რა ფორმით ავრცელებენ გამომცემლები წიგნებს მაღაზიებში):**
  - დისტრიბუტორების გავლით
  - პირდაპირ მაღაზიებთან თანამშრომლობა
  - საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი

- **ელექტრონული კომერციის თემა:**
  - პანდემიის გათვალისწინებით როგორ გაიზარდა/შემცირდა მისი წილი
  - როგორ მიაწოდებენ მკითხველს

- **ქართული და თარგმნილი ლიტერატურა 2016-2020:**
  - ქართული ლიტერატურა უცხო ენებზე: 2016-2020 წლებში გამოცემული თარგმანები (ენა / ჟანრი / ტირაჟი)
  - უცხოური ლიტერატურა ქართულ ენაზე: 2016-2020 წლებში გამოცემული თარგმანები (ენა / ჟანრი / ტირაჟი)
  - „ბესტსელერები“ 2019-2020: მხატვრული ლიტერატურა / არამხატვრული ლიტერატურა

- **გამომცემლების მარკეტინგი 2019-2020:**
  - ინფორმაცია გამომცემლობების მარკეტინგული აქტივობების შესახებ

- **წიგნის ბაზრობები 2016-2020:**
  - ადგილობრივ და საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე ქართული გამომცემლობების მონაწილეობა

- **ლიტერატურული პრემიები 2016-2020:**
  - ინფორმაცია საქართველოში არსებული ლიტერატურული პრემიების და ჯილდოების შესახებ

- **ბიბლიოთეკები 2016-2020:**
  - საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველთა რაოდენობა
  - ბიბლიოთეკების რაოდენობა (სულ, საჯარო, აკადემიურ-საგანმანათლებლო, პროფესიული)
  - საჯარო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების შევსება (წყარო / სიხშირე)
- **პანდემიის გავლენა წიგნის ბაზრის თითოეულ კომპონენტზე (წიგნის მაღაზიები, გამომცემლობები, დისტრიბუტორები, მკითხველები, ბიბლიოთეკები)**

მკითხველთა ჩვევები - წიგნიერების დონე 2019-2020

- **მკითხველის და მყიდველის %-ული შეფარდება:**
  - მკითხველი
  - მყიდველი

- **უკანასკნელი 12 თვის მანძილზე წაკითხული წიგნების რაოდენობა:**
  - არც ერთი
  - 1-დან 6 წიგნამდე
  - 7 და მეტი წიგნი

- **წიგნის მიღების წყარო:**
  - ფიზიკურად შეძენა წიგნის მაღაზიაში ან სხვა კომერციულ ადგილას
  - ნაბეჭდი წიგნის შეძენა ონლაინმაღაზიების საშუალებით
  - ელექტრონული წიგნი
  - კერძო / პირადი ბიბლიოთეკა, მეგობრებისგან / ოჯახისგან თხოვება
  - სკოლის ბიბლიოთეკა
  - საჯარო ბიბლიოთეკა
  - კერძო ბიბლიოთეკა
  - არალიცენზირებული ჩამოტვირთვა ინტერნეტიდან
  - სხვა

› სად ყიდულობს მკითხველი წიგნებს:

- » წიგნის მაღაზიები
- » ელექტრონული კომერცია (გაყიდვები ინტერნეტით)
- » უშუალოდ გამომცემლებისგან
- » ელექტრონული წიგნები
- » წიგნის ფესტივალები/ბაზრობები
- » ტელემარკეტინგი
- » ბუკინისტები
- » პრესის გამავრცელებელი ჯიხურები
- » არასპეციალიზებული მაღაზიები და სივრცეები (ჰიპერმარკეტები, აფთიაქები, ა. შ.)

› რა სიხშირით ყიდულობს ქართველი მკითხველი წიგნს:

- » თვეში ერთხელ მაინც
- » ორ-სამ თვეში ერთხელ
- » წელიწადში ერთხელ

› ჯამურად დაახლოებით რამდენ ლარს ხარჯავს მკითხველი წელიწადში წიგნებზე:

- » 50 ლარზე ნაკლებს
- » 50-100 ლარს
- » 100-200 ლარს
- » 200-500 ლარს
- » 500-1000 ლარს
- » 1000 ლარზე მეტს

› უცხოენოვანი ლიტერატურის შეძენისას

- » რომელ სხვა ენებზე ყიდულობენ
- » უცხო ენებზე რა კატეგორიის/ჟანრის წიგნებს ყიდულობენ

› რა კატეგორიის ლიტერატურას ყიდულობს ქართველი მკითხველი? (ქართული ლიტერატურა / თარგმნილი ლიტერატურა):

მხატვრული ლიტერატურა

- » თანამედროვე ლიტერატურა
- » კლასიკა / თანამედროვე კლასიკა
- » ლიტერატურა მოზარდებისთვის / თინეიჯერებისთვის (Young Adult)
- » ფანტასტიკა, ფენტეზი
- » დეტექტივი, ჰორორი, მისტიკა
- » სამეცნიერო ფანტასტიკა, უტოპია
- » კომიქსი, გრაფიკული რომანი
- » დრამატურგია
- » პოეზია
- » საბავშვო და სურათებიანი/ილუსტრირებული წიგნები
- » სხვა

არამხატვრული ლიტერატურა

- » სამეცნიერო-პოპულარული (იგულისხმება შედარებით გამარტივებული ენით დაწერილი სამეცნიერო წიგნები)
- » ესეისტიკა და კრიტიკა
- » ბიოგრაფიები, მემუარები, წერილები, დღიურები
- » წიგნები ხელოვნებაზე / ალბომები
- » ისტორია, პოლიტიკა, კულტურა
- » წიგნები თვითგანვითარებისთვის
- » რელიგია
- » პროფესიული / დარგობრივი / აკადემიური / სასწავლო ლიტერატურა
- » სამოგზაურო/ტურისტული, გეოგრაფიული, ატლასები, რუკები
- » კულინარიული წიგნები
- » ენციკლოპედიები, ლექსიკონები, გზამკვლევები
- » სხვა

› რა ჟანრის ლიტერატურას კითხულობს ქართველი მკითხველი:

- » მოთხრობა
- » ნოველა
- » რომანი
- » დრამატურგია (ტრაგედია, კომედია)
- » ესეები
- » ლექსი
- » იგავ-არაკი
- » ჰაგიოგრაფია
- » ზღაპარი / თქმულება
- » ეპისტოლარული
- » პოემა
- » ეპოსი / საგა / ბალადა / თქმულება
- » ჰიმნოგრაფია
- » სხვა

› რა ფაქტორები ახდენენ მკითხველზე გავლენას წიგნის შერჩევის/შეძენის დროს:

- » წიგნის შინაარსი/ანოტაცია
- » ავტორი
- » ვიზუალი/გარეკანი
- » წიგნის ფასი
- » ფასდაკლების აქციები
- » სერიული გამოცემები
- » გამოცემის ხარისხი
- » წიგნის ცნობადობა
- » წიგნის ეკრანიზაცია
- » სხვა

› როგორ არჩევს მკითხველი შესაძენ წიგნებს:

- » თავად არჩევს
- » მეგობრის/ოჯახის წევრის რჩევით
- » ინტერნეტში/სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციით ან რეკლამით
- » რადიო ან სატელევიზიო რეკლამით
- » ჟურნალ-გაზეთებში განთავსებული ინფორმაციით
- » მაღაზიის კონსულტანტის რჩევით
- » სხვა

› რისთვის/რა მიზნით ყიდულობს მკითხველი წიგნებს:

- » კონკრეტული წიგნისადმი ინტერესის გამო
- » კითხვა ანიჭებს სიამოვნებას
- » ზოგადი განათლების/ცოდნის დონის ამაღლება
- » პირადი ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად
- » სასაჩუქრედ
- » სხვა

› რა სიხშირით კითხულობს ქართველი მკითხველი წიგნს:

- » ყოველდღიურად
- » 2-3 დღეში ერთხელ
- » დაახლოებით კვირაში ერთხელ
- » დაახლოებით თვეში ერთხელ
- » ორ-სამ თვეში ერთხელ
- » წელიწადში ერთხელ

› ჰყავთ თუ არა 7 წლამდე ასაკის შვილი? კითხულობენ / ყიდულობენ თუ არა მათთვის წიგნებს?

2.2 კვლევის მეთოდოლოგია

ქართული წიგნის ბაზრის ყველა კომპონენტის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, კვლევის ფარგლებში განისაზღვრა შემდეგი სამიზნე სეგმენტები, რომლებიც მეტ-ნაკლებად მოიცავს წიგნის ბაზრის ყველა მოთამაშეს:

- საქართველოში მოქმედი გამომცემლობები, რომლებიც გამოსცემენ მხატვრულ / არამხატვრულ ლიტერატურას
- საქართველოში მოქმედი წიგნის დისტრიბუტორები
- საქართველოში მოქმედი წიგნის მაღაზიები
- საქართველოში მოქმედი ელექტრონული წიგნების მაღაზიები
- კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, რომლებიც ლიტერატურას კომერციული მიზნით გამოსცემენ
- საქართველოში მოქმედი ბიბლიოთეკები, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
- მხატვრული ლიტერატურის მკითხველები

მიზნიდან და ამოცანებიდან, ასევე სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდოლოგიის კომბინაცია:

- მეორეული ინფორმაცია – კვლევის ფარგლებში ეისითიმ გამოითხოვა ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებიდან, მათ შორის: „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“, „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“, „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“, „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“, „მწერალთა სახლი“, მუნიციპალიტეტების ცენტრალური ბიბლიოთეკები. ასევე საქართველოში მოქმედი უმაღლესი სასწავლებლები, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, ელექტრონული წიგნების მაღაზიები.
- პირველადი ინფორმაცია – საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების მიზნით, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შემდეგი ტექნიკები:

- ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ წიგნის გამომცემლობების, დისტრიბუტორებისა და მაღაზიების ხელმძღვანელებთან წინასწარ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. დეტალური დიზაინი იხილეთ ცხრილში №1.

კვლევის მეთოდოლოგია – ცხრილი №1	
მეთოდი	რაოდენობრივი კვლევა
ტექნიკა	პირისპირი / თვითადმინისტრირებადი ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	წიგნის გამომცემლობები, დისტრიბუტორები და მაღაზიები
ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა	• გამომცემლობები – 32 ინტერვიუ • დისტრიბუტორები – 4 ინტერვიუ • მაღაზიები – 12 ინტერვიუ
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი შერჩევა
კვლევის არეალი	საქართველო
ინტერვიუს ხანგრძლივობა	35-45 წუთი

- პირისპირ ინტერვიუ მხატვრული ლიტერატურის მკითხველებთან, წინასწარ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. აღნიშნული კომპონენტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს დიდი ქალაქების მცხოვრებთა მიერ წიგნის შეძენასა და კითხვასთან დაკავშირებული პრეფერენციების განსაზღვრა. დეტალური დიზაინი იხილეთ ცხრილში №2.

კვლევის მეთოდოლოგია – ცხრილი №2	
მეთოდი	რაოდენობრივი კვლევა
ტექნიკა	პირისპირ ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	16 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანები, რომელთაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში წაუკითხავთ მინიმუმ 1 მხატვრული წიგნი სრულად.
ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა	1000 დასრულებული ინტერვიუ
შერჩევის მეთოდი	ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატიფიკაციის მეთოდით
კვლევის არეალი	თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი, ზუგდიდი, გორი
ინტერვიუს ხანგრძლივობა	20-25 წუთი

- ჩაღრმავებული ინტერვიუ წიგნის მსხვილ და მცირე გამომცემლობებთან, ასევე მსხვილ და მცირე მაღაზიებთან, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისა და საბიბლიოთეკო ასოციაციის წარმომადგენლებთან. კომპონენტის მიზანს წარმოადგენდა, კიდევ უფრო სიღრმისეულად შესწავლილიყო თითოეული აღნიშნული მიმართულებით დღეს ბაზარზე არსებული მდგომარეობა. დეტალური დიზაინი იხილეთ ცხრილში №3.

კვლევის მეთოდოლოგია – ცხრილი №3	
მეთოდი	თვისებრივი კვლევა
ტექნიკა	ჩაღრმავებული ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	წიგნის გამომცემლობები, მაღაზიები, ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია
ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა	**სულ 6 ინტერვიუ:** • მსხვილი გამომცემლობა – 1 ინტერვიუ • მცირე გამომცემლობა – 1 ინტერვიუ • მსხვილი მაღაზია – 1 ინტერვიუ • მცირე მაღაზია – 1 ინტერვიუ • საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა – 1 ინტერვიუ • საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია – 1 ინტერვიუ
კვლევის არეალი	თბილისი
ინტერვიუს ხანგრძლივობა	30-40 წუთი

3. კვლევის შედეგები

3.1 წიგნის გამომცემლობები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2021 წლის მონაცემებით, საქართველოში წიგნის გამომცემელი, დაახლოებით 150 კომპანია ფიქსირდება. მათი აბსოლუტური უმრავლესობა თბილისშია თავმოყრილი და სტატისტიკის სამსახურის მიერ წლიური ბრუნვისა და დასაქმებულთა რაოდენობის დათვლის ახალი მეთოდოლოგიის[1] გათვალისწინებით, მცირე საწარმოს წარმოადგენს. რეგიონებში ერთეულ გამომცემლობებს შეხვდებით ბათუმში, ქუთაისში, ხელვაჩაურში, კასპსა და გორში.

საქართველოში მოქმედი წიგნების გამომცემლობების განაწილება ზომის მიხედვით



153 / 100%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2021 წ.

1 **მსხვილი** ზომის საწარმოებს განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 250 კაცს (ძველი მეთოდოლოგიით – 100) ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს (ძველი მეთოდოლოგიით – 1.5 მლნ.).

საშუალო ზომის საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 5-დან 249 კაცის ჩათვლით (ძვ. მეთოდოლოგიით – 20-დან 99 კაცის ჩათვლით), ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ. ლარამდე (ძვ. მეთოდოლოგიით – 0.5 მლნ. ლარიდან 1.5 მლნ. ლარამდე).

მცირე ზომის საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 49-ს (ძვ. მეთოდოლოგიით – 19), საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა კი – 12 მლნ. ლარს (ძვ. მეთოდოლოგიით – 0.5 მლნ.).

აღნიშნულ კომპანიებს შორის შეირჩა 50-მდე ორგანიზაცია, რომელთათვისაც წიგნების გამოცემა ძირითადი საქმიანობაა და ბოლო 5 წლის მანძილზე ამ მიმართულებით მუშაობენ. მათ შორის კვლევაში ჩართვის მზაობა 32-მა კომპანიამ გამოთქვა, რომელთაგან ორი რეგიონული გამომცემლობაა. გამოკითხულთა შორის, ყველაზე გამოცდილი კომპანია საქმიანობის თითქმის ნახევარსაუკუნოვან ისტორიას ითვლის, ყველაზე ახალგაზრდა კი 2-ს, თუმცა კომპანიების ნახევარზე მეტი მინიმუმ 15 წელია ოპერირებს ბაზარზე. მოცემული მომენტისთვის აღნიშნული 32 კომპანია ჯამში 300-ზე მეტ მუდმივ თანამშრომელს აერთიანებს, რომელთა რაოდენობა პერიოდულად, შესაძლოა, 400 დროებით დასაქმებულით გაიზარდოს.

საგამომცემლო ბიზნესი ნაკლებად მიიჩნევა მაღალშემოსავლიანად – მხოლოდ რამდენიმე კომპანიას უფიქსირდება 2020 წლის განმავლობაში 0,5 მლნ ლარზე მაღალი წლიური ბრუნვა (დღგ-ს გარეშე). არის შემთხვევები, როდესაც გამომცემლობები საკუთარ სადისტრიბუციო კომპანიას ან მაღაზიას ფლობენ, რომლის დახმარებითაც ვრცელდება მათ მიერ დაბეჭდილი წიგნები.

მოცემულ კვლევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა რამდენიმე მნიშვნელოვანმა გამომცემლობამ, რომელთა პასუხები, სავარაუდოდ, გარკვეულ გავლენას იქონიებდა შედეგებზე. მიუხედავად ამისა, ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები იძლევა ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნის საშუალებას, რადგან მოიცავს დარგის წამყვანი კომპანიების უმრავლესობას.

საგამომცემლო საქმიანობა

კვლევაში მონაწილე კომპანიების (32 გამომცემლობა) მიერ 2016-2020 წლების განმავლობაში ჯამში დაახლოებით 5000-მდე ახალი (პირველადი) წიგნია გამოცემული, რომელიც აერთიანებს ნებისმიერი ჟანრისა და კატეგორიის ლიტერატურას. გამოცემული წიგნების რაოდენობის ყოველწლიური ზრდის ტენდენცია 2019 წლიდან ირღვევა, რაც პანდემიას უნდა მიეწერებოდეს. ამ დროს გამოცემული წიგნების ჯამური რაოდენობა 13%-ით ჩამოუვარდება 2019 წლის მაჩვენებელს, რაც მეტწილად, პირველადი გამოცემების შემცირებითაა გამოწვეული.

წიგნების გამოცემა 2016-2020 წლების მიხედვით[2]

	2016	2017	2018	2019	2020
გამოცემული დასახელებების რაოდენობა ჯამში	1,419	1,578	1,784	1,780	1,542
პირველადი გამოცემების რაოდენობა	938	1,064	1,279	1,136	860
განმეორებითი გამოცემების რაოდენობა	272	304	298	440	489

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 32 გამომცემლობასთან

რესპონდენტთა მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული ნებისმიერი ჟანრის და კატეგორიის პირველადი და განმეორებითი წიგნების ჯამური რაოდენობის მიხედვით, გამოვლინდა ლიდერთა ათეული, რომელთა შორის ორ კომპანიაზე („პალიტრა L“ და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“) მოდის გამოცემული წიგნების ნახევარზე მეტი. საგულისხმოა, რომ აღნიშნული კომპანიები ლიდერობენ როგორც გამოცემული დასახელებების რაოდენობით, ასევე მათი ჯამური ტირაჟითაც.[3]

2 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ასახავს კვლევაში მონაწილე 32 გამომცემლობის საერთო შედეგებს, რაც ნაკლებია ბაზარზე მოქმედი ყველა გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი წიგნების ჯამურ რაოდენობაზე.

3 კვლევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ბაზრის რამდენიმე მნიშვნელოვანმა მოთამაშემ (მაგ., „ქარჩხაძის გამომცემლობა“, „დიოგენე“, „ელფის გამომცემლობა“), რომელთა პასუხები, სავარაუდოდ, შეცვლიდა წარმოდგენილ ათეულს როგორც წიგნების დასახელებების რაოდენობის, ასევე ჯამური ტირაჟის შემთხვევაში.

TOP 10 კომპანია 2016-2020 წლებში გამოცემული წიგნების ჯამური რაოდენობის მიხედვით



წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 32 გამომცემლობასთან

2016-2020 წლებში გამოცემული წიგნების კატეგორიების ანალიზისას იკვეთება, რომ „პალიტრა L“ და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ წამყვან პოზიციას ინარჩუნებენ ყველაზე მეტი და მრავალფეროვანი წიგნების გამოცემისას, თუმცა ლიდერთა სამეული შემდეგნაირად იცვლება კატეგორიების მიხედვით:

ლიდერთა სამეული ყველაზე მეტი დასახელების წიგნის გამოცემის მიხედვით

მხატვრული ლიტერატურა	არამხატვრული ლიტერატურა	სასკოლო სახელმძღვა-ნელოები	საბავშვო ლიტერატურა	აკადემიური ლიტერატურა	წიგნები ხელოვნებაზე
გამომცემლობა „პალიტრა L“	გამომცემლობა „პალიტრა L“	„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“	გამომცემლობა „პალიტრა L“	გამომცემლობა „მერიდიანი“	გამომცემლობა „პალიტრა L“
„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“	გამომცემლობა „არტანუჯი“	გამომცემლობა „მერიდიანი“	„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“	გამომცემლობა „პალიტრა L“	გამომცემლობა „კალმოსანი“
გამომცემლობა „ინტელექტი“	გამომცემლობა „ინტელექტი“	გამომცემლობა „შემეცნება“	გამომცემლობა „ზებრა ჯგუფი“	გამომცემლობა „ნეკერი“	„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 32 გამომცემლობასთან

განხილულ კატეგორიებს შორის ყველაზე კონკურენტული გარემო მხატვრული და არამხატვრული წიგნების გამოცემისას აღინიშნება, ამ საქმეს ყველაზე მეტი გამოკითხული კომპანია ემსახურება. შედარებით მცირე რაოდენობის კომპანია მუშაობს სასკოლო სახელმძღვანელოებსა და ხელოვნებასთან დაკავშირებულ წიგნებზე.

ბოლო 5 წლის მანძილზე კომპანიების მიერ გამოცემული წიგნების ტირაჟიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ლიტერატურა საშუალოდ 1000-იანი ტირაჟით იბეჭდება, თუმცა ბაზარზე აღმოაჩენთ როგორც 7500-იან, ასევე 40 ეგზემპლარიან წიგნებსაც.

გამოცემული წიგნების ტირაჟი 2016-2020 წლების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020
სრული ტირაჟი	2,168,937	3,236,588	3,697,722	3,415,536	2,780,274
საშუალო ტირაჟი	983	1,020	1,291	1,090	972
მაქსიმალური ტირაჟი	2,520	3,500	7,500	3,500	3,000
მინიმალური ტირაჟი	40	40	50	50	50

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 32 გამომცემლობასთან

კვლევაში მონაწილე კომპანიების მონაცემებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ წლის განმავლობაში დაახლოებით 2-3 მლნ ეგზემპლარი იყიდება, მიღებული შემოსავალი კი 17-20 მლნ ლარის ფარგლებში მერყეობს. წიგნების რეალიზაცია 2019 წლამდე ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს გაყიდვის მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა (თითქმის 1 მლნ-ით), შემოსავალმა მხოლოდ 5%-ით დაიკლო, რაც წინა წლებთან შედარებით, წიგნების გაზრდილი ფასით უნდა აიხსნას.

ბოლო 5 წელში საქართველოში გამოცემულ წიგნებს შორის ყველაზე ხშირად უცხოურიდან ქართულად თარგმნილ ლიტერატურას შეხვდებით, რომელსაც მხოლოდ მცირედით ჩამოუვარდება ქართულენოვანი ნაწარმოებები. აღნიშნულს განაპირობებს, ერთი მხრივ, შედარებით მეტი წიგნის თარგმნა გამოსაცემად, მეორე მხრივ კი, მცირედით მაღალი ტირაჟი. საგულისხმოა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქართულად თარგმნილი წიგნების გამოცემის ტენდენცია კლებადია (56%-დან 46%-მდე), უცხოენოვანი წიგნების შემთხვევაში კი მცირედი მატება აღინიშნება (3%-დან 7%-მდე).

გამოკითხულ კომპანიებს შორის საავტორო უფლების გაყიდვის პრეცედენტი 9 გამომცემლობაში ფიქსირდება, რომლებიც ჯამში 30-40 უფლებას ყიდიან წლის მანძილზე. შედეგად, ქართული წიგნები არაერთ ქვეყანაში გამოიცემა.

გამოცემული კატეგორიის წიგნების პროცენტული განაწილება ენის მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020	წილი ტირაჟში
ქართულენოვანი წიგნები	37%	39%	46%	45%	44%	45%
უცხოურიდან ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნები	49%	56%	48%	47%	46%	52%
უცხოენოვანი წიგნები	4%	3%	4%	7%	7%	3%

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 32 გამომცემლობასთან

უცხო ენიდან თარგმნილი წიგნების წილის გათვალისწინებით, სიახლეს არ უნდა წარმოადგენდეს, რომ კვლევაში მონაწილე კომპანიათა უმრავლესობას (≈70%) გამოუცია მინიმუმ 1 წიგნი ამ კატეგორიიდან ბოლო 5 წლის განმავლობაში. მათ შორის ყველაზე აქტიურად თარგმნილია მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურა, შედარებით ნაკლებად კი – სასკოლო წიგნები და ლექსიკონები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელთა თარგმანების გამოცემის კუთხით, 2020 წელს მცირედი მატება აღინიშნება.

გამოცემული თარგმნილი წიგნების კატეგორიები

	2016	2017	2018	2019	2020
მხატვრული ლიტერატურა	45%	45%	39%	45%	45%
არამხატვრული, დოკუმენტური ლიტერატურა	36%	40%	48%	41%	45%
საბავშვო ლიტერატურა	27%	35%	35%	36%	32%
აკადემიური და პროფესიული ლიტერატურა	27%	25%	26%	27%	27%
წიგნები ხელოვნებაზე / ალბომები	14%	15%	17%	14%	14%
სასკოლო წიგნები / კრებულები	5%	5%	4%	5%	9%
ლექსიკონები					5%

წყარო: გამომცემლობები, რომელთაც გამოუციათ უცხო ენიდან თარგმნილი წიგნები (N=22)

აღნიშნული თარგმანების ორიგინალი ენა უმეტესად ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული, იტალიური, თურქული და ესპანურია, თუმცა ერთეულ შემთხვევაში გვხვდება თარგმანები: შვედურიდან, ფინურიდან, ნორვეგიულიდან, პორტუგალიურიდან, ბერძნულიდან, ჩინურიდან, იაპონურიდან, პოლონურიდან, უკრაინულიდან, არაბულიდან, სპარსულიდან, ლათინურიდან, ებრაულიდან, სომხურიდან და აზერბაიჯანულიდან.

2020 წელს გამოცემული თარგმნილი წიგნების ორიგინალი ენა



შენიშვნა: შედეგები დათვლილია 22 გამომცემლობისთვის

გამოცემული წიგნების რაოდენობისა და მათი ტირაჟის გათვალისწინებით, ლოგიკურია, რომ წიგნების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლით კვლავ „პალიტრა L“ და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ ლიდერობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილში წარმოდგენილი ათეული უცვლელია ბოლო 5 წლის განმავლობაში, მცირე გამონაკლისით: 2019 და 2020 წლებში ლიდერებს შორის ხვდება საბავშვო გამომცემლობა „ზებრა ჯგუფი“, 2020 წელს კი მას გამომცემლობა „სეზანიც“ უერთდება. სავარაუდოდ, აღნიშნული სია განიცდიდა გარკვეულ ცვლილებას ბაზრის რამდენიმე მნიშვნელოვან მოთამაშეს („ქარჩხაძის გამომცემლობა“, „დიოგენე“, „ელფის გამომცემლობა“) რომ მიეღო კვლევაში მონაწილეობა.

გამომცემლობების მიერ მიღებული შემოსავალი 2016-2020 წლების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020
გაყიდული ეგზემპლარები (ცალი)[4]	2,917,299	2,996,964	3,513,410	3,428,242	2,510,916
შემოსავალი გაყიდული წიგნებიდან (ლარი)[5]	17,278,147	17,133,447	19,289,509	20,364,809	19,258,459

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 32 გამომცემლობასთან

TOP 10 კომპანია 2016-2020 წლებში წიგნების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით[6]

1	გამომცემლობა „პალიტრა L“
2	„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
3	გამომცემლობა „ინტელექტი“
4	გამომცემლობა „არტანუჯი“
5	გამომცემლობა „ბაკმი“
6	გამომცემლობა „მერიდიანი“
7	გამომცემლობა „კლიო“
8	გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“
9	გამომცემლობა „შემეცნება“
10	გამომცემლობა „აგორა“

4 მოცემული ჯამური რაოდენობა ასახავს კვლევაში მონაწილე მხოლოდ 20 გამომცემლობის შედეგს. გამომდინარე იქიდან, რომ დარჩენილმა კომპანიებმა თავი შეიკავეს ზუსტი მონაცემების გაზიარებისგან, მათ მიერ გამოშვებული წიგნების ჯამურ ტირაჟზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახდა იმის განსაზღვრა, დაახლოებით რამდენი წიგნით გაიზრდებოდა გაყიდული ეგზემპლარების რაოდენობა, თუ ყველა მათგანი სრულად შეძლებდა მოცემულ წლებში გამოშვებული წიგნების რეალიზებას. შედეგად, ცხრილში მოცემული მაჩვენებლები საუკეთესო შემთხვევაში გაიზრდებოდა შემდეგით: 2016 წ. – 160,400; 2017 წ. – 159,150; 2018 წ. – 172,140; 2019 წ. – 246,150; 2020 წ. – 218,150 ცალი.

5 მოცემული ჯამური შემოსავალი ეყრდნობა კვლევაში მონაწილე მხოლოდ 25 კომპანიის შედეგს, რადგან გამომცემელთა მცირე ნაწილმა არ ისურვა მონაცემების გაზიარება. მათ მიერ რეალიზებული წიგნების ჯამური რაოდენობის და ერთეული წიგნის საშუალო ფასის გათვალისწინებით, შესაძლებელია საორიენტაციო შემოსავლის დათვლა თითოეული წლისთვის. შედეგად, იმ დაშვებით, რომ დარჩენილმა კომპანიებმა შეძლეს გასული 5 წლის განმავლობაში ყველა გამოცემული წიგნის რეალიზაცია მათ მიერ დაფიქსირებული საშუალო ფასით, ცხრილში მითითებულ შემოსავალს საუკეთესო შემთხვევაში დაემატებოდა: 2016 წ. – 1,695,200 ლარი; 2017 წ. – 1,749,425 ლარი; 2018 წ. – 2,163,000 ლარი; 2019 წ. – 3,111,100 ლარი; 2020 წ. – 2,970,650 ლარი.

6 კონფიდენციალობის დაცვიდან გამომდინარე, კომპანიების პროცენტული მაჩვენებლები არ არის წარმოდგენილი.

გამომცემლების შემოსავლის 26-28%-ს უზრუნველყოფს ე. წ. „მეინსტრიმული“, ყველაზე კითხვადი ლიტერატურა. მას მოსდევს დოკუმენტური პროზა (15%-19%), აკადემიური და პროფესიული ლიტერატურა (15%-19%), სასკოლო სახელმძღვანელოები (16%-18%) და საბავშვო ლიტერატურა (11-13%). აღნიშნულ 5 კატეგორიაზე მოდის კვლევაში მონაწილე გამომცემლობების აბსოლუტური უმრავლესობის შემოსავლის უდიდესი წილი (87%-92%), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში სასკოლო და საბავშვო წიგნების წილის მცირედით შემცირების ტენდენცია აღინიშნება.

წიგნების ყველაზე შემოსავლიანი კატეგორიები

	2016	2017	2018	2019	2020
„მეინსტრიმული“ (ყველაზე კითხვადი)	28%	26%	26%	28%	28%
დოკუმენტური პროზა	16%	15%	19%	18%	18%
აკადემიური და პროფესიული	15%	15%	19%	18%	18%
სასკოლო სახელმძღვანელოები	18%	17%	17%	16%	16%
საბავშვო წიგნები	13%	13%	12%	11%	11%
სურათებიანი წიგნები	2%	2%	2%	2%	2%
რელიგიური წიგნები	1%	1%	1%	1%	1%
ალბომები, წიგნები ხელოვნებაზე	1%	1%	1%	1%	1%
სხვა (ნოტები, რუკები, ა. შ.)	5%	5%	5%	4%	4%

შენიშვნა: გრაფიკზე მოცემულია კვლევაში მონაწილე 32 გამომცემლის მიერ დასახელებული თითოეული კატეგორიის წილების საშუალო მაჩვენებლები

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მიღებული შემოსავლის მიხედვით „პალიტრა L“ უპირობო ლიდერია წიგნის თითქმის ყველა კატეგორიაში (გარდა სასკოლო და საბავშვო წიგნებისა). ბაზარზე მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან ასევე „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გამომცემლობა „ინტელექტი“ და გამომცემლობა „არტანუჯი“, რომლებიც საგრძნობ უპირატესობას ფლობენ.

წიგნების სხვადასხვა კატეგორიიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით ლიდერთა 10-ეული ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი. აღნიშნული რეიტინგი შედგენილია კვლევაში მონაწილე იმ გამომცემლობებისგან, რომელთაც დაასახელეს თითოეული კატეგორიის წილი და რეალიზაციიდან მიღებული ჯამური შემოსავალი. მასში არ არის გათვალისწინებული კომპანიები, რომელთაც თავი შეიკავეს შემოსავალში თითოეული კატეგორიის წილის

გაზიარებისგან (სულ 8 გამომცემლობა) ან უარი თქვეს ზოგადად კვლევაში მონაწილეობაზე. სავარაუდოდ, მათგან მიღებული პასუხები შეცვლიდა წარმოდგენილ რეიტინგს.

TOP 10 კომპანია 2020 წელს წიგნის შემდეგი კატეგორიებიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით

	„მეინსტრიმული“ (ყველაზე კითხვადი) ლიტერატურა	არამხატვრული ლიტერატურა - დოკუმენტური პროზა	საბავშვო წიგნები	სასკოლო სახელმძღვანელოები / კრებულები	აკადემიური და პროფესიული ლიტერატურა
1	გამომცემლობა „პალიტრა L“	გამომცემლობა „პალიტრა L“	„სულაკაურის გამომცემლობა“	„სულაკაურის გამომცემლობა“	გამომცემლობა „პალიტრა L“
2	„სულაკაურის გამომცემლობა“	გამომცემლობა „სეზანი“	გამომცემლობა „პალიტრა L“	გამომცემლობა „ინტელექტი“	გამომცემლობა „ინტელექტი“
3	გამომცემლობა „ინტელექტი“	გამომცემლობა „ინტელექტი“	გამომცემლობა „ზებრა ჯგუფი“	გამომცემლობა „მერიდიანი“	გამომცემლობა „არტანუჯი“
4	გამომცემლობა „არტანუჯი“	გამომცემლობა „არტანუჯი“	გამომცემლობა „შემეცნება“	გამომცემლობა „კლიო“	გამომცემლობა „მერიდიანი“
5	გამომცემლობა „ბაკმი“	გამომცემლობა „ბაკმი“	გამომცემლობა „ინტელექტი“	გამომცემლობა „არტანუჯი“	„სულაკაურის გამომცემლობა“
6	გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“	„სულაკაურის გამომცემლობა“	გამომცემლობა „არტანუჯი“	გამომცემლობა „შემეცნება“	გამომცემლობა „ბიზნესლიტერატურა“
7	გამომცემლობა „მერიდიანი“	გამომცემლობა „ნეკერი“	გამომცემლობა „ბაკმი“	გამომცემლობა „ზებრა ჯგუფი“	გამომცემლობა „ნეკერი“
8	გამომცემლობა „აგორა“	გამომცემლობა „აგორა“	გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“		გამომცემლობა „კლიო“
9	გამომცემლობა „აქტი“	გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“	გამომცემლობა „აგორა“		გამომცემლობა „იურისტების სამყარო“
10	გამომცემლობა „კალმოსანი“	გამომცემლობა „პოეზია“	„საქ. აკადემიური გამომცემლობა“		„ზვიად კორძაძის გამომცემლობა“

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 24 გამომცემლობასთან

2020 წლის განმავლობაში, კვლევაში მონაწილე კომპანიების ნახევარზე მეტმა შემოსავალი მთლიანად ან უმეტესად (შემოსავლის 75% ან მეტი) ქართულ ენაზე შექმნილი წიგნებიდან მიიღო, მეორე ნაწილისთვის კი მთავარი წყარო (მინიმუმ 58%) უცხო ენიდან თარგმნილი ლიტერატურაა. მათ შორის არიან კომპანიები, რომლებიც სრულად ქართველ ავტორებზე და მათ მიერ შექმნილ წიგნებზე აკეთებენ აქცენტს. მათი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით მზარდია. მხოლოდ თარგმნილ ლიტერატურას კი ერთეულები გამოსცემენ. ისინი, ძირითადად, შედარებით ახალი, ბოლო წლებში ჩამოყალიბებული გამომცემლობებია.

გამომცემლობების მიერ სადისტრიბუციო არხებით სარგებლობა

წიგნების რეალიზაციის მიზნით, გამომცემლობები ძირითადად ორ გზას მიმართავენ: თანამშრომლობენ პირდაპირ წიგნის მაღაზიებთან და/ან სარგებლობენ სადისტრიბუციო კომპანიების მომსახურებით. ამათგან, მხოლოდ წიგნის მაღაზიებთან თანამშრომლობას ანიჭებს უპირატესობას რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი, მხოლოდ დისტრიბუტორების მომსახურებით მოსარგებლეთა წილი კი 10%-ს არ აღემატება. ბოლო წლებში აღინიშნება საკუთარი სადისტრიბუციო ქსელით სარგებლობის მცირედით მზარდი ტენდენციაც (10%-დან 13%-მდე).

გამომცემლობების მიერ დაბეჭდილი წიგნების რეალიზაციის არხები



წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 32 გამომცემლობასთან

სიახლეს არ უნდა წარმოადგენდეს, რომ სარეალიზაციო ობიექტებს შორის, წიგნის მაღაზიებში ნაწილდება გამოცემების სრული ტირაჟის ყველაზე დიდი წილი, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში თითქმის ყველა სხვა არხის გააქტიურების ტენდენცია აღინიშნება. 2020 წელს ამის მიზეზი პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებიდან უნდა გამომდინარეობდეს, რომლის დროსაც კომპანიების უდიდეს ნაწილს (მათ შორის წიგნის მაღაზიებს) მხოლოდ ონლაინრეჟიმში შეეძლო საქმიანობის გაგრძელება. შედეგად, ობიექტები, რომლებიც რამდენიმე წლის წინ ნაკლებად ასოცირდებოდა წიგნებთან (მაგ., მარკეტები, აფთიაქები), სულ უფრო მიმზიდველი გახდა გამომცემლობებისთვის.

გამოცემული წიგნების განაწილება სარეალიზაციო ობიექტებში

	2016	2017	2018	2019	2020
წიგნის მაღაზიები	70%	65%	65%	59%	53%
მარკეტები, აფთიაქები, ა. შ.	1%	1%	3%	5%	10%
ელ. კომერცია / გაყიდვები ინტერნეტით	3%	4%	4%	5%	10%
სატელეფონო (კარდაკარ) გაყიდვები	5%	5%	6%	6%	7%
წიგნის ფესტივალები / ბაზრობები	9%	8%	8%	13%	6%
B2B	2%	2%	3%	2%	3%
ელექტრონული წიგნები	2%	2%	2%	3%	3%
გლოვო, ვოლტი, ვენდუ, ა. შ.	0%	0.1%	0.1%	0.3%	1%
წიგნის კლუბები, სალონები	2%	2%	1%	1%	1%
სხვა	5%	5%	7%	7%	9%

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 32 გამომცემლობასთან

გამომცემლობების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრობებში

წიგნის ბაზრობები საკმაოდ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს გამომცემლებისთვის, რასაც კვლევის შედეგებიც ადასტურებს. გამოკითხულ გამომცემლობათა აბსოლუტურ უმრავლესობას (>80%) ბოლო 5 წლის მანძილზე რომელიმე ადგილობრივ ბაზრობაში მაინც აქვს მონაწილეობა მიღებული. გამონაკლისს წარმოადგენს 2020 წელი, როდესაც მონაწილეების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 17%-ით შემცირდა, ისევ და ისევ პანდემიის პირობებში არსებული შეზღუდვებისა და ღონისძიებების შეცვლილი ფორმატის გამო.

ჩვენს ქვეყანაში წიგნის ყველაზე პოპულარული და მასშტაბური ბაზრობა თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალია, რომელიც გამოირჩევა ვიზიტორთა და ლოიალურ გამომცემლობათა სიმრავლით. ყველა სხვა მსგავს ღონისძიებაში მონაწილე კომპანიების რაოდენობა საგრძნობლად ჩამოუვარდება მას.

გამომცემლობების მონაწილეობა წიგნის ადგილობრივ ბაზრობებში



წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 32 გამომცემლობასთან

რაც შეეხება საერთაშორისო ბაზრობებს, ამ მხრივაც აღინიშნება გამომცემლობების აქტივობა, თუმცა შედარებით ნაკლებად. ბოლო 5 წლის განმავლობაში მინიმუმ ერთ მსგავს ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო გამოკითხული გამომცემლობების ნახევარზე მეტი. აღნიშნულთან დაკავშირებით პანდემიამდე გარკვეული პროგრესი შეინიშნებოდა, თუმცა 2020 წელს მხოლოდ მესამედმა (33%) შეძლო საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა (მათ შორის ონლაინ).

ქართველი მონაწილეების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით საერთაშორისო ღონისძიებებს შორის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ლიდერობს, რომელიც გამომცემელთა განსაკუთრებით მაღალი ინტერესის საგანი 2018 წელს იყო. სწორედ ამ წელს იმყოფებოდა წიგნის ბაზრობაზე საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით, რამაც საშუალება მისცა ქართველ გამომცემლებს, გამოეფინათ საკუთარი წიგნები და ესარგებლათ ბიზნეს შეხვედრებით.

მონაწილეების შედარებით მაღალი მაჩვენებლებით ფრანკფურტს შარჯის, ლაიფციგის და ლონდონის წიგნის ბაზრობები მოსდევს. განხილულ ბაზრობებს შორის, ყოველწლიურად მზარდი ინტერესი აღინიშნება ბოლონიის წიგნის ბაზრობის მიმართ.

გამომცემლობების მონაწილეობა წიგნის საერთაშორისო ბაზრობებში



წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 32 გამომცემლობასთან

ზოგადად, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრობებში მუდმივად ან შედარებით მაღალი ინტენსივობით მონაწილეობას მხოლოდ რამდენიმე ქართული გამომცემლობა ახერხებს. მათ შორის: გამომცემლობა „არტანუჯი“, „ინტელექტი“, „პალიტრა L“, „შემეცნება“ და ბაკურ „სულაკაურის გამომცემლობა“.

გამომცემლობების მარკეტინგული აქტივობები 2019-2020 წლებში

კვლევის შედეგების თანახმად, გამომცემლების დიდი ნაწილი (73%-74%) ბოლო 2 წელია ამა თუ იმ მარკეტინგულ აქტივობას სთავაზობს საზოგადოებას. მათ შორის ყველაზე აქტიურად იყენებენ ფასდაკლებებს, რითაც ისარგებლა საზოგადოებამ წიგნის ფესტივალებზე, სხვადასხვა დღესასწაულზე ან თუნდაც არასადღესასწაულო დღეებში. გამომცემელთა ნაწილი შედარებით აქტიურად

აკეთებდა რეკლამას ინტერნეტშიც. გარდა აღნიშნულისა, ბევრ შემთხვევაში კომპანიები ცდილობდნენ მკითხველების ინფორმირებას სატელევიზიო, ბეჭდური, რადიო, გარე ან წიგნის მაღაზიებში რეკლამების დახმარებით. 2019-2020 წლებში გამოყენებულ მარკეტინგულ არხებს შორისაა გათამაშებები, სპონსორობა და პრეზენტაციებიც.

შედარებით მრავალფეროვან მარკეტინგულ აქტივობებს საზოგადოებას სთავაზობენ კვლევაში ჩართული შემდეგი კომპანიები: „სულაკაურის გამომცემლობა“, „ინტელექტი“ და „არტანუჯი“.



წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 32 გამომცემლობასთან

3.2 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები

გარდა გამომცემლობებისა, საქართველოს წიგნის ბაზრის განვითარებაში წვლილი შეაქვთ ისეთ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებსაც, როგორებიცაა: სახელმწიფო უნივერსიტეტები, მუზეუმები და ა. შ. მათ შორის კვლევის ფარგლებში ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი გახდა შემდეგი ორგანიზაციებიდან:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
- ლიტერატურის მუზეუმი
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი

აღნიშნული ორგანიზაციების მიერ გამოცემულ წიგნებს შორის შეხვდებით როგორც მხატვრულ, ასევე არამხატვრულ ლიტერატურას, რომელიც კომერციული მიზნით იბეჭდება. საგულისხმოა, რომ გამოცემებს შორის არამხატვრული ლიტერატურა (სამეცნიერო-პოპულარული, ბიოგრაფიული / მემუარები, კრიტიკა, ცნობარები, კალენდარი და ა. შ.) საგრძნობლად ჭარბობს.

აღნიშნული წიგნების აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ (≈80%) ან ქართულ-ინგლისურ (15%) ენაზეა. ერთეულ შემთხვევაში აღინიშნება გამოცემები ინგლისურ, ფრანგულ, თურქულ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე. მათი მინიმალური გასაყიდი ფასი 4 ლარი, მაქსიმუმი კი 50 ლარია და ზოგადად, ბაზარზე არსებული წიგნების ტირაჟებთან შედარებით, მცირე რაოდენობით გამოიცემა.

კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ გამოცემული წიგნები

	2016	2017	2018	2019	2020
გამოცემული წიგნების დასახელებების რაოდენობა	26	30	37	23	20
საშუალო გასაყიდი ფასი	14 ლარი	14 ლარი	15 ლარი	15 ლარი	21 ლარი

წყარო: 4 კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია

3.3 წიგნის სადისტრიბუციო კომპანიები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2021 წლის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში საკანცელარიო ნივთებით, წიგნებით, გაზეთებითა და სხვა პერიოდული გამოცემებით საბითუმო ვაჭრობის მიმართულებით სულ 177 აქტიური მეწარმე სუბიექტია რეგისტრირებული. აღნიშნული კომპანიები, შესაძლოა, ჩამოთვლილი აქტივობებიდან მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მიმართულებით საქმიანობდნენ. წლიური ბრუნვისა და დასაქმებულთა რაოდენობის გათვალისწინებით, მათი აბსოლუტური უმრავლესობა (86%) მცირე კომპანიას წარმოადგენს, 3% – საშუალოს, მსხვილი საწარმო კი ამ მიმართულებით საერთოდ არ ფიქსირდება.

საკანცელარიო ნივთებით, წიგნებით, გაზეთებითა და სხვა პერიოდული გამოცემებით ბითუმად მოვაჭრე კომპანიების განაწილება ზომის მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2021 წ

მათ შორის შეირჩა თბილისში არსებული ის კომპანიები, რომლებიც ბოლო წლებში აქტიურად ეწევიან მხატვრული თუ არამხატვრული წიგნების დისტრიბუციას. კვლევაში მონაწილეობის მზაობა ოთხმა სადისტრიბუციო კომპანიამ გამოხატა. მათ საქმიანობის მინიმუმ 8 და მაქსიმუმ 50-წლიანი ისტორია აქვთ. ამ დროისთვის მათ ჯამში 100-ზე მეტი მუდმივი თანამშრომელი ჰყავთ.

პერიოდულად, სხვადასხვა ღონისძიებიდან გამომდინარე, დასაქმებულთა რაოდენობა 200-ზე მეტი დროებითი თანამშრომლით შეიძლება გაიზარდოს. საწარმოთა ზომის გამოთვლის ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, ყველა მათგანი მცირე საწარმოს წარმოადგენს.[7]

მოცემულ საწარმოებს შორის შეხვდებით როგორც ჰოლდინგურ კომპანიაში შემავალ, ასევე საკუთარი წიგნების მაღაზიის მქონე სადისტრიბუციო კომპანიებს.

	კვლევაში მონაწილე სადისტრიბუციო კომპანიები
1	„ირიათონი“
2	„ელვა.გე“
3	ელვასერვისი / მერკური
4	„საქწიგნი“

კვლევის ფარგლებში სადისტრიბუციო კომპანიებს მიეცათ საშუალება, ესაუბრათ ბოლო 2 წლის მანძილზე წიგნის ბაზარზე არსებულ ცვლილებებზე, ტენდენციებსა და სირთულეებზე. აღმოჩნდა, რომ მთავარი პროგრესი ამ მიმართულებით წიგნებზე ინტერესის ზრდაა, პრობლემების ძირითადი ნაწილი კი პანდემიას უკავშირდება. კერძოდ, 2020-2021 წლის განმავლობაში ამოქმედებული შეზღუდვების გამო, შემცირდა როგორც წიგნების გამოცემა, ასევე ზოგადად წიგნზე მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან. დისტრიბუტორები აღნიშნავენ წიგნების საცალო ფასის მატებასაც.

7 **მსხვილი** ზომის საწარმოებს განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 250 კაცს (ძველი მეთოდოლოგიით – 100) ან ბრუნვის საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს (ძველი მეთოდოლოგიით – 1.5 მლნ.).

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 249 კაცის ჩათვლით (ძველი მეთოდოლოგიით – 20-დან 99 კაცის ჩათვლით), ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ. ლარამდე (ძველი მეთოდოლოგიით – 0.5 მლნ. ლარიდან 1.5 მლნ. ლარამდე).

მცირე ზომის საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 49-ს (ძვ. მეთოდოლოგიით – 19), საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა კი – 12 მლნ. ლარს (ძვ. მეთოდოლოგიით – 0.5 მლნ.).

სადისტრიბუციო საქმიანობა

სადისტრიბუციო კომპანიების მიერ წიგნების სარეალიზაციოდ არაერთი არხი გამოიყენება. მათ შორის: წიგნის მაღაზიები, ბითუმად მოვაჭრეები, ონლაინ-გაყიდვა, არასპეციალიზებული ობიექტები (მაგ., სუპერმარკეტები, აფთიაქები, ა. შ.), გამოფენები/ფესტივალები და ა. შ. 2016-2020 წლების მანძილზე ტენდენცია უცვლელია და მათ შორის საკვანძო ადგილი კვლავ წიგნის მაღაზიებს უჭირავს. მასზე მოდის წიგნების რეალიზაციის ყველაზე დიდი წილი. საგულისხმოა, რომ კვლევაში მონაწილე ოთხივე სადისტრიბუციო კომპანია წიგნის სარეალიზაციოდ 2019 წლიდან ონლაინარხებსაც იყენებს. მნიშვნელოვანია ფესტივალებსა და გამოფენებში მონაწილეობა, რომლიდან მიღებული შემოსავალი ზოგ შემთხვევაში 20%-ია. დისტრიბუტორები შედარებით ნაკლებად მიმართავენ წიგნის გაყიდვაზე არასპეციალიზებულ პუნქტებსა და ბითუმად მოვაჭრეებს.

მათ მიერ ბოლო წლების მანძილზე რეალიზებული წიგნების დასახელებების საშუალო რაოდენობა აჩვენებს, რომ ძირითადი წონა ქართულენოვან და უცხო ენიდან ქართულად თარგმნილ ლიტერატურაზე მოდის. საგულისხმოა, რომ ბოლო წლების მანძილზე, უცხო ენიდან თარგმნილი წიგნების მიმართ ინტერესი მეტ-ნაკლებად მზარდია, ქართულ ენაზე დაწერილი წიგნების გავრცელების მაჩვენებელი კი იკლებს. რეალიზებულ წიგნებს შორის საკმაოდ დაბალია ქართულიდან უცხო ენაზე თარგმნილი წიგნების წილი, რაც ზოგადად მსგავს ლიტერატურაზე მოთხოვნის ნაკლებობითა და, შესაბამისად, შედარებით იშვიათად გამოცემით უნდა იყოს განპირობებული.

წიგნების გაყიდული დასახელებების საშუალო რაოდენობა 2016-2020 წლების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020
გაყიდული დასახელებების რაოდენობა (საშუალო მაჩვენებელი)	1,633	1,274	1,563	1,577	1,551
გაყიდული ეგზემპლარების რაოდენობა (საშუალო მაჩვენებელი)	572,282	543,513	493,665	517,596	408,812
1 ცალი წიგნის გაყიდული რაოდენობა საშუალოდ	**350**	**427**	**316**	**328**	**264**

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 4 დისტრიბუტორთან

წიგნების გაყიდული დასახელებების საშუალო რაოდენობა კატეგორიების მიხედვით

ქართულენოვანი წიგნები	1,043	667	773	577	563
უცხო ენიდან თარგმნილი წიგნები	450	433	443	617	583
უცხო ენაზე თარგმნილი წიგნები	34	34	34	35	34
უცხოენოვანი წიგნები	217	217	283	277	250

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 3 დისტრიბუტორთან[8]

შეიძლება ითქვას, კვლევაში მონაწილე სადისტრიბუციო კომპანიების მიერ წიგნების რეალიზაციიდან მიღებული ჯამური წლიური შემოსავალი პანდემიამდე სტაბილურად 14 მლნ-ის ფარგლებში მერყეობდა. 2020 წლის მოვლენების გამო, იგი დაახლოებით 15%-18%-ით, 12 მლნ-მდე შემცირდა.

სადისტრიბუციო კომპანიების ჯამური შემოსავალი წიგნების რეალიზაციიდან

	2016	2017	2018	2019	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	14,337,348	14,062,200	14,206,892	14,357,808	11,658,658

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 4 დისტრიბუტორთან

წარმოდგენილი სადისტრიბუციო კომპანიების პორტფელი შედგება სხვადასხვა კატეგორიის, სრულად ადგილობრივად წარმოებული წიგნებისგან (მაგ., აკადემიური, საბავშვო, რელიგიური, არამხატვრული, ა. შ.). მათ შორის შემოსავლის ძირითადი წყარო „მეინსტრიმული“ (ყველაზე კითხვადი) ლიტერატურაა. მეტ-ნაკლებად შემოსავლიანია საბავშვო/სურათებიანი, არამხატვრული და აკადემიურ/პროფესიული ლიტერატურაც.

8 კვლევაში მონაწილე 4 სადისტრიბუციო კომპანიიდან, ერთმა ვერ შეძლო კატეგორიების მიხედვით რაოდენობების მოწოდება, რის გამოც მოცემული მაჩვენებლები ეყრდნობა მხოლოდ 3 კომპანიის შედეგს.

წიგნების დისტრიბუცია კვლევაში მონაწილე კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. შესაბამისად, შემოსავლის ყველაზე მაღალი წილი სწორედ მასზე მოდის, თუმცა ცალკეული დისტრიბუტორები ავრცელებენ ჟურნალ-გაზეთებს, სუვენირებს, სათამაშოებს და აქსესუარებსაც. ბოლო წლების მანძილზე ყველა მათგანი უარს ამბობს საკანცელარიო პროდუქციის, საძერწი მასალებისა და სასკოლო ნივთების დისტრიბუციაზე.

გამომცემლობებთან და სავაჭრო ობიექტებთან თანამშრომლობა

სხვადასხვა გამომცემლობის წიგნების გასავრცელებლად სადისტრიბუციო კომპანიები არაერთ წიგნის მაღაზიასა და სავაჭრო ობიექტთან თანამშრომლობენ, რომელთა რაოდენობა ბოლო 5 წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად მზარდია.

პარტნიორი გამომცემლობების, წიგნის მაღაზიების და სავაჭრო ობიექტების საშუალო რაოდენობა

	2016	2017	2018	2019	2020
გამომცემლობების საშუალო რ-ბა	16	17	19	23	23
წიგნის მაღაზიების საშუალო რ-ბა	23	30	35	34	36
სავაჭრო ობიექტების საშუალო რ-ბა	71	78	79	68	81

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 4 დისტრიბუტორთან

როგორც ცხრილიდან ჩანს, დისტრიბუტორების პარტნიორებს შორის ათობით გამომცემლობა, წიგნის მაღაზია და სავაჭრო ობიექტია, რომლებთან ურთიერთობებიც არაერთგვაროვანია. თუ იშვიათ შემთხვევაში გამომცემელთა ნაწილი სადისტრიბუციო კომპანიებს წიგნებს გარკვეულ ფასში აწვდის, შემდეგ კი თავისუფლებას ანიჭებს მათ სარეალიზაციო ფასის დაწესებისას, ძირითადად საბოლოო გასაყიდი ფასი უკვე განსაზღვრულია, დისტრიბუტორებისთვის კი ფასდაკლება მოქმედებს. აღნიშნული საკითხი მხარეებს შორის შეთანხმების

საგანია, შესაბამისად, დისტრიბუტორების მხრიდან უკმაყოფილება ამ მიმართულებით არ ფიქსირდება.

არაერთგვაროვანია სურათი წიგნის მაღაზიებთან და სავაჭრო ობიექტებთან ურთიერთობის დროსაც. შესაძლებელია სადისტრიბუციო კომპანია წიგნს ყველგან ერთნაირი ფასით ავრცელებდეს ან სხვადასხვა ობიექტს განსხვავებულ ფასს სთავაზობდეს.

გამომცემლობებსა და დისტრიბუტორებს შორის ანგარიშსწორება ზოგ შემთხვევაში წიგნების მიღებისთანავე, ზოგჯერ კი მათი საბოლოო რეალიზაციის შემდეგ ხდება. წიგნის მაღაზიებთან და სავაჭრო ობიექტებთან ფინანსური ვალდებულების დაფარვა შედარებით სტანდარტიზებულია და წიგნების საბოლოო რეალიზაციაზეა დამოკიდებული.

უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლის მიღებისას სადისტრიბუციო კომპანიებისთვის გამომცემლობებსა და სავაჭრო ობიექტებს მეტ-ნაკლებად თანაბარი მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთი შემოსავლის დიდ ნაწილს გამომცემლობებისგან წიგნების მიღების ეტაპზე იღებს, გარკვეულ შემთხვევებში სავაჭრო ობიექტებში წიგნების ჩაბარებისას, ზოგჯერ კი მათ თანაბარი წონა აქვთ.

სადისტრიბუციო კომპანიების მარკეტინგული აქტივობები 2019-2020 წლებში

კვლევაში მონაწილე სადისტრიბუციო კომპანიები ბოლო 2 წლის მანძილზე აქტიურები იყვნენ მარკეტინგულად. ზოგიერთმა მათგანმა გააააქტიურა საცალო გაყიდვების მიმართულებაც. მათ მიერ განხორციელებულ აქტივობებს შორის შედარებით უფრო პოპულარულია ინტერნეტში რეკლამის განთავსება და სადღესასწაულო ფასდაკლებების შეთავაზება. 2019-2020 წლებში თითქმის ყველა მათგანმა შეძლო ღონისძიებებისა და პრეზენტაციების ორგანიზებაც. დისტრიბუტორთა ნაწილის მიერ განხორციელებულ აქტივობებს შორისაა: ფასდაკლებები ფესტივალებზე და არასადღესასწაულო დღეებში, გათამაშება/კონკურსები, რეკლამა წიგნის მაღაზიებში. მხოლოდ ერთეულ კომპანიას უსარგებლია სპონსორობით, ბილბორდებით და რეკლამებით ტელევიზიაში, რადიოსა თუ ბეჭდურ მედიაში.

საკუთარი აქტივობების შესახებ მკითხველებამდე ინფორმაციის მისატანად უმეტესად ვებ - და სოციალური გვერდებით (Facebook, Instagram, Tik-Tok, ა. შ.) და ინტერნეტრეკლამით სარგებლობდნენ. აქტიურად ათვისებული საკომუნიკაციო არხია წიგნის მაღაზიებში რეკლამაც.

3.4 წიგნის მაღაზიები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2021 წლის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში წიგნებით საცალო ვაჭრობის მიმართულებით სპეციალიზებული 140 აქტიური კომპანია და 9 ბუკინისტია რეგისტრირებული. წლიური ბრუნვისა და დასაქმებულთა რაოდენობის გათვალისწინებით, მათი აბსოლუტური უმრავლესობა (83%) მცირე კომპანიას წარმოადგენს, საშუალო ზომის საწარმო საერთოდ არ ფიქსირდება, მსხვილი კი მხოლოდ 1 კომპანიაა.

წიგნებით საცალოდ მოვაჭრე კომპანიების და ბუკინისტების განაწილება ზომის მიხედვით[9]



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2021 წ.

9 მსხვილი ზომის საწარმოებს განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 250 კაცს (ძველი მეთოდოლოგიით – 100) ან ბრუნვის საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს (ძველი მეთოდოლოგიით – 1.5 მლნ.).

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 249 კაცის ჩათვლით (ძველი მეთოდოლოგიით – 20-დან 99 კაცის ჩათვლით), ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ. ლარამდე (ძველი მეთოდოლოგიით – 0.5 მლნ. ლარიდან 1.5 მლნ. ლარამდე).

მცირე ზომის საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 49-ს (ძვ. მეთოდოლოგიით – 19), საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა კი – 12 მლნ. ლარს (ძვ. მეთოდოლოგიით – 0.5 მლნ.).

მოცემულ კომპანიებს შორის შეირჩა მაღაზიები, რომელთა ძირითადი საქმიანობა მხატვრული თუ არამხატვრული ლიტერატურის რეალიზაციაა და გარკვეული აქტივობები უფიქსირდებათ ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნული მიმართულებით. მთლიანობაში კვლევაში მონაწილეობის მზაობა 12-მა კომპანიამ გამოთქვა, რომელთაც მუშაობის საშუალოდ 12-წლიანი ისტორია აქვთ. მათ შორის ყველაზე „ახალგაზრდა“ 2 წელია ფუნქციონირებს ბაზარზე, ყველაზე გამოცდილი კი 21-წლიან ისტორიას ითვლის. თითოეულ კომპანიაში საშუალოდ 5-6 ადამიანია დასაქმებული, რომელთაც ერთეულ შემთხვევაში, შესაძლოა, 2-3 დროებით დაქირავებული თანამშრომელი შეუერთდეს.

დღეს ბაზარზე არსებული წიგნის მაღაზიები ძირითადად თბილისში, ისიც მხოლოდ ერთი ობიექტითაა წარმოდგენილი. ერთეული წიგნის მაღაზიების ფილიალებს შეხვდებით რეგიონის დიდ ქალაქებშიც (ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, ხაშური, სამტრედია, რუსთავი, გორი და ა. შ.). საერთო ჯამში, კვლევაში მონაწილე კომპანიები დედაქალაქში 50-ზე მეტი, რეგიონებში კი 40-ზე მეტი წიგნის მაღაზიითაა წარმოდგენილი, რომელთა დიდი წილი „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელზე მოდის. ერთეულ შემთხვევებში შეხვდებით რომელიმე გამომცემლობის ან ჰოლდინგის წევრ მაღაზიას.

წიგნის მაღაზიის საქმიანობა

მაღაზიების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბოლო 2 წლის მანძილზე გაყიდული წიგნების რაოდენობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული. კლების ტენდენცია აღინიშნება როგორც რეალიზებული წიგნების დასახელებების (≈17%-იანი კლება), ასევე მათი გაყიდული ეგზემპლარების კუთხით (≈40%-იანი კლება).

რეალიზებული წიგნების დასახელებების საშუალო რაოდენობა და გაყიდული ეგზემპლარები

	2018	2019	2020
გაყიდული წიგნების დასახელებების რაოდენობა (საშუალო მაჩვენებელი)	3,503	2,893	2,902
გაყიდული ეგზემპლარების რაოდენობა (საშუალო მაჩვენებელი)[10]	247,450	221,542	144,791
შემოსავალი რეალიზაციიდან	18,626,000	20,129,133	16,172,470

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 10 მაღაზიასთან

მკითხველების გაცილებით მაღალი დაინტერესება აღინიშნება ქართულენოვანი და უცხო ენიდან თარგმნილი წიგნების მიმართ, რომელიც ბოლო წლების მანძილზე, უპირობოდ ყველაზე დიდი რაოდენობით იყიდება. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სწორედ მათზე მოდის გამომცემლობების შემოსავლის უდიდესი წილი (70%<).

რაც შეეხება კატეგორიებს, შემოსავლის გენერირების უმთავრესი წყარო საბავშვო წიგნები (29%-33%), ყველაზე კითხვადი (ე. წ. „მეინსტრიმული“, 25%-33%) და არამხატვრული ლიტერატურაა (14%-16%), ყველაზე ნაკლებად კი რელიგიური თემატიკის წიგნები იყიდება (2%-3%).

წიგნების კატეგორიების წილი რეალიზებულ წიგნებში

	2016	2017	2018	2019	2020
ქართულენოვანი წიგნების დასახელებები	39%	48%	51%	45%	38%
უცხო ენიდან თარგმნილი წიგნების დასახელებები	41%	33%	36%	39%	40%
უცხო ენაზე თარგმნილი წიგნების დასახელებები	1%	2%	2%	2%	4%
უცხოენოვანი წიგნების დასახელებები	19%	17%	12%	14%	18%

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 10 მაღაზიასთან

10 წიგნის მაღაზიების მიერ მონაცემების არასრულყოფილად მოწოდების გამო, წარმოდგენილია მხოლოდ ბოლო 3 წლის შედეგები. ამასთან, ერთეულ შემთხვევაში, წლის განმავლობაში წიგნების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლისა და ერთეული წიგნის გასაყიდი ფასის გამოყენებით გამოთვლილია რეალიზებული ეგზემპლარების საორიენტაციო რაოდენობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წიგნების რეალიზაციის პროცესში უდიდესი წილი მოდის მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსის“ მიერ გაყიდულ წიგნებზე.

წიგნის საშუალო ფასი

კვლევაში მონაწილე გამომცემლობების, დისტრიბუტორებისა და წიგნის მაღაზიების მონაცემებზე დაყრდნობით დადგინდა, თუ რა თანხის გადახდა უწევთ მკითხველებს საშუალოდ ერთი წიგნის შეძენისას. აღმოჩნდა, რომ ბოლო წლებში ბაზარზე წიგნის გასაყიდი ფასის მატება შეინიშნება. უფრო კონკრეტულად, 2016-2020 წლებში იგი 28%-ით, 14-დან 18 ლარამდე გაიზარდა.[11]

წიგნის საშუალო გასაყიდი ფასი 2016-2020 წლებში[12]



	2016	2017	2018	2019	2020
წიგნის საშუალო გასაყიდი ფასი (ლარი)	14,04	14,16	14,94	16,51	18,04
წიგნის საშუალო გასაყიდი ფასი (ევრო)	5,37	5,07	4,81	5,40	5,61

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ გამომცემლებთან, დისტრიბუტორებთან და მაღაზიებთან (სულ 45 ინტერვიუ)

ბოლო წლებში წიგნებზე ფასების მატება აღინიშნება გამომცემლების მიერ დაბეჭდილ ნებისმიერი შინაარსის წიგნზე. მათ შორის განსაკუთრებითაა გაზრდილი არამხატვრული, დოკუმენტური ლიტერატურის (+54%), ხელოვ-ნებასთან დაკავშირებული წიგნების (+31%) და საბავშვო გამოცემების ღირებულება (+30%), შედარებით სტაბილური ფასი კი სასკოლო წიგნებზე ფიქსირდება (+12%). საგულისხმოა ისიც, რომ ქართულთან შედარებით, გაცილებით მოიმატა თარგმნილი წიგნების ფასმა (+15% vs +31%).

ლოგიკურია, რომ გამომცემლობებისგან წიგნების შედარებით გაზრდილი ღირებულებით შეძენის შედეგად, ფასი იმატებს დისტრიბუტორებისა და წიგნის

11 აღნიშნულს შესაძლოა განაპირობებდეს უცხოური ვალუტის კურსის ზრდა, რადგან ხშირ შემთხვევაში გამომცემლობებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ უწევთ წიგნების ბეჭდვა ან საავტორო უფლებების შეძენა.

12 ფასი ევროში დათვლილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი წლის 1 იანვარს დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად: 2016 წ. 1 ლარი = 2.61, 2017 წ. – 2.79, 2018 წ. – 3.10, 2019 წ. – 3.06, 2020 წ. – 3.21 ევრო.

მაღაზიების მიერ რეალიზებულ წიგნებზეც. შესაბამისად, ბოლო წლებში ფასების ზრდის ტენდენცია ამ მიმართულებითაც აღინიშნება. მაღაზიებისა და დისტრიბუტორების მიერ ფასის მომატება ყველაზე მეტად ასევე არამხატვრულ ლიტერატურასა (+27%) და ხელოვნებასთან დაკავშირებულ წიგნებს შეეხო (+19%).

გამომცემლობების საშუალო გასაყიდი ფასი (GEL) წიგნის კატეგორიების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020	ფასის ზრდის დონე 2016 vs 2020
მხატვრული ლიტერატურა	12.39	12.66	12.35	14.18	15.41	+ 24%
არამხატვრული, დოკუმენტური ლიტერატურა	9.79	10.72	11.19	14.63	15.04	+ 54%
სასკოლო სახელმძღვანელოები / კრებულები	8.05	8.10	8.16	8.48	9.03	+ 12%
საბავშვო ლიტერატურა	9.86	9.98	10.53	10.93	12.82	+ 30%
აკადემიური და პროფესიული ლიტერატურა	12.89	13.45	14.61	14.05	16.17	+ 25%
წიგნები ხელოვნებაზე / ალბომები	21.43	23.99	21.80	24.40	28.01	+ 31%
ქართული წიგნები	11.54	11.42	10.94	12.88	13.28	+ 15%
თარგმნილი წიგნები	11.11	11.31	11.97	13.21	14.50	+ 31%

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 29 გამომცემლობასთან

დისტრიბუტორებისა და მაღაზიების საშუალო გასაყიდი ფასი (GEL) წიგნის კატეგორიების მიხედვით[13]

„მეინსტრიმული“ (ყველაზე კითხვადი) ლიტერატურა	13.78	13.84	14.64	14.97	16.09	+ 17%
არამხატვრული ლიტერატურა – დოკუმენტური პროზა	15.40	16.18	17.88	18.61	19.59	+ 27%
საბავშვო წიგნები	16.79	17.34	16.74	17.46	18.80	+ 12%
სასკოლო სახელმძღვანელო	9.15	9.39	10.51	10.46	10.48	+ 15%
სასკოლო კრებულები	30.40	26.83	28.83	29.50	33.17	+ 9%
აკადემიური და პროფესიული ლიტერატურა	22.21	23.12	23.53	23.95	24.96	+ 12%
სურათებიანი წიგნები	22.30	22.18	23.18	24.17	25.25	+ 13%
ალბომები, წიგნები ხელოვნებაზე	33.55	32.56	34.35	38.18	39.88	+ 19%
რელიგიური თემატიკის წიგნები	18.78	19.26	20.08	20.69	20.45	+ 9%
სხვა (სამუსიკო ნოტების და რუკების ჩათვლით)	9.13	9.25	10.50	12.38	10.70	+ 17%
ქართულენოვანი წიგნები	12.55	13.22	13.39	14.67	15.28	+ 22%
ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნები	14.19	14.77	15.43	15.41	16.42	+ 16%
ქართული ენიდან თარგმნილი წიგნები	13.38	14.80	20.32	18.90	17.20	+ 29%
უცხოენოვანი წიგნები	17.37	18.73	19.05	22.28	22.55	+ 30%

წყარო: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ დისტრიბუტორებთან და მაღაზიებთან (სულ 14 ინტერვიუ)

13 ორივე შემთხვევაში იგულისხმება საბოლოო ფასი ლარში, რომლითაც წიგნი მიდის მკითხველამდე.

გამოკითხული მაღაზიების მესამედში (33%) შეხვდებით იმპორტირებულ წიგნებსაც, თუმცა ეს უკანასკნელი შემოსავლის მთავარ წყაროს (შემოსავლის 70% და მეტი) მხოლოდ ერთეულებისთვის წარმოადგენს.

წიგნის მაღაზიებში, გარდა წიგნებისა, სხვადასხვა პროდუქციის შეძენაცაა შესაძლებელი. მათ შორის თითქმის ყველა ობიექტშია ხელმისაწვდომი საკანცელარიო და სასკოლო ნივთები, სახატავი/საძერწი მასალები და სხვადასხვა აქსესუარი. მაღაზიების მზარდი ინტერესი ფიქსირდება სუვენირების მიმართაც. შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი ჟურნალ-გაზეთები, სათამაშოები და სადღესასწაულო დეკორაცია. ბუნებრივია, ძირითადად, მაღაზიების შემოსავლის დიდი წილი (60%-70%), წიგნებზე მოდის და ეს წილი ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მატულობს.

წიგნის მაღაზიებს შორის იშვიათად მოიძებნება შემთხვევა, როდესაც სასურველი პროდუქციის მისაღებად მხოლოდ ერთი არხი გამოიყენება. გამოკითხული კომპანიები აქტიურად თანამშრომლობენ ათეულობით გამომცემლობასთან და რამდენიმე დისტრიბუტორთან. შედარებით იშვიათად მიმართავენ ბითუმად მოვაჭრე მაღაზიებსაც.

წიგნის მაღაზიების გამომცემლებთან ურთიერთობა ასევე არაა ცალსახა. იშვიათ შემთხვევაში მათ თავისუფლება ენიჭებათ წიგნის სარეალიზაციო ფასის დაწესებისას, უმეტესად კი გამომცემლობისგან გარკვეული ფასდაკლებით სარგებლობენ მკითხველებისთვის ფიქსირებული ფასის შეთავაზების სანაცვლოდ. მათ შორის ანგარიშსწორება თითქმის ყოველთვის წიგნების საბოლოო რეალიზაციის შემდეგ ხდება. თანამშრომლობის შერჩეული ფორმა ძირითად შემთხვევაში მისაღებია ორივე მხარისთვის, თუმცა ერთეული წიგნის მაღაზიები უპირატესობას გამომცემლობის მიერ დაწესებულ ფიქსირებულ ფასს ანიჭებენ.

წიგნის მაღაზიების მარკეტინგული აქტივობები 2019-2020 წლებში

წიგნის მაღაზიების აბსოლუტური უმრავლესობა გარკვეულ მარკეტინგულ აქტივობებს სთავაზობდა მკითხველებს 2019-2020 წლებში, იქნებოდა ეს ფასდაკლებები, რეკლამები, ღონისძიებები, პრეზენტაციები თუ სპონსორობა. ამათგან ყველაზე პოპულარული მეთოდია ფასდაკლებები როგორც ფესტივალებსა და დღესასწაულებზე, ასევე არასადღესასწაულო დღეებშიც. გასულ წლებში თითქმის ყველა მაღაზიამ ისარგებლა ინტერნეტრეკლამითაც. აპრობირებული მეთოდია უშუალოდ წიგნის მაღაზიაში მომხმარებელთათვის სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. მხოლოდ გამონაკლისებს თუ განუხორციელებიათ ჩამოთვლილთაგან განსხვავებული მარკეტინგული აქტივობები (სპონსორობა, გარე რეკლამა და ა. შ.). მკითხველისა და წიგნის მაღაზიების დამაკავშირებელი თითქმის უკონკურენტო არხი კი კვლავ კომპანიების ვებ- და სოციალური (Facebook, Instagram) გვერდებია, რომელმაც კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა პანდემიის დროს შეიძინა.

როგორც ერთ-ერთი წიგნის მაღაზიის წარმომადგენელი აღნიშნავს, მარკეტინგული კომუნიკაცია მუდმივად ჰქონდათ მომხმარებელთან, თუმცა აღმოჩნდა, რომ პანდემიის დროს მყიდველები მეტად მგრძნობიარენი გახდნენ კომპანიის მცირე ხარვეზის მიმართაც კი. ბოლო პერიოდში შეიცვალა – უფრო გამარტივდა მარკეტინგული მესიჯებიც.

2020 წლის ყველაზე მოთხოვნადი წიგნები და ავტორები

საინტერესოა, რა წიგნები შეიძინა საზოგადოებამ ყველაზე აქტიურად 2020 წლის განმავლობაში. სწორედ ამ მიზნით, კვლევის ფარგლებში დადგინდა წიგნის მაღაზიების და დისტრიბუტორების მიერ ყველაზე დიდი რაოდენობით რეალიზებული ლიტერატურის სია, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

2020 წლის ყველაზე გაყიდვადი წიგნები

მხატვრული ლიტერატურა

„სამოსელი პირველი“ **გურამ დოჩანაშვილი**

„სიყვარულის ორმოცი წესი“ და „ღირსება“ **ელიფ შაფაქი**

„მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ **ნინო ხარატიშვილი**

„ვა, სოფელო“ **ზაირა არსენიშვილი**

„მზე, მთვარე და პურის ყანა“ **თემურ ბაბლუანი**

არამხატვრული ლიტერატურა

„ფეხებზე დაკიდების ნატიფი ხელოვნება“ – **მარკ მენსონი**

„საპიენსი“ – **იუვალ ნოახ ჰარარი**

HBR (ჰარვარდ ბიზნეს რევიუ / Harvard Business Review)-ს 10 საუკეთესო საკითხავი **(„ემოციური ინტელექტი“, „ლიდერობა“, „საკუთარი თავის მართვა“, „HBR-ის გზამკვლევი შენი ბიზნესკეისის ასაგებად“)**

ქართველი მეფეები

ჩემი პირველი კითხვებისა და პასუხების წიგნი

სხვადასხვა ფილოსოფოსის წიგნები (მაგ., კანტი, ნიცშე, ჰაიდეგერი, ჰეგელი, მამარდაშვილი, ოშო, გურჯიევი)

2020 წლის ყველაზე მოთხოვნადი ავტორები

ქართველი ავტორები		
აკა მორჩილაძე	დათო ტურაშვილი	ნოდარ დუმბაძე
აკაკი წერეთელი	ზაირა არსენიშვილი	ოთარ ჭილაძე
გელა ჩარკვიანი	თემურ ბაბლუანი	ჭაბუა ამირეჯიბი
გიორგი კეკელიძე	თინათინ ბერიძე	ჯემალ ქარჩხაძე
გურამ დოჩანაშვილი	ია კარგარეთელი	

უცხოელი ავტორები	
აგათა კრისტი	ხალიდ ჰოსეინი
ელენა ფერანტე	ჯერომ სელინჯერი
ელიფ შაფაქი	ჰარპერ ლი
ფიოდორ დოსტოევსკი	ჰარუკი მურაკამი
ფრანც კაფკა	იუვალ ნოახ ჰარარი
ნინო ხარატიშვილი	მარკ მენსონი

ჰარვარდ ბიზნეს რევიუ (Harvard Business Review)
(ავტორები: დენიელ გოლემანი; კლეიტონ მ. კრისტენსენი; პიტერ ფ. დრაკერი; რეიმონდ შინი, ემი გალო)

წყარო: კვლევაში მონაწილე წიგნის დისტრიბუტორები და მაღაზიები (სულ 15 კომპანია). სია არ არის წარმოდგენილი რეიტინგში რიგითობის მიხედვით.

3.5 ელექტრონული წიგნის მაღაზიები

გარდა ბეჭდური ლიტერატურისა, მკითხველებს შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული წიგნებითაც, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც თავად გამომცემლობების ვებგვერდებზე, ასევე სპეციალიზებულ ონლაინმაღაზიებში (მაგ., www.saba.com.ge, www.lit.ge და www.ibooks.ge). იშვიათ შემთხვევაში ქართული წიგნების ელექტრონულ ვერსიებს შეხვდებით Apple-სა და Amazon.com-ზეც. მართალია, ბოლო წლების განმავლობაში იზრდება გამოცემული ელექტრონული წიგნების რაოდენობა, თუმცა გამომცემლობების შემოსავალში მასზე კვლავ მცირედი წილი მოდის (<10%). ძირითად შემთხვევაში კვლევაში მონაწილე კომპანიები უცხო ენიდან ქართულად თარგმნილი (70%-80%) ან ქართულენოვანი წიგნების (≈25%) ელექტრონული ვერსიის გამოცემას ამჯობინებენ. რაც შეეხება კატეგორიებს, მათ შორის უმთავრესად გვხვდება მხატვრული (≈60%) და არამხატვრული ლიტერატურა (≈30%) და აკადემიურ-პროფესიული წიგნები (≈10%).

saba.com.ge – ელექტრონული წიგნების მაღაზია „საბა“ თიბისი ბანკის პროექტია, რომელიც 2012 წლიდან მკითხველებს მრავალფეროვან ლიტერატურას სთავაზობს. მათ შორის: კლასიკური და თანამედროვე, ქართული და უცხოური მხატვრული ტექსტები, ხმოვანი წიგნები და პოდკასტები. 2021 წლისთვის ვებგვერდზე 6,000-ზე მეტი ელექტრონული წიგნია განთავსებული, რაც 2016 წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგებული მაჩვენებელია. მათ შორის ძირითადი წილი ქართულენოვან და თარგმნილ მხატვრულ ლიტერატურაზე მოდის, თუმცა შეხვდებით წიგნებს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ და იტალიურ ენებზეც. ვებგვერდზე წარმოდგენილი ელექტრონული წიგნების მინიმალური ფასი 10 თეთრი, მაქსიმალური კი 30 ლარია. ამასთან, ხელმისაწვდომია 800-მდე უფასო წიგნიც. მკითხველებს საშუალება აქვთ ისარგებლონ SABA Reader აპლიკაციით და გამოიწერონ 1, 4 ან 8-წიგნიანი მოდელები. მათი ყოველთვიური საფასური შესაბამისად 3,99; 6,99 და 12,99 ლარია.

lit.ge – ელექტრონული წიგნების მაღაზია ბაზარზე 2011 წლიდან გამოჩნდა და მკითხველებს სთავაზობს ელექტრონული წიგნების / პერიოდული გამოცემების შეძენის და პირადი, დაცული ონლაინბიბლიოთეკის შექმნის მომსახურებას. ამ დროისთვის ვებგვერდზე 3,500-მდე სხვადასხვა კატეგორიისა და ჟანრის წიგნია ხელმისაწვდომი, რომელთა ფასი 20 თეთრიდან 30 ლარამდე მერყეობს. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია 100-ზე მეტი უფასო წიგნით სარგებლობა.

ibooks.ge – კიდევ ერთი ელექტრონული წიგნების მაღაზიაა, რომელიც სასურველი ლიტერატურის შეძენასთან ერთად მომხმარებლებს წიგნების გამოქვეყნების საშუალებასაც აძლევს. იგი 2014 წლიდან ფუნქციონირებს და ამ მომენტისთვის 1,000-მდე ფასიან თუ უფასო წიგნს სთავაზობს მკითხველებს. მათ შორის თანაბრად შეხვდებით როგორც მხატვრულ, ასევე არამხატვრულ ლიტერატურას. წიგნების მინიმალური ფასი 0,99 ლარი, ხოლო მაქსიმალური 32 ლარია.

კვლევის ფარგლებში დადგინდა გასული წლის ყველაზე მოთხოვნადი ელექტრონული წიგნები:

ყველაზე გაყიდვადი ელექტრონული წიგნები 2020 წელს

ქართველი ავტორები	
1	„მზე, მთვარე და პურის ყანა“ – **თემურ ბაბლუანი**
2	„ბედუინი“ – **ნეფერტარი**
3	„სამოსელი პირველი“ – **გურამ დოჩანაშვილი**
4	„სხვა უდაბნოს საიდუმლო“ – **ია კარგარეთელი**
5	„ჰიბრიდული ომების ანატომია“ – **კრებული**
6	„ვა, სოფელო... (კახური ქრონიკები)“ – **ზაირა არსენიშვილი**
7	„გაბრიელ ბერი – თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა“ – **მალხაზ ჯინორია**
8	„მეძავის დღიურები“ – **სანდრო საყვარელიძე**
9	„სექსის სასწავლო უნივერსიტეტი“ – **სანდრო საყვარელიძე**
10	„სიყვარული და სექსი წესების გარეშე“ – **მარიამ რაქვიაშვილი**

თარგმანი	
1	„ყვავილები ელჯერნონისთვის“ – დენიელ კიზი
2	„მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ – ნინო ხარატიშვილი
3	„ფეხებზე დაკიდების ნატიფი ხელოვნება“ – მარკ მენსონი
4	„ფიქრები“ – მარკუს ავრელიუსი
5	„დანაშაული და სასჯელი“ – ფიოდორ დოსტოევსკი
6	„ჩემი ბრძოლა“ – ადოლფ ჰიტლერი
7	„ძველი ბერძნული მითოლოგია“ – ნიკოლაი კუნი
8	„ქალის ცხოვრების ოცდაოთხი საათი“ – შტეფან ცვაიგი
9	„მხედვარი – უკანასკნელი სურვილი“ – ანჯეი საპკოვსკი
10	„მხედვარი – ბედისწერის მახვილი“ – ანჯეი საპკოვსკი
11	„მხედვარი – ელფების სისხლი“ – ანჯეი საპკოვსკი

წყარო: saba.com.ge და lit.ge

დასახელებები არ არის წარმოდგენილი რეიტინგში რიგითობის მიხედვით.

3.6 ბიბლიოთეკები

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა არის ქვეყნის ძირითადი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია როგორც ადგილობრივი, ასევე უცხო სახელმწიფოების სამეცნიერო და უნივერსალური ხასიათის უმნიშვნელოვანესი ბეჭდვითი გამოცემები და სხვა დოკუმენტები. მისი მისიაა, თაობიდან თაობას გადასცეს ადგილობრივი თუ საერთაშორისო ინტელექტუალური საგანძური. 2018 წლის მონაცემებით, ბიბლიოთეკის ფონდი 4,700,000-ზე მეტი ერთეულისგან შედგება, რომელთა შორის 3,780,000-ზე მეტი წიგნია მსოფლიოს 99 ენაზე.[14]

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ აღირიცხება ქვეყნის მასშტაბით გამოცემული წიგნები ISBN კოდის დახმარებით, რომელსაც გამომცემლობები ანიჭებენ თითოეულ წიგნს. მონაცემთა ბაზა ივსება სავალდებულო ეგზემპლარის წესის შესაბამისად, რაც გულისხმობს ქვეყნის მასშტაბით წარმოებული ნებისმიერი ბეჭდური დოკუმენტის[15] ეგზემპლარის უსასყიდლოდ გადაცემას ეროვნული ბიბლიოთეკისთვის. აღნიშნული ბაზის თანახმად, ქვეყანაში გამოცემული ბეჭდური წიგნების რაოდენობა მზარდია.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებული წიგნების რაოდენობა[16]

	2016	2017	2018	2019
წიგნების დასახელების რაოდენობა	3,245	3,625	3,709	3,938
წიგნების ეგზემპლარების რაოდენობა	96,074	10,480	10,692	11,824

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

14 ქვეყანაში არსებული ბიბლიოთეკების მასშტაბური კვლევა ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ 2021 წელსაც გრძელდება, რის გამოც გარკვეული უახლესი მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

15 მატერიალური ობიექტი მასზე მოცემული ნებისმიერი ფორმის ინფორმაციით, რომელიც წარმოდგენილია ტექსტის, ხმოვანი ჩანაწერის, გამოსახულების ან მათი კომბინაციის სახით, რომლის რეკვიზიტებით ხორციელდება მისი იდენტიფიცირება და რომელიც განკუთვნილია დროსა და სივრცეში საზოგადოებრივი გამოყენების მიზნით გადასაცემად და შესანახად *(წყარო: საქართველოს კანონი დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ).*

16 2020 წელს პანდემიის გამო შეფერხებული პროცესებიდან გამომდინარე, სავალდებულო ეგზემპლარების აღრიცხვის პროცესი 2021 წელსაც გრძელდება, რის გამოც მონაცემები ამ დროისთვის არ არის ხელმისაწვდომი. ამასთან, ეგზემპლარების რაოდენობა მოიცავს ნებისმიერი გზით (საჩუქარი, შემოწირულობა) მიღებულ წიგნებს.

გარდა ეროვნული ბიბლიოთეკისა, ჩვენს ქვეყანაში არაერთი საჯარო თუ კერძო ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. დედაქალაქში შესაძლებელია მედიათეკით[17] სარგებლობაც. მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო ბიბლიოთეკების რაოდენობა ბოლო 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად იზრდება, მათი ვიზიტორების საშუალო რაოდენობა საგრძნობლად ჩამოუვარდება თბილისის მაჩვენებელს.

საჯარო ბიბლიოთეკების რაოდენობა საქართველოში 2016-2020 წლების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020
საჯარო ბიბლიოთეკები თბილისში	36	36	35	35	35
მედიათეკა თბილისში	2	2	3	3	3
საჯარო ბიბლიოთეკები სოფლებში[18]	690	674	708	708	732
საჯარო (მთავარი) ბიბლიოთეკები რეგიონებსა და ქალაქებში	64	64	64	64	64
სულ	**792**	**776**	**810**	**810**	**834**

17 მედიათეკა წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო პლატფორმას, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს თანამედროვე და კლასიკურ, ქართულ და უცხოენოვან, მხატვრული და დარგობრივი ლიტერატურის ვრცელ ბიბლიოთეკას, წყნარ სამუშაო სივრცეს, კომპიუტერულ მომსახურებას, სახელოვნებო თუ სამეცნიერო ღონისძიებათა ფართო არჩევანს და სივრცეს საქმიანი და შემოქმედებითი შეხვედრებისთვის. მედიათეკების წევრობა ფასიანია.

18 According to the National Parliamentary Library of Georgia, as of January 1 2021, the number of municipal central, city and village libraries amounted to 827.

ბიბლიოთეკების რაოდენობა საქართველოში კატეგორიების მიხედვით[19]

	2016	2017	2018	2019	2020
საჯარო ბიბლიოთეკები (თბილისი, რეგიონები)	792	776	810	810	834
საჯარო სკოლების ბიბლიოთეკები	2,085	2,085	2,085	2,085	2,085
სახელმწიფო უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები	20	20	20	19	19
სახელმწიფო პროფესიული დაწესებულებების ბიბლიოთეკები	38	37	35	36	34
სხვა ტიპის კერძო ბიბლიოთეკები (კერძო უნივერსიტეტები და სკოლები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფესიული კოლეჯები, ა. შ.)	356	339	318	314	308
სულ	**3,291**	**3,257**	**3,268**	**3,264**	**3,280**

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

საჯარო ბიბლიოთეკების მკითხველთა რაოდენობა საქართველოში; წიგნადი ფონდი

	2016	2017	2018
მკითხველების ჯამური რაოდენობა თბილისში (მედიათეკის გარდა)	50,307	38,797	32,726
მკითხველების საშუალო რაოდენობა თბილისში	1,397	1,078	935

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

19 ქვეყანაში არსებული სასკოლო, საუნივერსიტეტო, ა. შ. ბიბლიოთეკების მდგომარეობის შესწავლის პროცესი ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ 2021 წელსაც გრძელდება, რის გამოც გარკვეული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ცხრილში არსებული ინფორმაცია ეყრდნობა სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებულ ცნობებს საქართველოში არსებული აქტიური სასწავლო დაწესებულებების შესახებ და დაშვებას, რომ ყველა მათგანს უნდა გააჩნდეს ბიბლიოთეკა.

მკითხველების ჯამური რაოდენობა რეგიონებში	71,648	71,304	78,906
მკითხველების საშუალო რაოდენობა რეგიონებში	324	316	349

წყარო: მუნიციპალიტეტების მთავარი ბიბლიოთეკები (სულ 226 სასოფლო ბიბლიოთეკა)[20]

საბიბლიოთეკო დოკუმენტების ჯამი[21] (წიგნადი ფონდი)	10,179,358	10,017,520	9,657,203

წყარო: მუნიციპალიტეტების მთავარი ბიბლიოთეკები

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ საჯარო ბიბლიოთეკები წიგნად ფონდებს შემდეგი გზებით ავსებენ: იძენენ სხვადასხვა გამომცემლობისგან ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი ბიუჯეტით ან იღებენ საჩუქრად მკითხველებისგან, ავტორებისგან, გამომცემლობებისგან, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციისგან (უნივერსიტეტები, სკოლები, ა. შ.), სახელმწიფო სტრუქტურებისგან, კერძო კომპანიებისგან, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, კერძო პირებისგან და ა. შ., თუმცა ხშირ შემთხვევაში, ეს წელიწადში ერთხელ ხდება. არსებობს მაკულატურის წიგნებზე გადაცვლის პრაქტიკაც.

20 იმის გამო. რომ მკითხველების რაოდენობის შესახებ ასევე არ არის ამ დროისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომი, რეგიონების ბიბლიოთეკების მკითხველთა ჯამური და საშუალო რაოდენობები დათვლილია მუნიციპალიტეტების მიერ, კომპანია „ეისითისთვის“, 226 სასოფლო ბიბლიოთეკაზე მოწოდებულ მონაცემზე დაყრდნობით. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს საქართველოში გაცილებით მეტი სასოფლო ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს, მკითხველების რაოდენობა მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს წარმოდგენილ მაჩვენებელს. მაგ., საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ცნობით, რომელიც რეგიონების 789 ბიბლიოთეკის მონაცემს ეყრდნობა, 2020 წელს ბიბლიოთეკების მკითხველთა მიახლოებითი რაოდენობა 240,725-ს უტოლდება, ანუ საშუალოდ თითო ბიბლიოთეკა წლის განმავლობაში ემსახურება 305 მკითხველს/ვიზიტორს. გასათვალისწინებელია, რომ ერთიანი სტანდარტის არქონა, ზოგ შემთხვევებში, არ იძლევა მკითხველისა და ვიზიტორის მკვეთრად გამიჯვნის შესაძლებლობას,

21 წიგნადი ფონდის დადგენისას საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა ითვალისწინებს ორგვარ მონაცემს: 1. მუნიციპალური ცენტრალური ბიბლიოთეკის ცნობები მუნიციპალიტეტში დაცული წიგნადი ფონდის შესახებ; 2. მასში შემავალი ცალკეული ბიბლიოთეკების ჯამური მონაცემები. რიგ შემთხვევაში, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამის ერთ-ერთი მიზეზია რაიონულ ბიბლიოთეკებში გამოსაყენებლად უვარგისი (სოკოთი დაავადებული, ნესტისგან დაზიანებული, ბიბლიოთეკიდან გატანილი და დაუბრუნებელი და ა. შ.) წიგნების ჩამოწერის სტანდარტული პროცედურის არქონა, რომლის მოგვარებაზეც მუშაობს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილება.

საბიბლიოთეკო ასოციაციის წარმომადგენლის თანახმად, წიგნადი ფონდის შევსების პროცესი საკმაოდ რთულად და დარღვევებით მიმდინარეობს. კერძოდ, ბიბლიოთეკებს არ აქვთ უფლება, შეიძინონ წიგნები ტენდერის გარეშე, რაც თავის მხრივ, რთულ პროცედურებთან და ბიუროკრატიასთანაა დაკავშირებული. სირთულეს წარმოადგენს ზოგ შემთხვევაში გამომცემლობების შეუსაბამობა ტენდერის პირობებთან, რაც აფერხებს წიგნების შეძენის პროცესს.

მართალია, არსებობს კერძო დონაციის შესაძლებლობაც, თუმცა ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკა უმეტესად ივსება არა საჭირო წიგნებით, არამედ დონორის სურვილისა და გემოვნების შესაბამისად.

გარდა აღნიშნულისა, წიგნადი ფონდების შევსების მნიშვნელოვანი წყაროა ვაუჩერიზაციაც. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია „საქართველოს რეგიონალური ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლების პროექტი“, რომელიც მიზნად ისახავს წიგნადი ფონდის ახალი გამოცემებით შევსებას. მასში მონაწილეობს 70-მდე ბიბლიოთეკა და 30-მდე გამომცემლობა და გამავრცელებელი. პროექტი „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით ხორციელდება, რომლის მხარდამჭერები არიან „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო“ და „მწერალთა სახლი“. კვლევაში მონაწილე ბიბლიოთეკებს შორის, გარკვეულ შემთხვევებში, ვაუჩერი წარმოადგენს წიგნადი ფონდის შევსების ერთადერთ გზას. არსებობს რისკი, რომ იგი კვლავ ძველი წიგნების შესაძენად გამოიყენებოდეს, რაც უახლესი გამოცემების შესახებ ბიბლიოთეკარების ნაკლებად ინფორმირებულობის შედეგია. ამის თავიდან ასაცილებლად ბოლო წლებია დადებითი დინამიკა შეინიშნება. კერძოდ, პროექტის მონაწილეთა მიერ ბიბლიოთეკებისთვის ჩატარებული პრეზენტაციები ახალი და საუკეთესო გამოცემების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა.

3.7 ლიტერატურული კონკურსები

მოცემული კვლევის ფარგლებში დადგინდა ისიც, თუ რამდენად აქვთ ინფორმაცია საქართველოში მოქმედ წამყვან გამომცემლობებს ადგილობრივი ლიტერატურული პრემიებისა და ჯილდოების შესახებ და რამდენად იღებენ მასში მონაწილეობას. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთაგან თითქმის ყველასთვისაა ცნობილი ლიტერატურული პრემია – „საბას“ შესახებ. ნახევარზე მეტს ასევე სმენია შემდეგი ლიტერატურული კონკურსების შესახებაც: „ლიტერა“, „ლიტერა მთარგმნელებისთვის“, „წინანდლის პრემია“ და „ილიაუნის ლიტერატურული კონკურსი“. შედარებით ნაკლებია (<25%) სხვა კონკურსების (მაგ., რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი, საბავშვო ლიტერატურული კონკურსი „ბუკნაჭო“, გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული კონკურსი მინიატურის ჟანრში „ერთგულება“, ლიტერატურული კონკურსი „ემიგრანტის წერილი“, ლიტერატურული კონკურსი „მერანი“) შესახებ გამომცემელთა ინფორმირებულობის დონე.

ბოლო 5 წლის განმავლობაში აღნიშნულ კონკურსებში მონაწილეობა მიღებული აქვს გამოკითხული გამომცემლობების ნახევარზე მეტს. მათ შორის ყველაზე დიდი პოპულარობით ლიტერატურული პრემია „საბა“ სარგებლობს, რომელშიც ყველა მათგანი მინიმუმ ერთხელ მაინც ჩართულა. დანარჩენ ღონისძიებებს შორის, გამომცემლობების შედარებით მაღალი აქტივობა ფიქსირდება კონკურსებში: „ლიტერა“ და „ლიტერა მთარგმნელებისთვის“, „ილიაუნის ლიტერატურული კონკურსი“ და „წინანდლის პრემია“.

› ლიტერატურული პრემია „საბა“ – www.saba.com.ge

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ 2002 წელს თიბისი ბანკისა და რატი ამაღლობელის მიერ დაარსდა. პრემიის მიზანია გასული წლის საუკეთესო წიგნებისა და ავტორების გამოვლენა შემდეგ ნომინაციებში: წლის საუკეთესო რომანი; პოეტური კრებული; პროზაული კრებული; პიესა; ლიტერატურული დებიუტი; ლიტერატურული კრიტიკა; ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა; უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანი; პრემია „საბა“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.[22] კონკურსის ჟიური 5 წევრისგან შედგება.

22 ნომინაცია „წლის საუკეთესო ელექტრონული წიგნი“ გაუქმებულია 2018 წლიდან. ასევე 2019 წლიდან გაუქმებულია ნომინაცია „ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანი“.

მათი შემადგენლობა ყოველწლიურად იცვლება და ის მწერლები და ლიტერატორები ერთიანდებიან, რომელთა ნაწარმოებიც მოცემულ წელს საკონკურსოდ არ განიხილება. გამარჯვებულ ავტორებს სპეციალურ ჯილდოსთან ერთად, გადაეცემათ ფულადი პრემიები თიბისი ბანკის მიერ.

ბოლო 5 წლის განმავლობაში აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 130-მდე გამომცემლობამ, ინდივიდუალურმა მეწარმემ თუ თავად წიგნის ავტორმა. შეიძლება ითქვას, „საბას“ ნომინაციებს შორის ყველაზე დიდია კონკურენცია წლის საუკეთესო თარგმანის გამოვლენისას. შედარებით მაღალია მონაწილეთა რაოდენობა შემდეგ კატეგორიებშიც: საუკეთესო პოეტური კრებული; საუკეთესო დებიუტი; საუკეთესო რომანი; საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა.

2016-2020 წლებში „საბას“ სხვადასხვა ნომინაციაში ყველაზე აქტიურად ჩართულ გამომცემლობებს შორის ლიდერობენ: „ინტელექტი“, ბაკურ „სულაკაურის გამომცემლობა“, saba.com.ge, „პალიტრა L“ და „არტანუჯი“.

პრემია „საბას“ ყველაზე აქტიური მონაწილე კომპანიები კატეგორიების მიხედვით[23]

	თარგმანი	პოეზია	დებიუტი	რომანი	ესეისტიკა	პროზა	პიესა	კრიტიკა
„ინტელექტი“	16%	16%	17%	14%	22%	29%	10%	25%
„სულაკაურის გამომცემლობა“	30%		10%	19%	7%	2%		5%
saba.com.ge	1%	13%	18%	17%	4%	17%	38%	5%
„პალიტრა L“	9%	1%	8%	3%	6%	6%		5%
„არტანუჯი“	9%		2%	2%	18%	1%		5%
„წიგნები ბათუმში“	8%	2%	4%	3%	1%	6%	2%	
„დიოგენე“	8%	1%	3%	1%	1%			
„საუნჯე“	0.4%	8%	2%	2%	5%	8%		
„უნივერსალი“	1%	4%	1%	1%	1%	2%	2%	10%
„კალმოსანი“		4%	3%	1%		3%	2%	10%
„გლოსა“	0.4%	2%	1%	1%	1%	1%	12%	5%
„ნეკერი“	0.2%	1%	1%	1%			5%	
„არადანი“				1%		1%	7%	5%

წყარო: saba.com.ge

23 სიაში წარმოდგენილია მხოლოდ ის კომპანიები, რომელთა აქტივობა 5%-ზე მაღალია რომელიმე ერთ კატეგორიაში მაინც.

ლიტერატურული პრემია „საბას“ 2020 წლის გამარჯვებულები

ნომინაცია	გამომცემლობა	წიგნის ავტორი და დასახელება
საუკეთესო რომანი	„სულაკაურის გამომცემლობა“	ბესო სოლომანაშვილი „ამბავი ძველი დახვრეტილებისა და ამბავი ახალი დასახვრეტებისა“
საუკეთესო პროზაული კრებული	„ინტელექტი“	მამუკა დოლიძე „გასეირნება დროთა სივრცეში“
საუკეთესო პოეტური კრებული	„ინტელექტი“	ბესიკ ხარანაული „დიდი სმა“
	„კალმოსანი“	ტარიელ ჭანტურია „სიყვარულის შავი ყუთი 3“
საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა	„არტანუჯი“	შორენა ლებანიძე „თუ საჭიროა გათქმევინებთ“
საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი	„წიგნები ბათუმში“	მაია ცირამუა „მშვიდობით, ძია გერშვინ!“
საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა	„პალიტრა L“	რამაზ ჭილაია „პოეტიკური ჩანაწერები“
საუკეთესო პიესა	„თემურ ჩხეიძის სახელოსნო“ (სამეფო უბნის თეატრი)	ალექს ჩიღვინაძე „მარინა რევია“
საუკეთესო ქართული თარგმანი	„არტანუჯი“	ელზა ახვლედიანი – ემა ვიგოდსკაიას „ალჟირელ მეკობრეთა ტყვე: მიგელ დე სერვანტესის არაჩვეულებრივი თავგადასავალი“
პრემია ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის	ბათუ დანელია (პოეტი, მთარგმნელი)	

› ლიტერატურული პრემია „ლიტერა“ და „ლიტერა მთარგმნელებისთვის“ – www.writershouse.ge

ლიტერატურული პრემია „ლიტერა“ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და „მწერალთა სახლმა“ 2015 წელს დააარსეს და მას შემდეგ ყოველწლიურად გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:

- » წლის საუკეთესო პროზაული კრებული
- » წლის საუკეთესო რომანი
- » წლის საუკეთესო პოეტური კრებული
- » წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზა
- » წლის საუკეთესო წიგნის ყდის დიზაინი
- » წლის საუკეთესო დებიუტი

დაარსებიდან დღემდე, ჟიურიმ განიხილა საკონკურსოდ შემოსული 331 წიგნი. ლიტერატურული პრემიის საპრიზო თანხაა 5,000 ლარი.

ლიტერატურული პრემია „ლიტერას“ 2020 წლის გამარჯვებულები

ნომინაცია	გამომცემლობა	წიგნის ავტორი და დასახელება
საუკეთესო დიზაინი	„არტანუჯი“	თინათინ ჩხიკვიშვილი – ჯანა ამირეჯიბის წიგნისთვის „მე – ნამდვილი კოკოშა“
საუკეთესო დებიუტი	„ინტელექტი“	ნინი ელიაშვილი – „წერტილის შემდეგ“
საუკეთესო დოკუმენტური პროზა	„ინდიგო“	გიორგი მაისურაძე – „სხვა ენა"
საუკეთესო პოეტური კრებული	„ინტელექტი“	შოთა იათაშვილი „XXI საუკუნის დასაწყისის პოეტი“
საუკეთესო პროზაული კრებული	„წიგნები ბათუმში“	ეკა ქევანიშვილი „არაფერი დედაჩემის შესახებ“
საუკეთესო რომანი	„ინტელექტი“	ირაკლი სამსონაძე – „ქელეხი – ქორწილი“

ლიტერატურული პრემია „ლიტერა მთარგმნელებისთვის“ კი 2020 წელს დაარსდა. მისი მთავარი მიზანი მთარგმნელთა საქმიანობის დაფასება, მთარგმნელების მოტივირება და სტიმულაციაა. ასევე, ქართული და უცხოური ლიტერატურული პროცესების ინტეგრაცია და დაახლოება; პრემია 2020 წელს 4 ნომინაციაში გაიცა:

ლიტერატურული პრემია „ლიტერა მთარგმნელებისთვის“ 2020 წლის გამარჯვებულები

ნომინაცია	გამომცემლობა	წიგნის ავტორი და დასახელება
საუკეთესო ახალგაზრდა მთარგმნელი	„პალიტრა L“	სალომე ბენიძე – რუპი კაურის წიგნისთვის „რძე და თაფლი“
საუკეთესო ჰუმანიტარულ-სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის თარგმანი (ფილოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია);	„აგორა“	ლალი უნაფქოშვილი – ჟულიენ გრაკის წიგნისთვის „ქალაქის ფორმა“
საუკეთესო პროზაული თარგმანი (რომანი, მოთხრობების კრებული)	„არტანუჯი“	ზაზა ჭილაძე – უილიამ ფოლკნერის წიგნისთვის „დაუმარცხებლები“
დავით წერედიანის სახელობის პრემია მთარგმნელობით საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის ელზა ახვლედიანს გადაეცა		

› ილიაუნის ლიტერატურული კონკურსი – www.iliauni.edu.ge

ილიაუნის ლიტერატურულ კონკურსს 8-წლიანი ისტორია აქვს. იგი 2010 წელს დაარსდა ილიას უნივერსიტეტის მიერ და საქართველოში რომანის ჟანრის განვითარებას ისახავს მიზნად. ჟიური შედგება უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტებისგან, რომელთა ვინაობა კონფიდენციალურია. კონკურსის გამარჯვებულს საკმაოდ სოლიდური ფულადი პრემია (10 000 ლარი) გადაეცემა.

2014 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ პრემია გაიცეს უცხოენოვანი რომანის საუკეთესო თარგმანისთვის.

ილიაუნის ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულები (საუკეთესო რომანი)

გამომცემლობა	წიგნის ავტორი	დასახელება	წელი
„სულაკაურის გამომცემლობა“	არჩილ ქიქოძე	„სამხრეთული სპილო“	2016
„სულაკაურის გამომცემლობა“	ლაშა ბუღაძე	„პატარა ქვეყანა“	2017
„სულაკაურის გამომცემლობა“	ზურაბ ჯიშკარიანი	„საღეჭი განთიადები: უშაქროდ“	2017
„ინტელექტი“	ლანა კალანდია	მარიო ვარგას ლიოსას ორი რომანის – „ქალაქი და ძაღლებისა“ და „ვაცის ნადიმის“ – თარგმნისთვის	2018

› წინანდლის პრემია – www.zurabzhvania.ge

„წინანდლის პრემია“ 1998 წელს დაარსდა და რამდენიმეწლიანი წყვეტის შემდეგ, 2014 წელს განახლდა. მისი მიზანია ახალგაზრდა (18-30 წლის) მეცნიერთა და შემოქმედთა პოპულარიზაცია, წახალისება და ხელშეწყობა. ლაურეატები ვლინდებიან 8 ნომინაციაში: თეატრალური ხელოვნება; კინოხელოვნება; მხატვრული ლიტერატურა (პროზა); მხატვრული ლიტერატურა (პოეზია); მუსიკა; ფოტოგრაფია; სახვითი ხელოვნება; საბუნებისმეტყველო მეცნიერება.

პროექტი ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით. დარგების მიხედვით შერჩეულ 3 ნომინანტს გადაეცემა სპეციალური სიგელი, ხოლო გამარჯვებული ჯილდოვდება დიპლომით, პრიზითა და ფულადი პრემიით – 5 000 ლარის ოდენობით.

› ლიტერატურული კონკურსი „მერანი“

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მერანი“ 2009 წლიდან თბილისის საკრებულოსა და მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის მხარდაჭერით ყოველწლიურად იმართება. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 16-დან 35 წლამდე ახალგაზრდა პოეტებს.

კონკურსში გამარჯვებული საუკეთესო ლექსების ავტორისთვის დაწესებულია პირველი პრემია „მერანი“. პრიზის მფლობელი 1000 ლარს იღებს, ასევე, დაწესებულია ოთხი წამახალისებელი პრემია 500-500 ლარის ოდენობით. ჟიურის მიერ მოწონებული ნაწარმოებები კრებულში „მერანი“ იბეჭდება.

› რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი

ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულთან“ არსებული „ერთი მოთხრობის კონკურსი“ ემსახურება ქართულ ლიტერატურულ სივრცეში საუკეთესო ნაწარმოებებისა და ავტორების გამოვლენას, ნიჭიერ ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედების წარმოჩენას და მათი ნაწარმოებების პოპულარიზაციას. კონკურსის ამოცანაა ქართული ლიტერატურით ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და რევაზ ინანიშვილის შემოქმედების პოპულარიზაცია. კონკურსის ფარგლებში გაიცემა სამი ფულადი პრემია 500, 300 და 200 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, ოთხი მონაწილე დაჯილდოვდება სპეციალური პრიზით და დიპლომით.

› გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული კონკურსი მინიატურის ჟანრში „ერთგულება“

გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული კონკურსი მინიატურის ჟანრში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და ფონდ „კულტურათა დიალოგის“ ინიციატივით, 2014 წელს დაფუძნდა. კონკურსის მიზანია გამოავლინოს წლის საუკეთესო მინიატურა/ჩანახატი და კიდევ ერთხელ წარმოაჩინოს ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, საინტერესო და, ამავე დროს, რთული ჟანრი. საუკეთესო მინიატურის/ჩანახატების ავტორებს გადაეცემათ ფულადი პრემია (1000, 700 და 500 ლარი).

› საბავშვო ლიტერატურული კონკურსი „ბუკნაჭო“

საბავშვო ლიტერატურული კონკურსი „ბუკნაჭო“ პირველად 2015 წელს ჩატარდა. კონკურსის მიზანია საშუალება მისცეს ავტორებს, შექმნან ახალი ლექსები და კიდევ უფრო გაამდიდრონ საბავშვო ლიტერატურა. ლიტერატურულ კონკურსში „ბუკნაჭო“ მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ ავტორს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ავტორთა ასაკი, ნაწარმოების თემატიკა და მოცულობა შეზღუდული არ არის.

კონკურსის ფარგლებში სამი საუკეთესო ნაწარმოების ავტორი ჯილდოვდება ფულადი პრემიით და ფასიანი საჩუქრებით. საუკეთესო ლექსები შედის კონკურსის ფარგლებში გამოცემულ კრებულში, რომელიც იბეჭდება არანაკლებ 200-იანი ტირაჟით. იგი საჩუქრად გადაეცემა როგორც ავტორებს, ასევე ბიბლიოთეკებს, კულტურულ ცენტრებს, სახელოვნებო ორგანიზაციებს.

› ლიტერატურული კონკურსი „ემიგრანტის წერილი“

ლიტერატურული კონკურსი „ემიგრანტის წერილი“ პირველად 2016 წელს გაიმართა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართულენოვანი ავტორების გამოვლენას, მათ წარმოჩენასა და პოპულარიზაციას. კონკურსის ძირითადი ამოცანაა, უცხოეთში მცხოვრებ ავტორთა ნაწარმოებების მოძიება-შეკრება და მათი ქართულ, ლიტერატურულ სივრცეში დამკვიდრება, ქართულ ენაზე შექმნილი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებების გაცნობა ქართველი მკითხველისათვის, მათი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების სახით გამოცემა და გავრცელება.

კონკურსი იმართება სამ ნომინაციაში: პოეზია, პროზა და ესეი. ასევე, გამოვლინდება საუკეთესო ნორჩი ავტორი (ერთი ნომინაცია); საუკეთესო არაქართველი ავტორი (ერთი ნომინაცია); მკითხველთა რჩეული (თითო-თითო წამახალისებელი პრიზი სამივე ნომინაციაში); ფინალისტები (წამახალისებელი სიგელები ნომინაციაში საუკეთესო ათეულში მოხვედრილ ავტორთათვის).

ჟიური ავლენს 5-10 ფინალისტს თითოეულ ნომინაციაში. საუკეთესო ნაწარმოების ავტორებს კი გადაეცემათ ფულადი პრემია და ფასიანი საჩუქრები. საუკეთესო ნაწარმოებები შედის კონკურსის ფარგლებში გამოცემულ კრებულში, რომელიც იბეჭდება არანაკლებ 500-იანი ტირაჟით.

› საქართველოს ეროვნული პრემია და ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია

„საქართველოს ეროვნული პრემია“ ენიჭება პირს საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, სამედიცინო, სიცოცხლის შემსწავლელი ან საინჟინრო მეცნიერების დარგში მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომისა ან ნაშრომთა ციკლისათვის, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა არა მარტო ქართული მეცნიერების, არამედ მსოფლიოს სულიერ, სოციალურ ან/და ეკონომიკურ განვითარებაში. პრემია გაიცემა ყოველწლიურად ორ პირზე, თითოეულზე 10 000 ლარის ოდენობით.

„ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია“ კი ენიჭება პირს ლიტერატურის დარგში (პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა) უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებისათვის, რომელიც მხატვრულ ღირსებათა გამო საერთო ეროვნულ აღიარებას მოიპოვებს. იგი უნდა პასუხობდეს თავისუფლების, ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებს. პრემია გაიცემა 2 წელიწადში ერთხელ და გამარჯვებული ერთი პირი ჯილდოვდება 5 000 ლარის ოდენობით.

› გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემია

„გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემია“ აფხაზეთის მთავრობის უმაღლესი ჯილდოა ლიტერატურის, მეცნიერების, პუბლიცისტიკის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგებში. იგი ენიჭება ბოლო ორი წლის განმავლობაში წიგნად გამოცემულ ორიგინალურ ლიტერატურულ ნაწარმოებს (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული, პიესა), უცხოური ნაწარმოების ქართულ თარგმანს, ლიტერატურული კრიტიკისა და დოკუმენტური პროზის ნიმუშებს (არ განიხილება საბავშვო ლიტერატურა). ასევე, ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების დარგებში შექმნილ ნაწარმოებს (ნაშრომს), რომელმაც მხატვრულ და სხვა ღირსებათა გამო აღიარება მოიპოვა, ეხმაურება თავისუფლების, ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის იდეას და წარმოადგენს შენაძენს ქართული და აფხაზური ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების დარგებში. ყველა გამარჯვებული შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდებას, ასევე დიპლომსა და 3 ათასი ლარის ოდენობის ჯილდოს იღებს.

› კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „სილქნეტის“ ერთობლივი პროექტია, რომლის მიზანიც ნიჭიერი თაობის აღმოჩენა და მათთვის გზის გაკვალვაა. იგი პირველად 2008 წელს ჩატარდა და ყოველწლიური სახე მიიღო. კონკურსში მონაწილეობას იღებენ საქართველოში აკრედიტებული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. ჟიური დაკომპლექტებულია თანამედროვე ქართველი მწერლებისგან, რომლებიც გამარჯვებულს რამდენიმეეტაპიანი კონკურსის შედეგად ავლენენ.

› იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო პრემია

იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემია „მწერალთა სახლის“ მიერ 2017 წელს დაარსდა. პრემია ემსახურება საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებას, მისი მიზანია საბავშვო მწერლობის პოპულარიზაცია და გამომცემლების წახალისება. ნომინაციების დიდი ნაწილი ასაკობრივადაა დაყოფილი. პრემია აფასებს არა მხოლოდ მწერლებს, არამედ საბავშვო წიგნების ილუსტრატორებსაც. საბავშვო ლიტერატურული პრემია გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:

- » საუკეთესო პოეტური წიგნი (ორი პრემია)
- » საუკეთესო პროზაული წიგნი (სამი პრემია)
- » საუკეთესო ილუსტრირებული წიგნი (სამი პრემია)
- » საუკეთესო საბავშვო დრამატურგია
- » საუკეთესო დებიუტი
- » საუკეთესო ნათარგმნი საბავშვო/საყმაწვილო წიგნი
- » საბავშვო/საყმაწვილო ინოვაციური პროექტი
- » პრემია საბავშვო ლიტერატურაში გაწეული ღვაწლისთვის

პრემია წარმოადგენს პრიზს და ფულად ჯილდოს, საპრიზო ფონდი თითოეულ ნომინაციაში 2,000 ლარია, ხოლო საბავშვო ლიტერატურაში გაწეული ღვაწ-ლისთვის – 3,000 ლარი.

3.8 მკითხველთა კვლეევის შედეგები

› წიგნის მკითხველთა წილი მთელ მოსახლეობაში

მოცემული ქვეთავი აღწერს საქართველოს დედაქალაქისა და რამდენიმე დიდი რეგიონული ქალაქის (ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, თელავი, გორი) მკვიდრთა წიგნის კითხვისა და შეძენის ჩვევას როგორც პანდემიამდე, ასევე მისი მიმდინარეობისას. კვლევის შედეგების თანახმად, 16+ მოსახლეობა ორ თანაბარ ნაწილად იყოფა: 50%, რომელიც გარკვეული სიხშირით კითხულობს წიგნებს და 50%, რომელსაც 2020 წლის მანძილზე ერთი წიგნიც არ წაუკითხავს სრულად. წიგნის მკითხველთა რაოდენობა თბილისში (51,8%) მცირედით აჭარბებს რეგიონში მცხოვრებთა მაჩვენებელს (45,4%).

წიგნის მკითხველთა წილი / ჯამური სურათი



წყარო: მოსახლეობის სრული შერჩევითი ერთობლიობა

უფრო კონკრეტულად, განხილულ რეგიონულ ქალაქებს შორის, მკითხველთა რაოდენობით უპირატესობას გორი (56,1%) და თელავი (54,5%) ფლობენ, ყველაზე ნაკლები მკითხველი კი ბათუმსა (45,2) და ქუთაისში (39,4%) ფიქსირდება, სადაც მკითხველები მთელ მოსახლეობაში უმცირესობაში არიან.

წიგნის მკითხველთა წილი / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი	ბათუმი	ზუგდიდი	თელავი	გორი
წაიკითხა მხატვრული ან არამხატვრული ლიტერატურა (კვლევის სეგმენტი)	37.3%	41.8%	46.4%	53.7%	55.2%
წაიკითხა მხოლოდ სხვა კატეგორია (მაგ., სასწავლო, კულინარიული, ა. შ.)	2.1%	3.4%	4.3%	0.9%	0.9%
საერთოდ არ წაუკითხავს წიგნი	60.6%	54.8%	49.3%	45.5%	43.9%

წყარო: მოსახლეობის სრული შერჩევითი ერთობლიობა

წიგნის კითხვის პრაქტიკის თვალსაზრისით, კვლევამ ასაკობრივი და სქესთა შორის განსხვავებაც გამოავლინა. კერძოდ, კაცებთან შედარებით ქალები საგრძნობ უპირატესობას ფლობენ (ქალები – 59,3%, მამაკაცები – 38,4%), ახალგაზრდა რესპონდენტები კი უფრო არიან წიგნის კითხვისკენ მიდრეკილნი. ასაკის მატებასთან ერთად ეს ჩვევა 65,3%-დან 38,3%-მდე მცირდება.

წიგნის მკითხველთა წილი / სქესის და ასაკის ჭრილი

	ქალი	კაცი	16-24 წლის	25-34 წლის	35-44 წლის	45-54 წლის	55-64 წლის	65 + წლის
წაიკითხა მხატვრული ან არამხატვრული ლიტერატურა (კვლევის სეგმენტი)	52.7%	34.5%	61.1%	52.8%	45.3%	35.7%	33.3%	35.3%
წაიკითხა მხოლოდ სხვა კატეგორია (მაგ., სასწავლო, კულინარიული, ა. შ.)	6.6%	3.9%	4.2%	3.4%	6.1%	7.3%	5.0%	6.7%
საერთოდ არ წაუკითხავს წიგნი	40.7%	61.6%	34.7%	43.8%	48.6%	57.0%	61.7%	57.9%

წყარო: მოსახლეობის სრული შერჩევითი ერთობლიობა

მოცემული კვლევის სამიზნე სეგმენტს წარმოადგენდა მკითხველთა ის კატეგორია, რომელსაც წაუკითხავს მხატვრული ან არამხატვრული ლიტერატურის თუნდაც 1 წიგნი, თუმცა შედეგებიდან გამორიცხულია რესპონდენტები, რომლებიც მხოლოდ შემდეგი კატეგორიების წიგნებს ეცნობიან: რელიგია, პროფესიული/სასწავლო ლიტერატურა, სამოგზაურო/გეოგრაფიული, კულინარიული წიგნები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები და გზამკვლევები. მათი წილი მოსახლეობაში 5,4%-ს შეადგენს.

საგულისხმოა, რომ ზოგადად მხოლოდ არამხატვრული ლიტერატურით დაინტერესებულთა წილი მთელ საზოგადოებაში საკმაოდ დაბალია, რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ქვემოთ წარმოდგენილი შედეგები უმთავრესად მხატვრული ლიტერატურის მკითხველთა ქცევას ასახავს.

› წიგნის კითხვის სიხშირე

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, თუ რა ინტენსივობით კითხულობენ რესპონდენტები წიგნებს. შედეგების თანახმად, მკითხველი მოსახლეობის ნახევარზე მეტი (56%) მინიმუმ კვირაში ერთხელ უთმობს დროს მხატვრულ თუ არამხატვრულ ლიტერატურას, საიდანაც 19% ინტენსიური, ყოველდღიურად მკითხველია. მკითხველი მოსახლეობის თითქმის მეოთხედი (23%) კი საკმაოდ იშვიათად, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ორ-სამ თვეში ერთხელ კითხულობს.

კითხვის ინტენსივობას შორის განსხვავება აღინიშნება თბილისსა და რეგიონებში. თუ დედაქალაქში მცხოვრები ყოველი 10 მკითხველიდან 6 შედარებით აქტიურად, მინიმუმ კვირაში ერთხელ კითხულობს წიგნებს, რეგიონში ისინი უმცირესობაში არიან (44%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში გამოკითხულთა მეხუთედი (20%) ყოველდღე ატარებს გარკვეულ დროს წიგნებთან, რეგიონის 14%-ის საპირისპიროდ. რეგიონში კითხვის ყველაზე გავრცელებული სიხშირე ორ-სამ თვეში ერთხელაა (22%). თბილისში კონკრეტული ინტენსივობა ნაკლებადაა გამოკვეთილი. აქ მკითხველთა თანაბარი რაოდენობა კითხულობს როგორც ყოველ დღე (20%), ასევე 2-3 დღეში ერთხელ (19%) და კვირაში ერთხელ (20%).

› წიგნის კითხვის სიხშირე / ჯამური სურათი



წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

რეგიონულ ქალაქებს შორის შედარებით უკეთესი მდგომარეობა ინტენსიურად, ყოველდღე კითხვის კუთხით, გორში (24%) აღინიშნება, შედარებით უარესი კი – ზუგდიდში (4%). ამ უკანასკნელში მკითხველი მოსახლეობა ძირითადად თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად კითხულობს (72%). იგივე სიხშირით ატარებს დროს წიგნებთან მკითხველთა ნახევარი ბათუმსა (51%) და თელავშიც (55%). განხილულ ქალაქებს შორის, მინიმუმ კვირაში ერთხელ წიგნის წაკითხვას ახერხებს ქუთაისისა (61%) და გორის (57%) მკითხველთა ნახევარზე მეტი, ბათუმსა (36%) და თელავში – მესამედი (34%), ზუგდიდში კი – მხოლოდ 16%.

წიგნის კითხვის სიხშირე / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=100)	ბათუმი (N=100)	ზუგდიდი (N=100)	თელავი (N=100)	გორი (N=100)
ყოველდღე	15%	12%	4%	16%	24%
2-3 დღეში ერთხელ	24%	11%	4%	12%	19%
კვირაში ერთხელ	22%	13%	8%	7%	14%
ორ კვირაში ერთხელ	4%	13%	11%	10%	10%
თვეში ერთხელ	10%	15%	20%	12%	11%
ორ-სამ თვეში ერთხელ	16%	25%	27%	33%	18%
წელიწადში ერთხელ	10%	11%	25%	10%	4%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=500

სქესთა შედარებისას დადგინდა, რომ აქტიურად, მინიმუმ კვირაში ერთხელ მკითხველი ქალები (59%) აჭარბებენ კაცებს (49%). ასაკობრივ კატეგორიებს შორის კი ყველაზე ასაკოვანი (55+) და ყველაზე ახალგაზრდა რესპონდენტები მცირედით აქტიურად უთმობენ კითხვას დროს. ყოველი 10 გამოკითხულიდან, 6 კითხულობს კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად. მნიშვნელოვნად არ ჩამოუვარდებიან 25-54 წლის მკითხველებიც. მათი ნახევარი (51-52%) დროს წიგნებთან აღნიშნული სიხშირით ატარებს.

წიგნის კითხვის სიხშირე / სქესის და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=764)	კაცი (N=236)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
ყოველდღე	21%	14%	20%	13%	15%	29%
2-3 დღეში ერთხელ	18%	18%	23%	20%	13%	19%
კვირაში ერთხელ	20%	17%	16%	19%	23%	16%
ორ კვირაში ერთხელ	8%	8%	9%	9%	9%	5%
თვეში ერთხელ	12%	15%	11%	12%	11%	17%
ორ-სამ თვეში ერთხელ	15%	18%	15%	18%	16%	13%
წელიწადში ერთხელ	6%	10%	6%	8%	12%	2%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

› წასაკითხი წიგნის შერჩევის კრიტერიუმები

კვლევის ფარგლებში დადგინდა ფაქტორები, რომელიც ყველაზე მეტად ზემოქმედებს მკითხველებზე წასაკითხი წიგნის შერჩევისას. აღმოჩნდა, რომ ამ დროს მკითხველი მოსახლეობა, უპირველეს ყოვლისა, ახლობლებისა და მეგობრების რეკომენდაციით ხელმძღვანელობს (46%), არანაკლებ მნიშვნელოვანია წიგნის შინაარსი და ანოტაციაც (42%), გამოკითხულთა თითქმის მესამედი (31%) კი უკვე ცნობილი ნაწარმოებებიდან გამომდინარე აკეთებს არჩევანს ამა თუ იმ ავტორზე. რესპონდენტთა მცირე ნაწილისთვის (17%-17%) თანაბრად მნიშვნელოვანია ავტორსა და წიგნზე არსებული დადებითი შეფასებები. გავლენის მქონე ფაქტორებს შორის სახელდება ნაწარმოების წაკითხვის აუცილებლობაც. თუმცა ყოველი 10 გამოკითხულიდან, იგი მხოლოდ ერთის არჩევანზე ახდენს გავლენას (10%). ამასთან, წამყვანი

მიზეზები საერთოა როგორც თბილისის, ასევე რეგიონის მკითხველთათვის მცირედი განსხვავებით. თუ დედაქალაქში მცხოვრებთათვის თანაბრად მნიშვნელოვანია მეგობრების რეკომენდაცია და წიგნის შინაარსი/ანოტაცია (44%-44%), რეგიონებში მეგობრების თუ ახლობლების აზრს აყენებენ პირველ (51%), წიგნის შინაარსს / ანოტაციას კი მეორე ადგილზე (39%).

წასაკითხი წიგნის შერჩევის კრიტერიუმები / ჯამური სურათი[24]



წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

24 მონაცემთა ჯამი აღემატება 100%-ს, რადგან დასაშვები იყო რამდენიმე პასუხი.

წიგნის შერჩევაზე მოქმედი წამყვანი ფაქტორები უმეტესად საერთოა განხილული რეგიონული ქალაქებისთვის მცირედი განსხვავებებით. თუ ბათუმში (49%), ზუგდიდში (52%), ქუთაისსა (53%) და გორში (56%) წიგნის შერჩევისას უპირველესად მეგობრების და ახლობლების აზრს ითვალისწინებენ, თელაველი მკითხველები შინაარსს და ანოტაციას უფრო აქცევენ ყურადღებას (56%).

წასაკითხი წიგნის შერჩევის კრიტერიუმები / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=100)	ბათუმი (N=100)	ზუგდიდი (N=100)	თელავი (N=100)	გორი (N=100)
მეგობრის/ახლობლის რჩევა	53%	49%	52%	36%	56%
შევარჩიე წიგნის შინაარსით / ანოტაციით	42%	38%	36%	56%	32%
ვარჩევ ავტორის სხვა ნაწარმოებების მიხედვით	33%	30%	23%	30%	34%
დადებითი შეფასებები მსმენია წიგნზე	17%	27%	15%	22%	11%
დადებითი შეფასებები მსმენია ავტორზე	21%	20%	19%	14%	18%
ვფიქრობ, რომ აუცილებელი წასაკითხია	8%	17%	8%	17%	20%
ვნახე რეკლამა / გადაცემა	5%	7%	3%	13%	11%
მაქვს ნანახი წიგნის ეკრანიზაცია	5%			1%	5%
კონსულტანტის რჩევით	8%	8%	11%	1%	1%
ფასდაკლების აქციებიდან გამომდინარე	5%	4%	6%	1%	1%
ვარჩევ გამომცემლის მიხედვით	2%	2%	3%	1%	6%
ვარჩევ ყდის/დიზაინის მიხედვით	1%	5%		1%	1%
წიგნის ფასიდან გამომდინარე	1%		6%		1%
ბავშვის არჩევანის/მოთხოვნის მიხედვით	1%	1%	2%		
მიჭირს პასუხის გაცემა	1%	2%			

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=500

მცირედი სხვაობა ვლინდება სქესისა და ასაკის ჭრილშიც. თუ ქალებისთვის წიგნის შერჩევისას თითქმის თანაბრად მნიშვნელოვანია შინაარსი/ანოტაცია (45%) და მეგობრების/ახლობლების რჩევა (43%), კაცების ნახევარი უპირველესად მეგობრის/ახლობლის რეკომენდაციაზე დაყრდნობით ირჩევს წიგნებს (50%), შინაარსი კი შედარებით მეორეხარისხოვანია (37%). რაც შეეხება ასაკობრივ განსხვავებას, ახალგაზრდებისთვის (16-24 წლის) თითქმის თანაბარი წონა აქვს წიგნის შინაარსს/ანოტაციას (53%) და მეგობრების/ახლობლების რჩევას (51%). ყველა სხვა მიზეზი მინიმუმ ორჯერ ნაკლები მნიშვნელობისაა მათთვის. ყველაზე ასაკოვნები (55+) კი წიგნს კითხულობენ, ერთი მხრივ, შინაარსიდან და ანოტაციიდან (45%), მეორე მხრივ კი, მათთვის უკვე ცნობილი ავტორისგან მიღებული შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე (41%). გამოვლინდა ტენდენცია, რომ ასაკის მატებასთან ერთად, მკითხველები ახლობლების რჩევას უფრო და უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ (შემცირება 51%-დან 30%-მდე), მაშინ, როდესაც უკვე ნაცნობი ავტორების აქტუალობა იზრდება (26%-დან 41%-მდე).

წასაკითხი წიგნის შერჩევის კრიტერიუმები / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=764)	კაცი (N=236)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
მეგობრის/ახლობლის რჩევა	43%	50%	51%	53%	47%	30%
შევარჩიე წიგნის შინაარსით / ანოტაციით	45%	37%	53%	37%	36%	45%
ავტორის სხვა ნაწარმოებების მიხედვით	30%	33%	26%	26%	33%	41%
დადებითი შეფასებები მსმენია წიგნზე	18%	16%	21%	18%	16%	16%
დადებითი შეფასებები მსმენია ავტორზე	19%	12%	19%	14%	18%	15%

ვფიქრობ, რომ აუცილებელი წასაკითხია	10%	11%	15%	7%	10%	8%
ვნახე რეკლამა / გადაცემა	8%	6%	9%	6%	7%	6%
მაქვს ნანახი წიგნის ეკრანიზაცია	4%	6%	8%	4%	3%	3%
კონსულტანტის რჩევით	4%	2%	3%	2%	4%	3%
ფასდაკლების აქციებიდან გამომდინარე	4%	1%	1%	5%	3%	3%
ვარჩევ გამომცემლის მიხედვით	3%	2%	2%	3%	2%	3%
ვარჩევ ყდის/დიზაინის მიხედვით	2%	3%	5%	4%	1%	1%
წიგნის ფასიდან გამომდინარე	1%	2%	2%	1%	1%	1%
ბავშვის არჩევანის/ მოთხოვნის მიხედვით	1%			1%	0.2%	1%
განწყობის მიხედვით, შემთხვევით	1%				0.4%	1%
საჭიროების მიხედვით	0.4%				1%	
წიგნის დასახელების მიხედვით		1%		1%		
მიჭირს პასუხის გაცემა	0.2%	0.5%	0.2%			1%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

› არჩევანი კლასიკურ და თანამედროვე ლიტერატურას შორის

საინტერესოა, რა პერიოდის წიგნებს კითხულობენ ქართველები. კვლევის შედეგების თანახმად, როგორც თბილისში (54%), ასევე რეგიონებში (50%), მკითხველთა ნახევრისთვის მნიშვნელობა არ აქვს წიგნის გამოცემის პერიოდს – კითხულობენ როგორც კლასიკას, ასევე თანამედროვე ლიტერატურას. 15% გადაწყვეტილებას ავტორისა და სათაურის მიხედვით იღებს. მკითხველთა დარჩენილ ნაწილში კი თითქმის თანაბრად არიან წარმოდგენილი როგორც მხოლოდ კლასიკის (15%), ასევე მხოლოდ თანამედროვე ავტორების (13%) მოყვარულები.

კლასიკური და თანამედროვე წიგნები / ჯამური სურათი



წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

მართალია, ახალი და ძველი წიგნების შერჩევის კუთხით არსებითი განსხვავება თბილისისა და რეგიონების მკითხველთა შორის არ დასტურდება, თუმცა საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა უშუალოდ რეგიონული ქალაქების შედარებისას. მაგალითად, ზუგდიდში (75%), თელავსა (62%) და გორში (60%) მკითხველები შედარებით ნაკლებად გამოარჩევენ წიგნებს გამოცემის პერიოდის მიხედვით. მოსახლეობის უმრავლესობა აქ თანაბარ ყურადღებას უთმობს კლასიკურ და თანამედროვე წიგნებს. შეიძლება ითქვას, ქუთაისში მკითხველი საზოგადოება შედარებით უფრო კრიტიკულია ავტორისა და სათაურის მიმართ (21%). აქ არის წარმოდგენილი მხოლოდ კლასიკური ნაწარმოებების მკითხველთა შედარებით მეტი რაოდენობაც (25%).

კლასიკური და თანამედროვე წიგნები / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=100)	ბათუმი (N=100)	ზუგდიდი (N=100)	თელავი (N=100)	გორი (N=100)
როგორც ძველი, ასევე ახალი გამოცემები	38%	45%	75%	62%	60%
მხოლოდ კლასიკა	25%	19%	8%	17%	15%
მხოლოდ თანამედროვე ავტორები	14%	11%	4%	4%	13%
დამოკიდებულია ავტორსა და წიგნის დასახელებაზე	21%	12%	9%	16%	10%
მიჭირს პასუხის გაცემა	2%	14%	4%	1%	1%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=500

ახალი თუ ძველი წიგნების გამორჩევის კუთხით სქესთა შორის განსხვავდება უმნიშვნელოა: როგორც ქალების (56%), ასევე კაცების (48%) უმრავლესობა კითხულობს კლასიკოსებსაც და თანამედროვე ავტორებსაც. შედარებით თვალსაჩინოა განსხვავება ასაკობრივ ჭრილში. მართალია, ამ შემთხვევაშიც რესპონდენტთა ნახევარი (49%-57%) ნაკლებ ყურადღებას აქცევს წიგნის ასაკს, თუმცა მეორე ნახევრიდან გამომდინარე იკვეთება ტენდენცია – ასაკის მატებასთან ერთად საზოგადოებაში იმატებს კლასიკური ნაწარმოებებით დაინტერესებულთა რიცხვი (9-დან 27%-მდე), თანამედროვე ავტორების შემთხვევაში კი პირიქით – მცირდება (17%-დან 5%-მდე).

საგულისხმოა ისიც, რომ წიგნის ავტორსა და სათაურს ახალგაზრდებისთვის უფრო აქვს მნიშვნელობა (21%), ვიდრე შედარებით ასაკოვნებისთვის (13%).

კლასიკური და თანამედროვე წიგნები / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=764)	კაცი (N=236)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
როგორც ძველი, ასევე ახალი გამოცემები	56%	48%	49%	57%	53%	54%
მხოლოდ კლასიკა	14%	19%	9%	13%	14%	27%
მხოლოდ თანამედროვე ავტორები	14%	11%	17%	14%	15%	5%
არჩევანი დამოკიდებულია ავტორსა და წიგნის დასახელებაზე	14%	17%	21%	11%	16%	13%
მიჭირს პასუხის გაცემა	2%	6%	4%	5%	2%	2%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

› წაკითხული წიგნების კატეგორიები

კვლევამ აჩვენა, რომ 2020 წელს ერთი წიგნი მაინც წაუკითხავს მხატვრული ლიტერატურიდან თითქმის ყველა მკითხველს (97%), რომელთაგან 86,5% ძირითადად სწორედ ამ მიმართულებას ანიჭებს უპირატესობას. არამხატვრულ ლიტერატურას კი, რომელსაც ზოგადად მკითხველთა მესამედი (34%) გაეცნო, ძირითად საკითხავად 13,5% ირჩევს.

წიგნის კატეგორიების წილი მკითხველებში / ჯამური სურათი[25]



წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

უფრო კონკრეტულად, წიგნის კატეგორიებს შორის თანაბარი წარმატებით იკითხება როგორც თანამედროვე ლიტერატურა (51%), ასევე კლასიკური ნაწარმოებები (51%). ისინი ძირითად საკითხავს წარმოადგენს მკითხველთა 57%-ისთვის. მათ მინიმუმ 2-ჯერ ჩამორჩება სხვა პოპულარული კატეგორიები: დეტექტივი/ჰორორი/მისტიკა (ზოგადად 23%, ძირითადად 11%), პოეზია (ზოგადად 16%, ძირითადად 3%) და საბავშვო წიგნები (ზოგადად 12%, ძირითადად 6%).

ბუნებრივია, 7 წლამდე ბავშვიან მკითხველებში გაცილებით მაღალია საბავშვო წიგნების კითხვის მაჩვენებელი (35%). აღნიშნული სეგმენტი მკითხველთა მეხუთედს წარმოადგენს (20%).

არამხატვრული ლიტერატურიდან მკითხველები არჩევანს უმეტესად აჩერებენ: ისტორიულ / პოლიტიკურ / კულტურასთან დაკავშირებულ (13%), ბიოგრაფიულ (მემუარები) (10%) და პროფესიულ / დარგობრივ წიგნებზე (8%). აღნიშნული ტენდენცია საერთოა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

25 მონაცემთა ჯამი აღემატება 100%-ს, რადგან რესპონდენტთა ნაწილს წაუკითხავს როგორც მხატვრული, ასევე არამხატვრული ლიტერატურა.

წიგნის ყველა და ძირითადად წაკითხული კატეგორიები / ჯამური სურათი[26]

	ჯამური სურათი (N=1000)	თბილისი (N=500)	რეგიონები (N=500)	ძირითადი კატეგორია (N=1000)
თანამედროვე ლიტერატურა	51%	53%	45%	30%
კლასიკა / თანამედროვე კლასიკა	51%	52%	46%	27%
დეტექტივი, ჰორორი, მისტიკა	23%	25%	18%	11%
საბავშვო წიგნები	12%	11%	15%	6%
პოეზია	16%	17%	13%	3%
კომიქსი, გრაფიკული რომანი	7%	5%	11%	3%
სამეცნიერო ფანტასტიკა, ფენტეზი, უტოპია	9%	11%	3%	2%
ლიტერატურა მოზარდებისთვის	9%	10%	5%	2%
დრამატურგია	6%	6%	5%	1%
სულ				86%
ისტორია, პოლიტიკა, კულტურა	13%	17%	3%	4%
პროფესიული / სასწავლო	8%	9%	4%	2%
სამეცნიერო-პოპულარული	6%	7%	3%	2%
ბიოგრაფიები, მემუარები, წერილები	10%	12%	5%	1%
წიგნები ხელოვნებაზე / ალბომები	6%	7%	2%	1%
რელიგია	7%	8%	4%	1%
კულინარიული წიგნები	5%	6%	4%	1%
წიგნები თვითგანვითარებისთვის	4%	5%	1%	0.3%
ენციკლოპედიები, ლექსიკონები, გზამკვლევები	5%	6%	2%	0.2%
ესეისტიკა და კრიტიკა	2%	3%	1%	0.1%
ტურისტული, გეოგრაფიული	2%	2%	1%	
სხვა	1%	1%	1%	0.2%
სულ				13%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

26 მონაცემთა ჯამი „ყველა კატეგორიისთვის“ აღემატება 100%-ს, რადგან დასაშვები იყო ყველა წაკითხული კატეგორიის დასახელება, „ძირითადი კატეგორიის“ შემთხვევაში კი – მხოლოდ ერთის.

მხატვრული ლიტერატურის ყველაზე აქტიურად კითხვადი კატეგორიები (თანამედროვე და კლასიკური ნაწარმოებები) უცვლელია თითოეულ განხილულ რეგიონულ ქალაქშიც. უფრო კონკრეტულად, ქუთაისში მას თანაბარი წარმატებით კითხულობენ (48% და 45%), ბათუმში, თელავსა და გორში კლასიკურ ნაწარმოებებს უფრო ანიჭებენ უპირატესობას (შესაბამისად 47%, 39%, 57%), ზუგდიდში კი საგრძნობლად ლიდერობს თანამედროვე ლიტერატურა (69%). გარდა ამისა, ქუთაისში (15%), ზუგდიდსა (17%) და გორში (39%) ყველაზე აქტიურად წაკითხვადი კატეგორიების სამეულშია დეტექტივებიც, ბათუმში მას საბავშვო წიგნები ანაცვლებს (22%), თელავში კი კომიქსები და გრაფიკული რომანები (18%).

არამხატვრული ლიტერატურის მიმართ საკმაოდ დაბალია ინტერესი რეგიონულ ქალაქებშიც. შედარებით მეტი მკითხველი ამ მიმართულებით გორში ფიქსირდება, თუმცა ყველაზე პოპულარულ კატეგორიას – რელიგიური შინაარსის წიგნებსაც კი აქ ყოველი 10 გამოკითხულიდან მხოლოდ 1 ეცნობა (12%). თითქმის ამდენივე ფიქსირდება ისტორიულ-პოლიტიკური (11%), პროფესიული (10%) და კულინარიული წიგნების (10%) შემთხვევაშიც. აღმოჩნდა, რომ ქუთაისსა და ზუგდიდში არამხატვრული ლიტერატურით დაინტერესების დონე ყველაზე დაბალია. საუკეთესო მაჩვენებელი აქ მხოლოდ 3%-4%.

წიგნის ყველა წაკითხული კატეგორია / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=100)	ბათუმი (N=100)	ზუგდიდი (N=100)	თელავი (N=100)	გორი (N=100)
	მხატვრული ლიტერატურა				
თანამედროვე ლიტერატურა	48%	36%	69%	29%	44%
კლასიკა / თანამედროვე კლასიკა	45%	47%	36%	39%	57%
დეტექტივი, ჰორორი, მისტიკა	15%	13%	17%	16%	39%
პოეზია	9%	14%	7%	8%	24%
საბავშვო წიგნები	7%	22%	11%	17%	16%

სამეცნიერო ფანტასტიკა, ფენტეზი, უტოპია	3%	1%	2%	6%	9%
ლიტერატურა მოზარდებისთვის	4%	5%	6%	2%	10%
კომიქსი, გრაფიკული რომანი	14%	8%	7%	18%	11%
დრამატურგია	5%	5%	3%	6%	7%
			არამხატვრული ლიტერატურა		
ისტორია, პოლიტიკა, კულტურა	2%		3%	9%	11%
ბიოგრაფიები, მემუარები, წერილები	3%	7%	2%	5%	9%
პროფესიული / სასწავლო	2%	5%		3%	10%
რელიგია	4%	3%	1%	4%	12%
სამეცნიერო-პოპულარული	4%	3%		5%	5%
წიგნები ხელოვნებაზე / ალბომები	2%	2%			6%
კულინარიული წიგნები	3%	2%	1%		10%
ენციკლოპედიები, ლექსიკონები, გზამკვლევები	1%	1%			8%
წიგნები თვითგანვითარებისთვის	1%			1%	3%
ესეისტიკა და კრიტიკა	1%		1%		1%
ტურისტული, გეოგრაფიული, ატლასები		1%	2%		5%
სხვა	1%	1%			

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=500

თანამედროვე ლიტერატურასა და კლასიკაზე აჩერებენ არჩევანს როგორც ქალები (თანამედროვე – 55%, კლასიკა – 48%), ასევე კაცები (თანამედროვე – 43%, კლასიკა – 55%). ყველაზე პოპულარულ კატეგორიათა სამეულში ორივე შემთხვევაში შედის დეტექტივები/ჰორორი/მისტიკაც, თუმცა მამაკაცები მცირედით მეტად ინტერესდებიან (29%). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბავშვო (16%) და მოზარდებისთვის განკუთვნილ ლიტერატურას (11%) ძირითადად ქალი მკითხველები ჰყავს.

არამხატვრული ლიტერატურის კითხვის მაჩვენებელი დაბალია სქესის მიუხედავად, თუმცა ქალებთან შედარებით, მცირედით მაღალია წამყვანი კატეგორიით – ისტორია/ პოლიტიკა/ კულტურით დაინტერესება კაცებში (11% vs 18%). გენდერული ბალანსი დაცულია მეორე ადგილზე არსებული ბიოგრაფიების/მემუარების კითხვისას, რომელსაც ყოველი გამოკითხული 10 რესპონდენტიდან, მხოლოდ თითო-თითო მკითხველი ჰყავს (10%-10%).

ზოგადი ტენდენციიდან მნიშვნელოვანი გადახრა არ დასტურდება ასაკის ჭრილშიც. წლოვანების მიუხედავად, მკითხველები უმეტესად კლასიკას, თანამედროვე ლიტერატურასა და დეტექტივს/ ჰორორს/მისტიკას ანიჭებენ უპირატესობას. ასაკის მატებასთან ერთად თანამედროვე ლიტერატურის კითხვის მაჩვენებელი 54%-დან 44%-მდე მცირდება, კლასიკის კი 48%-დან 61%-მდე იმატებს.

არამხატვრული ლიტერატურით დაინტერესება მცირედით მაღალია ყველაზე ახალგაზრდა თაობაში (16-24 წლის), რომელთა თითქმის მეხუთედს (18%) წაუკითხავს ისტორიულ-პოლიტიკური და კულტურასთან დაკავშირებული ლიტერატურა.

წიგნის ყველა წაკითხული კატეგორია / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=764)	კაცი (N=236)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
მხატვრული ლიტერატურა						
თანამედროვე ლიტერატურა	55%	43%	54%	57%	49%	44%
კლასიკა / თანამედროვე კლასიკა	48%	55%	48%	43%	51%	61%
დეტექტივი, ჰორორი, მისტიკა	21%	29%	33%	23%	16%	23%
პოეზია	17%	15%	19%	12%	15%	19%
საბავშვო წიგნები	16%	4%	4%	16%	16%	9%
სამეცნიერო ფანტასტიკა, ფენტეზი, უტოპია	7%	14%	18%	11%	5%	5%
ლიტერატურა მოზარდებისთვის	11%	4%	16%	7%	8%	3%
კომიქსი, გრაფიკული რომანი	6%	8%	11%	7%	5%	4%
დრამატურგია	6%	7%	13%	6%	2%	4%
არამხატვრული ლიტერატურა						
ისტორია, პოლიტიკა, კულტურა	11%	18%	18%	9%	13%	14%
ბიოგრაფიები, მემუარები, წერილები	10%	10%	12%	11%	5%	14%
პროფესიული / სასწავლო	7%	10%	14%	10%	4%	5%
რელიგია	7%	7%	10%	6%	5%	7%

სამეცნიერო-პოპულარული	5%	8%	6%	6%	5%	8%
წიგნები ხელოვნებაზე / ალბომები	7%	5%	6%	5%	5%	9%
კულინარიული წიგნები	7%	2%	2%	5%	5%	9%
ენციკლოპედიები, ლექსიკონები, გზამკვლევები	4%	7%	7%	6%	3%	5%
წიგნები თვითგანვითარებისთვის	4%	5%	7%	4%	4%	1%
ესეისტიკა და კრიტიკა	2%	2%	5%	1%	1%	2%
ტურისტული, გეოგრაფიული	1%	4%	5%		2%	2%
სხვა	0.3%	3%	3%	1%	0.4%	

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

› წაკითხული წიგნების ჟანრები

კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ საქართველოს მკითხველ მოსახლეობაში ყველაზე პოპულარულია რომანები, რომელიც ყოველი 10 მკითხველიდან 8-ს (79%) წაუკითხავს. უფრო მეტიც, მათ შორის 6-სთვის (61%) იგი ძირითადი საკითხავი ჟანრია. რომანებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოთხრობები (42%) და ლექსები (24%). მიუხედავად იმისა, რომ მათთან შეხება ბოლო 1 წლის მანძილზე გამოკითხულთა არც ისე მცირე ნაწილს ჰქონია, ისინი ძირითად ჟანრებს მხოლოდ მეხუთედისთვის წარმოადგენს (მოთხრობები 14%, ლექსი 6%).

აღნიშნული ტენდენცია მეორდება თბილისი-რეგიონის ჭრილში. ორივე შემთხვევაში დომინანტი ჟანრებია: რომანი (თბ. 81%, რეგ. 74%), მოთხრობები (თბ. 44%, რეგ. 35%) და ლექსები (თბ. 26%, რეგ. 19%), რომელთაც თბილისში მცირედით მეტი მკითხველი ჰყავს. თბილისისა და რეგიონების მკითხველები თანაბრად ინტერესდებიან ზღაპრებით (თბ. 15%, რეგ. 14%) და დრამატურგიითაც

(თბ.10%, რეგ.10%). საგულისხმოა, რომ 7 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებს შორის ზღაპრების კითხვის მაჩვენებელი 34%-ს შეადგენს და მესამე ადგილს იკავებს რომანისა (82%) და მოთხრობების (36%) შემდეგ.

წიგნის ყველა და ძირითადად წაკითხული ჟანრები / ჯამური სურათი[27]



წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

27 მონაცემთა ჯამი „ყველა ჟანრისთვის“ აღემატება 100%-ს, რადგან დასაშვები იყო ყველა წაკითხული ჟანრის დასახელება, „ძირითადი ჟანრის“ შემთხვევაში კი – მხოლოდ ერთის, ძირითადის.

ყველაზე კითხვადი ჟანრების სამეულში მცირედი განსხვავებები გამოიკვეთა უშუალოდ რეგიონული ქალაქების შედარებისას: მაგ., თუ ქუთაისში, ზუგდიდსა და გორში ლიდერობს რომანები (შესაბამისად – 82%, 86%, 76%), მოთხრობები (35%, 22%, 41%) და ლექსები (19%, 13%, 40%), ბათუმსა და თელავში აღნიშნულ სამეულში ლექსებს ზღაპრები ანაცვლებს. ამასთან, ყველაზე პოპულარულ ჟანრს – რომანებს ყველაზე მეტი მკითხველი ზუგდიდსა (86%) და ქუთაისში (82%) ჰყავს, შედარებით ნაკლები კი ბათუმსა (65%) და თელავში (63%).

წიგნის ყველა წაკითხული ჟანრი / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=100)	ბათუმი (N=100)	ზუგდიდი (N=100)	თელავი (N=100)	გორი (N=100)
რომანი	82%	65%	86%	63%	76%
მოთხრობა	35%	37%	22%	27%	41%
ლექსი	19%	13%	13%	18%	40%
ნოველა	16%	10%	5%	10%	19%
ზღაპარი / თქმულება	8%	18%	12%	22%	18%
დრამატურგია (ტრაგედია, კომედია)	9%	13%	7%	10%	8%
იგავ-არაკი	4%	3%	3%	2%	8%
პოემა	4%	1%	3%	3%	9%
ესეები		4%	2%	3%	2%
ჰაგიოგრაფია	1%	2%	2%	1%	4%
ეპოსი / საგა / ბალადა / თქმულება	4%	1%		2%	2%
ეპისტოლარული				3%	2%
ჰიმნოგრაფია				1%	2%
სხვა		2%	1%	15%	1%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=500

ქალებში, ისევე როგორც მამაკაცებში, დაინტერესება თითქმის თანაბარია წამყვანი ჟანრების მიმართ (რომანი (80%, 78%), მოთხრობა (42%, 42%), ლექსი (27%, 20%)), თუმცა ხაზგასასმელია სხვაობა ზღაპრების კითხვის კუთხით. აქ ქალები 2-ჯერ აჭარბებენ მამაკაცებს (18% vs 8%).

რომანი, მოთხრობა და ლექსები წარმოადგენს ინტერესის ძირითად სფეროებს ყველა ასაკობრივ სეგმენტში. აღმოჩნდა, რომ ასაკის მატებასთან ერთად, რომანების მიმართ ინტერესი მცირედით იკლებს (81%-დან 75%-მდე), მოთხრობების (33%-დან 50%-მდე) და ლექსების (21%-დან 33%-მდე) კითხვის ტენდენცია კი მზარდია. მიუხედავად ამისა, ნათელია რომანების საგრძნობი უპირატესობა სხვა ჟანრებთან შედარებით როგორც სქესის, ასევე ასაკის მიუხედავად, ყველა განხილულ ქალაქში.

წიგნის ყველა წაკითხული ჟანრი / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=764)	კაცი (N=236)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
რომანი	80%	78%	81%	81%	80%	75%
მოთხრობა	42%	42%	43%	33%	42%	50%
ლექსი	27%	20%	21%	21%	24%	33%
ნოველა	19%	11%	16%	12%	15%	23%
ზღაპარი / თქმულება	18%	8%	6%	21%	19%	13%
დრამატურგია (ტრაგედია, კომედია)	9%	13%	17%	12%	7%	7%
იგავ-არაკი	8%	4%	8%	6%	7%	4%
პოემა	6%	4%	9%	4%	2%	6%
ესეები	4%	4%	8%	5%	1%	4%
ჰაგიოგრაფია	3%	4%	5%	4%	2%	4%
ეპოსი / საგა / ბალადა / თქმულება	2%	3%	5%	3%	1%	2%
ეპისტოლარული	2%	1%	1%	1%	2%	2%
ჰიმნოგრაფია	1%	1%	2%	0.1%	1%	1%
სხვა	4%	10%	6%	5%	4%	8%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

› წაკითხული წიგნების რაოდენობა და ენები

კვლევის ფარგლებში დადგინდა ისიც, თუ რამდენი წიგნის წაკითხვა შეძლეს საქართველოს დიდ ქალაქებში მცხოვრებმა მკითხველებმა გასულ წელს. აღმოჩნდა, რომ 2020 წლის განმავლობაში, საშუალოდ 13 წიგნი იკითხებოდა, საიდანაც ქართული (6 წიგნი) და თარგმნილი (5 წიგნი) წიგნების შემდეგ, უმცირესობაში მოხვდა უცხოენოვანი ლიტერატურა (2 წიგნი). ამასთან, თბილისელი რესპონდენტების მიერ წაკითხული წიგნების საშუალო რაოდენობა 2-ჯერ უსწრებს რეგიონის მაჩვენებელს (15 წიგნი 7-ის წინააღმდეგ).

უშუალოდ რეგიონულ ქალაქებს შორის თითქმის იდენტური მდგომარეობაა, საშუალოდ 6 წიგნი წელიწადში. გამონაკლისს წარმოადგენს გორი, რომელიც წლის განმავლობაში საშუალოდ 12 წაკითხული წიგნით, ყველაზე მეტად უახლოვდება თბილისის მაჩვენებელს (15 წიგნი).

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ ახალგაზრდა თაობა (16-24 წლის) ყველაზე აქტიურად ეცნობა როგორც ქართულ (7 წიგნი) და თარგმნილ (8 წიგნი), ასევე უცხოენოვან ლიტერატურას (5 წიგნი). ხაზგასასმელია, რომ ასაკის მატებასთან ერთად, წლის განმავლობაში წაკითხული წიგნების რაოდენობა ნახევრდება (20-დან 10-მდე). განსაკუთრებით იკლებს უცხოენოვანი წიგნების წაკითხვის მაჩვენებელი (5-დან 1-მდე). ამ მხრივ სქესთა შორის სხვაობა არ აღინიშნება.

წაკითხული წიგნების საშუალო რაოდენობა

	ქართული	თარგმნილი	უცხოენოვანი	სულ
ჯამური სურათი				
	6	5	2	13
თბილისი / რეგიონის ჭრილი				
თბილისი	7	6	3	15
რეგიონები	3	3	1	7

რეგიონული ქალაქების ჭრილი				
ქუთაისი	2	3	1	6
ბათუმი	3	2	1	6
ზუგდიდი	3	3	1	6
თელავი	3	3	1	6
გორი	6	5	1	12

სქესის ჭრილი	
ქალი	მონაცემები სქესის ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან.
კაცი	

ასაკის ჭრილი				
16-24	7	8	5	20
25-34	5	5	2	13
35-54	5	4	1	11
55 +	6	4	1	10

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

წიგნების მკითხველების დიდ ნაწილს გასული წლის მანძილზე თითქმის თანაბრად წაუკითხავს ქართული (78%) და თარგმნილი (77%) წიგნები. მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩება უცხო ენაზე მკითხველთა რიცხვი, რომელიც განხილულ სეგმენტში მხოლოდ მეოთხედს წარმოადგენს (25%). მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებამ 2020 წელს საშუალოდ 13 წიგნი წაიკითხა, ხაზგასასმელია, რომ უმრავლესობა (55%) წლის მაქსიმუმად მხოლოდ 1-6 წიგნს ასახელებს. მსგავსი, ნაკლებად აქტიური მკითხველების წილი თბილისთან შედარებით (50%) კიდევ უფრო მაღალია რეგიონებში (69%).

წაკითხული წიგნების რაოდენობა / ჯამური სურათი



წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

როგორც უკვე აღინიშნა, რეგიონულ ქალაქებს შორის კითხვის შედარებით მაღალი ინტენსივობა გორში ფიქსირდება (ყოველდღიურად მკითხველი 24%). შესაბამისად, მინიმუმ 7 წიგნის მკითხველები (53,5%) მცირედით სჭარბობენ პასიურ, 1-6 წიგნის მკითხველებს (46,5%). ამ უკანასკნელთა წილი სხვა ყველა ქალაქში გაცილებით მაღალია (69%-79%). საგულისხმოა, რომ უცხო ენაზე მკითხველები მცირედით მეტნი არიან ბათუმსა (26%) და გორში (20%), ყველაზე ნაკლები კი – ზუგდიდში (3%).

წაკითხული წიგნების რაოდენობა / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=100)	ბათუმი (N=100)	ზუგდიდი (N=100)	თელავი (N=100)	გორი (N=100)
	ქართული ლიტერატურა				
არც ერთი	29%	26%	21%	22%	21%
1-დან 6 წიგნამდე	62%	63%	68%	64%	43%
7 და მეტი წიგნი	6%	11%	11%	6%	36%
მიჭირს პასუხი	3%	-	-	7%	-
	თარგმნილი ლიტერატურა				
არც ერთი	27%	29%	25%	33%	13%
1-დან 6 წიგნამდე	59%	64%	62%	50%	62%
7 და მეტი წიგნი	12%	7%	13%	9%	25%
მიჭირს პასუხი	2%	-	-	8%	-
	უცხოური ლიტერატურა				
არც ერთი	85%	74%	97%	88%	79%
1-დან 6 წიგნამდე	15%	22%	2%	8%	18%
7 და მეტი წიგნი	1%	4%	1%	3%	2%
მიჭირს პასუხი	-	-	-	1%	-
	სულ (ქართული, თარგმნილი, უცხოური ლიტერატურა)				
1-6 წიგნი	74%	71%	79%	69%	47%
7 წიგნი და მეტი	23%	29%	21%	21%	54%
მიჭირს პასუხი	3%	-	-	10%	-

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=500

ზოგადი ტენდენციიდან არსებითი გადახრა არ გამოვლენილა ქალებსა და მამაკაცებს შორის. ამ შემთხვევაშიც ორივე სქესის წარმომადგენლებმა უმეტესად 1-6 წიგნი წაიკითხეს. მხოლოდ ქართული წიგნების კითხვისას ფიქსირდება მცირედი სხვაობა ქალების სასარგებლოდ (80% vs 72%).

განხილულ ასაკობრივ კატეგორიებს შორის, აქტიური (7-ზე მეტი წიგნი) მკითხველები ყველაზე დიდი რაოდენობით 16-24 წლის კატეგორიაში გვხვდება, რომლებიც მცირედით უსწრებენ თავისსავე ასაკის შედარებით პასიურ (1-6 წიგნი) მკითხველებსაც (51% vs 48%). ასაკის მატებასთან ერთად ქართული ლიტერატურის მკითხველთა რაოდენობა იზრდება (42%-დან 65%-მდე), თუმცა წლის განმავლობაში წაკითხული წიგნების რაოდენობა უმეტესად 6 წიგნს არ აღემატება. საპირისპირო სურათია თარგმნილი და უცხოური ლიტერატურის შემთხვევაში, რომლის მიმართაც ასაკის მატების პარალელურად ინტერესი მცირედით იკლებს.

მართალია, ინტენსიურად, კვირაში ერთხელ კითხვის სიხშირით ყველაზე ახალგაზრდებს (16-24 წელი) შედარებით ასაკოვნები (55+) მცირედით უსწრებენ (58% vs 63%), თუმცა მათ მიერ წაკითხული წიგნების რაოდენობები შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: ახალგაზრდები უფრო დიდ დროს უთმობენ კითხვას ან უფრო სწრაფად კითხვის უნარი აქვთ. შედეგად, წლის განმავლობაში ისინი 2-ჯერ მეტი წიგნის დასრულებას ახერხებენ.

წაკითხული წიგნების რაოდენობა / ასაკისა და სქესის ჭრილი

	ქალი (N=764)	კაცი (N=236)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
	ქართული ლიტერატურა					
არც ერთი	19%	27%	31%	30%	16%	12%
1-დან 6 წიგნამდე	57%	55%	42%	51%	64%	65%
7 და მეტი წიგნი	23%	17%	27%	18%	19%	21%
მიჭირს პასუხი	1%	1%	0.3%	2%	1%	1%
	თარგმნილი ლიტერატურა					
არც ერთი	**მონაცემები სქესის ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან**		16%	17%	26%	30%
1-დან 6 წიგნამდე			54%	59%	56%	54%
7 და მეტი წიგნი			30%	22%	16%	15%
მიჭირს პასუხი			0.3%	2%	2%	2%
არც ერთი			63%	78%	79%	76%
1-დან 6 წიგნამდე			23%	18%	17%	16%
7 და მეტი წიგნი			14%	4%	4%	8%
მიჭირს პასუხი						1%
1-6 წიგნი			48%	56%	58%	56%
7 წიგნი და მეტი			51%	42%	40%	41%
მიჭირს პასუხი			0.3%	1%	2%	3%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

როგორც უკვე აღინიშნა, გამოკითხული მოსახლეობის მეოთხედი უცხოენოვან წიგნებს კითხულობს. გასაკვირი არაა, რომ ენებს შორის უპირობოდ ლიდერობს რუსული (59%) და ინგლისური (54%). ნაკლებად პოპულარულ ენებს შორისაა: გერმანული, იტალიური, ფრანგული, თურქული და კორეული, რომელზეც წიგნების კითხვის მხოლოდ ერთეული შემთხვევები დაფიქსირდა.

უცხო ენაზე წაკითხული წიგნების ენები / ჯამური სურათი[28]



წყარო: უცხო ენაზე მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=215

› წაკითხული წიგნების მიღების წყარო

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა მკითხველების მიერ ბოლო 1 წლის განმავლობაში წაკითხული წიგნები ყველა და ძირითადი არხები. აღმოჩნდა, რომ საზოგადოების ნახევარი (50%) პირადი ან ოჯახის ბიბლიოთეკით სარგებლობს, რომელიც მესამედისთვის (34%) ძირითად წყაროსაც წარმოადგენს. მეორე ყველაზე გავრცელებული არხია წიგნის შეძენა (44%), რომელსაც სხვა არხებზე აქტიურად მიმართავს მკითხველების მესამედი (31%). მესამე ადგილს კი სასურველი წიგნის მეგობრებისგან/კოლეგებისგან თხოვება იკავებს (30%). აღნიშნული წყარო ძირითადია მკითხველების 17%-ისთვის. კვლევის მონაცემებით, მკითხველების 14% წიგნის რეალიზაციის პუნქტებში ვიზიტს ონლაინგამოწერას ამჯობინებს. იგი რესპონდენტთა 8%-სთვის წარმოადგენს ძირითად წყაროს. გამოკითხულთა მეათედი (9%) კი წიგნების

28 მონაცემთა სიმცირიდან გამომდინარე, წარმოდგენილია მხოლოდ ჯამური შედეგები.

ელექტრონულ ვერსიას ტვირთავს ინტერნეტიდან. ამასთან, მუდმივად ამ გზით წიგნების მკითხველთა წილი მხოლოდ 5%-ია მკითხველებში. აღმოჩნდა, რომ ბიბლიოთეკა ყველაზე იშვიათ შემთხვევაში წარმოადგენს წაკითხული წიგნების წყაროს. მასზე მკითხველთა მხოლოდ 3%-ია დამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ წაკითხული წიგნების მთავარი წყაროთი (საკუთარი/ოჯახის ბიბლიოთეკა) თანაბრად სარგებლობენ როგორც თბილისში (50%), ასევე რეგიონებში (51%), მცირედი სხვაობა აღინიშნება დარჩენილი წყაროების ათვისების კუთხით. მაგ., თუ თბილისში პოპულარულ გზებს შორისაა წიგნის სარეალიზაციო პუნქტებში ვიზიტი (47%), რეგიონებისთვის მეგობრებისგან/ახლობლებისგან თხოვება (36%) წარმოადგენს მეორე ყველაზე ხშირად გამოყენებულ არხს.

წაკითხული წიგნების მიღების წყარო / ჯამური სურათი



წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

ზემოთ დასახელებულ წამყვან წყაროებთან შემდეგი ტენდენცია იკვეთება რეგიონულ ქალაქებში: ქუთაისში, ზუგდიდსა და გორში მკითხველები შედარებით აქტიურად სარგებლობენ საკუთარი (47%, 52%, 52%) ბიბლიოთეკით, მიმართავენ მეგობრებს/ახლობლებს (44%, 52%, 35%) და იძენენ წიგნის რეალიზაციის სხვადასხვა ობიექტიდან (40%, 36%, 43%). მაშინ, როდესაც ბათუმსა (49%) და თელავში (71%) უმთავრესად საკუთარ/ოჯახის ბიბლიოთეკაზე არიან დამოკიდებული. ყველა სხვა წყარო მინიმუმ 2-ჯერ ჩამოუვარდება მას.

წაკითხული წიგნების მიღების წყარო / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=100)	ბათუმი (N=100)	ზუგდიდი (N=100)	თელავი (N=100)	გორი (N=100)
პირადი/ოჯახის ბიბლიოთეკა	47%	49%	52%	71%	52%
შეძენა სხვადასხვა ობიექტიდან ადგილზე ვიზიტით	40%	22%	36%	32%	43%
მეგობრებისგან / ახლობლებისგან თხოვება	44%	28%	52%	10%	35%
შეძენა ინტერნეტიდან / აპლიკაციებით (მათ შორის გლოვო, ვოლტი)	5%	16%	2%	4%	13%
ელ. წიგნების ლიცენზირებული / არალიცენზირებული ჩამოტვირთვა	7%	7%	4%	3%	2%
საჯარო ბიბლიოთეკა	3%	1%	11%	8%	6%
კერძო ბიბლიოთეკა	2%	2%	6%		8%
საჩუქრად მივიღე	1%			4%	1%
სკოლის ბიბლიოთეკა		1%	1%	1%	2%
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა				1%	

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=500

ზოგადი ტენდენცია საერთოა ორივე სქესისა და ყველა ასაკობრივი კატეგორიის შემთხვევაშიც. კერძოდ, როგორც ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისთვის გასულ წელს წაკითხული წიგნების წყაროს საკუთარი ბიბლიოთეკა (51%, 48%), წიგნის სარეალიზაციო პუნქტები (47%, 37%) და ახლობლებისგან თხოვება წარმოადგენს (28%, 35%), თუმცა წიგნების საყიდლად სიარულისკენ უფრო მიდრეკილნი ქალები არიან, მეგობრებისგან თხოვებისკენ კი – კაცები. ასაკის მატებასთან ერთად ორმაგდება საკუთარი ბიბლიოთეკის მნიშვნელობა (36%-დან 70%-მდე), სხვადასხვა ობიექტიდან შეძენისა (50%-დან 34%-მდე) და მეგობრებისგან თხოვების ტენდენცია კი იკლებს (37%-დან 20%-მდე).

წაკითხული წიგნების მიღების წყარო / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=764)	კაცი (N=236)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
პირადი/ოჯახის ბიბლიოთეკა	51%	48%	36%	45%	50%	70%
შეძენა სხვადასხვა ობიექტიდან ადგილზე ვიზიტით	47%	37%	50%	48%	42%	34%
მეგობრებისგან/ ახლობლებისგან თხოვება	28%	35%	37%	32%	31%	20%
შეძენა ინტერნეტიდან (მათ შორის გლოვო, ვოლტი)	16%	10%	13%	19%	16%	8%
ელ. წიგნების ჩამოტვირთვა	7%	11%	20%	7%	6%	2%
საჯარო ბიბლიოთეკა	3%	3%	7%	1%	1%	4%
კერძო ბიბლიოთეკა	3%	4%	4%	2%	3%	3%
საჩუქრად მივიღე	1%	2%	1%	1%	2%	2%
სკოლის ბიბლიოთეკა	0.5%	1%	1%	0.1%	0.4%	0.1%
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა	0.2%	1%	1%			
ქუჩაში ვიპოვე		0.4%				1%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

› 2020 წლის ყველაზე კითხვადი წიგნები და ავტორები

კვლევის შედეგად, გამოვლინდა ტოპ ხუთი წიგნი და ავტორი, რომლებიც წაუკითხავთ მკითხველებს ბოლო 1 წლის მანძილზე. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მკითხველების განსხვავებული გემოვნებისა, რამდენიმე ნაწარმოები და ავტორი დიდ მოწონებას იმსახურებს სხვადასხვა სქესისა და ასაკის ადამიანებში საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად: ასეთია ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ და ფიოდორ დოსტოევსკის „იდიოტი“.

ყველაზე კითხვადი წიგნები და ავტორები / ჯამური სურათი

N	ყველაზე კითხვადი წიგნები (2020)		ყველაზე კითხვადი ავტორები (2020)	
1	დათა თუთაშხია (ჭაბუა ამირეჯიბი)	4%	ფიოდორ დოსტოევსკი	7%
2	მზე, მთვარე და პურის ყანა (თემურ ბაბლუანი)	4%	ნოდარ დუმბაძე	6%
3	იდიოტი (ფიოდორ დოსტოევსკი)	3%	ერიხ მარია რემარკი	5%
4	სხვა უდაბნოს საიდუმლო (ია კარგარეთელი)	3%	კონსტანტინე გამსახურდია	5%
5	სიყვარულის 40 წესი (ელიფ შაფაქი)	3%	ჭაბუა ამირეჯიბი	5%

ყველაზე კითხვადი წიგნები და ავტორები / რეგიონის ჭრილი

N	თბილისი (N=500)		რეგიონები (N=500)	
	წიგნები			
1	მზე, მთვარე და პურის ყანა (თ. ბაბლუანი)	4%	დათა თუთაშხია (ჭ. ამირეჯიბი)	6%
2	დათა თუთაშხია (ჭ. ამირეჯიბი)	4%	ჯინსების თაობა (დ. ტურაშვილი)	5%
3	იდიოტი (ფ. დოსტოევსკი)	4%	მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (ნ. დუმბაძე)	4%
4	სხვა უდაბნოს საიდუმლო (ი. კარგარეთელი)	3%	მთვარის მოტაცება (კ. გამსახურდია)	3%
5	სიყვარულის 40 წესი (ე. შაფაქი)	3%	ტრიუმფალური თაღი (ე. მ. რემარკი)	3%
	ავტორები			
1	ფიოდორ დოსტოევსკი	7%	ფიოდორ დოსტოევსკი	7%
2	ნოდარ დუმბაძე	6%	ნოდარ დუმბაძე	7%
3	ერიხ მარია რემარკი	5%	ჭაბუა ამირეჯიბი	6%
4	თემურ ბაბლუანი	5%	დავით ტურაშვილი	6%
5	კონსტანტინე გამსახურდია	5%	კონსტანტინე გამსახურდია	5%

ყველაზე კითხვადი წიგნები და ავტორები / სქესის ჭრილი

N	ქალი (N=764)		კაცი (N=236)	

წიგნები

1	მზე, მთვარე და პურის ყანა (თ. ბაბლუანი)	5%	დათა თუთაშხია (ჭ. ამირეჯიბი)	8%
2	სხვა უდაბნოს საიდუმლო (ი. კარგარეთელი)	4%	იდიოტი (ფ. დოსტოევსკი)	5%
3	სიყვარულის 40 წესი (ე. შაფაქი)	3%	მგლის ბილიკი (ა. იასაღაშვილი)	4%
4	ჯეინ ეარი (შ. ბრონტე)	3%	დანაშაული და სასჯელი (ფ. დოსტოევსკი)	4%
5	დათა თუთაშხია (ჭ. ამირეჯიბი)	3%	ტრიუმფალური თაღი (ე. მ. რემარკი)	3%

ავტორები

1	ფიოდორ დოსტოევსკი	6%	ფიოდორ დოსტოევსკი	10%
2	ნოდარ დუმბაძე	5%	ჭაბუა ამირეჯიბი	8%
3	ერიხ მარია რემარკი	5%	ნოდარ დუმბაძე	7%
4	თემურ ბაბლუანი	5%	აგატა კრისტი	6%
5	ელიფ შაფაქი	5%	კონსტანტინე გამსახურდია	5%

ყველაზე კითხვადი წიგნები და ავტორები / ასაკის ჭრილი

N	16-24 წლის (N=216)		25-34 წლის (N=228)		35-54 წლის (N=304)		55+ წლის (N=252)	
წიგნები								
1	ჯეინ ეარი (შ. ბრონტე)	5%	მზე, მთვარე და პურის ყანა (თ. ბაბლუანი)	4%	დათა თუთაშხია (ჭ. ამირეჯიბი)	7%	დათა თუთაშხია (ჭ. ამირეჯიბი)	6%
2	შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი (ა. კ. დოილი)	5%	მერვე სიცოცხლე (ბრილკას) (ნ. ხარატიშვილი)	4%	მზე, მთვარე და პურის ყანა (თ. ბაბლუანი)	5%	მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (ნ. დუმბაძე)	4%
3	ჯინსების თაობა (დ. ტურაშვილი)	5%	იდიოტი (ფ. დოსტოევსკი)	4%	ფრანით მორბენალი (ხ. ჰოსეინი)	4%	დიდოსტატის მარჯვენა (კ. გამსახურდია)	3%
4	იდიოტი (ფ. დოსტოევსკი)	5%	შიშო, გამოდი გარეთ (ნ. ფანჯიკიძე)	4%	სხვა უდაბნოს საიდუმლო (ი. კარგარეთელი)	4%	შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი (ა. კ. დოილი)	3%
5	სიყვარულის 40 წესი (ე. შაფაქი)	4%	სიყვარულის 40 წესი (ე. შაფაქი)	3%	იდიოტი (ფ. დოსტოევსკი)	3%	სამოსელი პირველი (გ. დოჩანაშვილი)	3%
ავტორები								
1	ფიოდორ დოსტოევსკი	10%	ფიოდორ დოსტოევსკი	9%	ჭაბუა ამირეჯიბი	8%	ნოდარ დუმბაძე	11%
2	დავით ტურაშვილი	8%	ერიხ მარია რემარკი	6%	ნოდარ დუმბაძე	8%	კონსტანტინე გამსახურდია	8%
3	ერიხ მარია რემარკი	7%	ვიქტორ ჰიუგო	4%	თემურ ბაბლუანი	6%	ჭაბუა ამირეჯიბი	6%
4	ელიფ შაფაქი	7%	ალექსანდრე იასაღაშვილი	4%	ხალიდ ჰოსეინი	5%	ფიოდორ დოსტოევსკი	5%
5	აგათა კრისტი	7%	ელიფ შაფაქი	4%	ფიოდორ დოსტოევსკი	5%	ლევან სანიკიძე	4%

› ქართული წიგნების თარგმნის შესახებ ინფორმაციის ფლობა

კვლევამ ცხადყო, რომ ქართული ლიტერატურის უცხო ენაზე ინტენსიურად თარგმნის შესახებ ინფორმირებულობის დონე საკმაოდ მაღალია როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ამ ფაქტის შესახებ ნაცნობია ყოველი გამოკითხული 10 მკითხველიდან 7-სთვის (73%), თუმცა საგულისხმოა, რომ ახალგაზრდებს შედარებით მწირი ინფორმაცია აქვთ ამის შესახებ.

ინფორმირებულობა თარგმანების შესახებ / ჯამური სურათი[29]



წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

ინფორმირებულობა თარგმანების შესახებ / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=764)	კაცი (N=236)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
კი, მაქვს ამის შესახებ ინფორმაცია	77%	65%	65%	72%	76%	79%
არა, არ მაქვს ამის შესახებ ინფორმაცია	23%	35%	35%	28%	24%	21%

29 მონაცემები რეგიონის და ქალაქების ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან.

› ახალი გამოცემების შესახებ ინფორმაციის მიღების წყარო

ახალი გამოცემების შესახებ ინფორმაციას მკითხველების აბსოლუტური უმრავლესობა ეცნობა (85%), რომელთა ძირითადი საინფორმაციო წყარო სოციალური ქსელი (მათ შორის: იქ არსებული ჯგუფები 28% და საინფორმაციო გვერდები 25%) და მეგობრები / ახლობლები არიან (28%). ინფორმირებაში ნაკლები როლი აქვს ჟურნალ-გაზეთებს (3%), მაღაზიაში არსებულ კონსულტანტებს (1%), გამომცემლობების თუ წიგნის მაღაზიების ზარებს / SMS შეტყობინებებს (1%) და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს (<1%).

მართალია, რეგიონის მკითხველი მოსახლეობის ინფორმირების წყაროები იმეორებს აღნიშნულ ტენდენციას, თუმცა ზოგადად მსგავსი სიახლეებით ნაკლებად დაინტერესებული ადამიანების რაოდენობა ორჯერ მეტია თბილისთან შედარებით (თბ. 24%, რეგ. 12%).

ახალი გამოცემების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები / ჯამური სურათი



წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

რეგიონულ ქალაქებს შორის ახალი გამოცემების შესახებ ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული ბათუმელი საზოგადოებაა. აქ მკითხველთა მესამედი (35%) საერთოდ არ ეცნობა მსგავს სიახლეებს. დარჩენილი ნაწილის მთავარი საინფორმაციო წყარო კი წიგნის მაღაზიისა და გამომცემლობის სოციალური გვერდებია (22%).

ყველაზე მეტად ინფორმირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გორელი რესპონდენტები არიან (90%), რომლებიც ცნობებს სხვადასხვა წყაროდან იღებენ. მათ შორის ლიდერობს: ჯგუფები და საინფორმაციო გვერდები სოციალურ ქსელში (შესაბამისად 33%, 30%), მეგობრები/ახლობლები (26%) და წიგნის მაღაზიებისა თუ გამომცემლობების გვერდები სოციალურ ქსელში (22%).

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ქსელი წარმოადგენს ახალი გამოცემების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ძირითად წყაროს თითქმის ყველა ქალაქში, გარდა ზუგდიდისა, სადაც მეგობრებისა და ახლობლების როლი ინფორმაციის გაზიარებისას უმთავრესია (40%).

ახალი გამოცემების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=100)	ბათუმი (N=100)	ზუგდიდი (N=100)	თელავი (N=100)	გორი (N=100)
საერთოდ არ ვეცნობი მსგავს სიახლეებს	21%	35%	21%	20%	10%
სოციალურ ქსელში არსებული ჯგუფებიდან	27%	18%	21%	25%	33%
სოციალურ ქსელში საინფორმაციო გვერდებიდან	38%	8%	15%	32%	30%
მეგობრისგან / ახლობლისგან / კოლეგისგან	25%	16%	40%	26%	26%
სოციალურ ქსელში წიგნის მაღაზიების / გამომცემლობების გვერდიდან	13%	22%	29%	21%	22%
სატელევიზიო გადაცემებიდან / რეკლამებიდან	13%	15%	23%	14%	14%
გამომცემლობების/მაღაზიების ზარები/შეტყობინებები		1%			1%
თავად მაღაზიაში კონსულტანტისგან				1%	1%
ჟურნალ-გაზეთებიდან		4%	1%	3%	
სხვადასხვა ვებგვერდიდან	3%				
მიჭირს პასუხის გაცემა	4%	2%	2%		

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=500

წიგნების ახალი გამოცემების შესახებ ინფორმაციას ქალები და მამაკაცები თითქმის ერთი და იმავე წყაროებიდან იღებენ. ორივე შემთხვევაში წამყვანი ადგილი უჭირავს სოციალურ ქსელს და მეგობრებს / ახლობლებს მცირედი განსხვავებით. თუ ქალების ინფორმირებისას მათ თითქმის თანაბარი როლი აქვს, კაცებისთვის მეგობრები და ახლობლებია წამყვანი წყარო.

აღნიშნული ტენდენცია მეორდება შედარებით ახალგაზრდა ასაკის მკითხველებში, თუმცა ხაზგასასმელია სოციალური ქსელის როლის შემცირება და ტელევიზიის წინა პლანზე წამოწევა ასაკის მატებასთან ერთად. უფრო კონკრეტულად, სატელევიზიო გადაცემების მიერ ინფორმირებული მკითხველების წილი ასაკის მატებასთან ერთად 8%-დან 41%-მდე იმატებს.

ახალი გამოცემების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=764)	კაცი (N=236)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
საერთოდ არ ვეცნობი მსგავს სიახლეებს	12%	20%	10%	16%	16%	17%
სოციალურ ქსელში არსებული ჯგუფებიდან	33%	19%	38%	33%	27%	15%
მეგობრისგან / ახლობლისგან / კოლეგისგან	26%	32%	32%	29%	29%	22%
სოც. ქსელში საინფორმაციო გვერდებიდან	27%	22%	31%	32%	27%	9%
სოც. ქსელში თავად წიგნის მაღაზიების / გამომცემლობების გვერდიდან	26%	19%	32%	29%	22%	12%
სატელევიზიო გადაცემებიდან / რეკლამებიდან	19%	16%	8%	11%	14%	41%
ჟურნალ-გაზეთებიდან	3%	2%		0.1%	1%	10%
თავად მაღაზიაში კონსულტანტისგან	1%	1%		1%	0.4%	1%
გამომცემლობების/მაღაზიების ზარები/ SMS	1%				1%	2%
ვებგვერდებიდან	0.3%	0.3%			1%	0.5%
რადიოდან	0.3%					1%
ტრენინგებიდან	0.2%				1%	
კატალოგიდან	0.2%				0.4%	
წიგნის ყდიდან	0.2%				0.4%	
ინტერნეტგაყიდვების კურიერებისგან	0.2%					0.5%
მიჭირს პასუხის გაცემა	3%	4%	3%	3%	4%	5%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

› წიგნის მყიდველთა წილი მკითხველებში

როგორც კვლევის შედეგებიდან დადგინდა, ლიტერატურის მკითხველთა 67%-ს შეუძენია კიდეც სხვადასხვა კატეგორიის ლიტერატურა 2020 წლის განმავლობაში. ეს იმის მანიშნებელია, რომ მესამედს (33%) ბოლო 1 წლის მანძილზე არ განუახლებია საკუთარი ბიბლიოთეკა. წიგნის მაღაზიის წარმომადგენლები ამის უმთავრეს მიზეზებად ეკონომიკურ ფაქტორს და დროის სიმცირეს ასახელებენ.

თბილისსა და რეგიონებს შორის ამ მხრივ მხოლოდ მცირედი სხვაობა აღინიშნება. კერძოდ, დედაქალაქში ყოველი 10 მკითხველიდან 7-ს შეუძენია წიგნი (69%), რეგიონულ ქალაქებში კი 6-ს (59%).

წიგნის მყიდველთა წილი მკითხველებში / ჯამური სურათი



წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

რეგიონულ ქალაქებს შორის, წიგნების შეძენისას საგრძნობი უპირატესობა გორში ფიქსირდება (76%). ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდსა და თელავში კი ყოველი 10 მკითხველიდან 6 შეუძენია წიგნი 2020 წლის მანძილზე.

წიგნის მყიდველთა წილი მკითხველებში / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=100)	ბათუმი (N=100)	ზუგდიდი (N=100)	თელავი (N=100)	გორი (N=100)
საერთოდ არ შემიძენია წიგნი	42%	45%	44%	41%	24%
შევიძინე წიგნი	58%	55%	56%	59%	76%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=500

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნების შეძენისკენ უფრო მეტად ქალები არიან მიდრეკილნი (ქალი 72%, კაცი 57%). რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, გასულ წელს წიგნები 16-34 წლის ახალგაზრდებმა მეტად შეიძინეს (72%-75%), ვიდრე შედარებით უფროსი ასაკის (35 წელს ზემოთ) მკითხველებმა (52%-67%).

წიგნის მყიდველთა წილი მკითხველებში / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=764)	კაცი (N=236)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
საერთოდ არ შემიძენია წიგნი	28%	43%	28%	25%	33%	48%
შევიძინე წიგნი	72%	57%	72%	75%	67%	52%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

ქვემოთ წარმოდგენილი რამდენიმე ქვეთავი სწორედ იმ მკითხველების ქცევას ასახავს, რომელთაც შეუძენიათ 1 წიგნის მაინც გასული 2020 წლის მანძილზე.

წიგნების ყიდვის სიხშირე და დახარჯული თანხა

კვლევის ფარგლებში დადგინდა, რა სიხშირით შეიძინა ქართველმა საზოგადოებამ წიგნები და რამდენი შეადგინა მათმა წლიურმა დანახარჯმა ამ მიმართულებით 2020 წელს. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა ნახევარი (51%) მინიმუმ 2-3 თვეში ერთხელ სტუმრობდა წიგნის რეალიზაციის პუნქტებს ფიზიკურად ან ონლაინ, მესამედი (33%) წელიწადში ორჯერ, 16% კი შედარებით იშვიათად, წელიწადში მხოლოდ ერთხელ. აღნიშნული ტენდენცია ფიქსირდება კვლევის ყველა ქალაქში. განსხვავება არ ფიქსირდება სქესის და ასაკის ჭრილშიც.

წიგნების ყიდვის სიხშირე / ჯამური სურათი[30]



წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=662

რაც შეეხება წლის განმავლობაში დახარჯულ თანხას, მკითხველთა აბსოლუტურ უმრავლესობას (86%) 200-ლარზე მეტი არ ჰქონია წიგნებისთვის გამოყოფილი. უფრო კონკრეტულად, 35%-ის მიერ შეძენილი წიგნების ჯამური ღირებულება 50 ლარს არ აღემატება. აღნიშნული დაბალბიუჯეტიანი მკითხველების რაოდენობა რეგიონებში მცირედით აღემატება თბილისის მაჩვენებელს, რაც სიახლეს არ უნდა წარმოადგენდეს მოსახლეობის სოციალური ფონის გათვალისწინებით (42% რეგიონები, 33% თბილისი).

30 მონაცემები რეგიონის, ქალაქების, სქესის და ასაკის ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან.

წიგნებზე დახარჯული თანხა / ჯამური სურათი[31]



წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=662

შეიძლება ითქვას, ქართველი საზოგადოების მიერ წიგნების შეძენისას წლიური ბიუჯეტი მაქსიმუმ 200 ლარია. ყველა განხილულ ასაკობრივ სეგმენტში მკითხველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (82%-91%) სწორედ არაუმეტეს 200 ლარი დახარჯა 2020 წელს. თუმცა საგულისხმოა მათ შორის 100-ლარიანი ბიუჯეტის მქონე მკითხველების მაღალი წილი (67%-77%).

31 მონაცემები რეგიონული ქალაქების ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან.

წიგნებზე დახარჯული თანხა / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=537)	კაცი (N=125)	16-24 (N=151)	25-34 (N=176)	35-54 (N=210)	55 + (N=125)
50 ლარი ან ნაკლები	**მონაცემები სქესის ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან**		35%	38%	26%	47%
51-100 ლარი			36%	34%	41%	30%
101-200 ლარი			15%	11%	19%	14%
201-500 ლარი			7%	11%	9%	5%
501-1000 ლარი			0.3%	1%	2%	1%
1001 ლარზე მეტი				2%	1%	
მიჭირს პასუხის გაცემა			6%	4%	2%	2%

წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=662

> წიგნის შეძენის ადგილი

ქართველი მკითხველები წიგნების შესაძენად სხვადასხვა სარეალიზაციო ობიექტით სარგებლობენ, რომელთა შორის უპირობოდ ლიდერობს წიგნის მაღაზიები როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. გამოკითხულთა 79%-მა სწორედ აქ შეიძინა წიგნები 2020 წელს. უფრო მეტიც, მათგან 69%-სთვის, პანდემიის მიუხედავად, ეს იყო ძირითადი ობიექტი. დარჩენილმა 21%-მა კი უპირატესობა შემდეგ არხებს მიანიჭა: ონლაინშეძენა წიგნის მაღაზიებიდან და გამომცემლობებიდან, ელექტრონული წიგნების ლიცენზირებული ჩამოტვირთვა, ბუკინისტებისგან შეძენა, წიგნის გამოფენაზე/ფესტივალებზე დასწრება და ა. შ.

წიგნის შეძენის ყველა და ძირითადი წყარო / ჯამური სურათი



წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=662

წიგნის მაღაზიები წარმოადგენს უპირობო ლიდერს რეგიონულ ქალაქებშიც. მას წიგნის შესაძენად თითქმის თანაბარი წარმატებით მიმართეს მკითხველებმა 2020 წელს (79-87%). საგულისხმოა, რომ ქალაქებს შორის ქუთაისი გამოირჩევა როგორც წიგნის მაღაზიების ვიზიტორთა (87%), ასევე ელექტრონული წიგნების შედარებით აქტიურად შეძენის კუთხით (17%). აქ ფიქსირდება გასულ წელს წიგნის ფესტივალზე/ბაზრობაზე დასწრების შედარებით მაღალი მაჩვენებელიც (14%). ბათუმში, ზუგდიდსა და თელავში ამ მიმართულებით აქტივობა საერთოდ არ ფიქსირდება. ეს იმის ვარაუდის საშუალებას იძლევა, რომ 2020 წელს მსგავსი ღონისძიებები აღნიშნულ ქალაქებში არ ჩატარებულა.

წიგნის შეძენის ადგილი / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=59)	ბათუმი (N=59)	ზუგდიდი (N=58)	თელავი (N=59)	გორი (N=76)
წიგნის მაღაზია	87%	82%	83%	79%	84%
ელექტრონული კომერცია / გაყიდვები ინტერნეტით (სპეციალიზებული ობიექტებიდან)	8%	22%	10%	21%	18%
ელექტრონული წიგნები	17%	3%	3%		9%
წიგნის ფესტივალები/ ბაზრობები	14%				1%
ბუკინისტები	6%	1%	3%	1%	7%
პრესის გამავრცელებელი ჯიხურები		2%	9%	6%	8%
წიგნის გაყიდვაზე არასპეციალიზებული მაღაზიები	2%	1%	5%		5%
ტელემარკეტინგი			5%		6%
არასპეციალიზებული ონლაინმაღაზიები, აპლიკაციები		2%			
კერძო პირი				4%	

წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=311

წიგნის მაღაზიებით მოსარგებლეთა შორის თითქმის დაცულია გენდერული ბალანსი (ქალების 80%, კაცების 77%), ონლაინ შეძენისას ქალები მცირედით აღემატებიან კაცებს (20% vs 13%), ელექტრონული წიგნების შეძენისას კი პირიქით (ქალების 8%, კაცების 15%).

ასაკის მატებასთან ერთად მცირდება მკითხველების მიერ წიგნის გაყიდვაზე სპეციალიზებული ობიექტებით (მაგ., წიგნის მაღაზიები, გამომცემლობების თუ მაღაზიების ვებგვერდები, ელექტრონული წიგნები, წიგნის ფესტივალები / ბაზრობები) სარგებლობის მაჩვენებლები. უფრო მეტ აქტუალობას კი ტერიტორიულად შედარებით ხელმისაწვდომი არხები იძენს: პრესის გამავრცელებელი ჯიხურები, არასპეციალიზებული მაღაზიები/ ონლაინმაღაზიები და ბუკინისტები.

წიგნის შეძენის ადგილი / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=537)	კაცი (N=125)	16-24 (N=151)	25-34 (N=176)	35-54 (N=210)	55 + (N=125)
წიგნის მაღაზია	80%	77%	83%	81%	77%	74%
ელ. კომერცია / გაყიდვები ინტერნეტით	20%	13%	21%	20%	19%	10%
ელექტრონული წიგნები	8%	15%	22%	10%	7%	1%
წიგნის ფესტივალები/ ბაზრობები	6%	4%	8%	4%	8%	1%
ბუკინისტები	7%	9%	7%	6%	8%	12%
პრესის გამავრცელებელ ჯიხურები	4%	5%	2%	4%	5%	6%
წიგნის გაყიდვაზე არასპეციალიზებული მაღაზიები	4%	8%	3%	7%	3%	10%
ტელემარკეტინგი	2%	1%	1%	0%	4%	2%
არასპეციალიზებული ონლაინმაღაზიები, აპლიკაციები	5%	3%	1%	4%	8%	6%
კერძო პირი	0.4%			1%	0.1%	0.1%

წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=662

› წიგნის შეძენის მიზანი

თბილისის და რეგიონული ქალაქების მკითხველები წიგნს უმთავრესად მისდამი ინტერესის გამო იძენენ (55%). რესპონდენტთა ნახევარი (50%) არა მხოლოდ თავად კითხულობს წიგნებს, არამედ საჩუქრადაც იძენს მას. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ წიგნის შეძენისას ერთ-ერთი მთავარი მიზეზია კითხვით მიღებული სიამოვნებაც (47%).

წიგნის შეძენის მიზეზების აქტუალობა მცირედით განსხვავდება თბილისსა და რეგიონებს შორის. კერძოდ, დედაქალაქში წიგნის შეძენისას მკითხველებს უმეტესად მის მიმართ ინტერესი ამოძრავებთ (57%), რეგიონის მცხოვრებლების მთავარი მოტივი კი ზოგადი განათლების / ცოდნის დონის გაღრმავებაა (52%).

წიგნის შეძენის მიზანი / ჯამური სურათი



წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=662

წიგნის შეძენის მოტივებს შორის გარკვეული განსხვავებები ფიქსირდება რეგიონულ ქალაქებშიც. კერძოდ, ქუთაისელი და თელაველი მკითხველებისთვის მთავარი ფაქტორი წიგნისადმი ინტერესია (75% და 56% შესაბამისად), ზუგდიდში შედარებით დიდი ყურადღება ექცევა შეძენილი წიგნის დახმარებით, განათლების / ცოდნის დონის ამაღლების შესაძლებლობას (45%), გორში კი მას ძირითადად სასაჩუქრედ იძენენ (60%). საგულისხმოა, რომ სხვა ქალაქებთან შედარებით, ბათუმელებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შეძენილი წიგნი ინტელექტუალურად განვითარების საშუალებას იძლეოდეს (74%). აღმოჩნდა, რომ აქ წიგნს საჩუქრად საკმაოდ იშვიათად იძენენ (16%).

წიგნის შეძენის მიზანი / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=59)	ბათუმი (N=59)	ზუგდიდი (N=58)	თელავი (N=59)	გორი (N=76)
კონკრეტული წიგნისადმი ინტერესის გამო	75%	28%	35%	56%	49%
სასაჩუქრედ	46%	16%	42%	42%	60%
კითხვის პროცესი მანიჭებს სიამოვნებას	40%	40%	41%	51%	44%
ზოგადი განათლების/ცოდნის დონის ასამაღლებლად	35%	74%	45%	47%	45%
პირადი ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად	20%	36%	16%	19%	20%
ბავშვის განვითარებისთვის	2%	7%	2%	1%	1%

წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=311

წიგნების შეძენის მოტივები მცირედით განსხვავდება სქესთა შორისაც. ქალები თითქმის თანაბრად იძენენ მას როგორც ინტერესის დასაკმაყოფილებლად (50%), ასევე სასაჩუქრედ (52%) და კითხვისგან სიამოვნების მისაღებად (49%). კაცებისთვის კი ინტერესი გაცილებით პრიორიტეტული მოტივატორია (66%), რომელსაც ზოგადი ცოდნის მიღების / განათლების გაღრმავების სურვილი მოსდევს (47%).

ასაკობრივი სეგმენტების ანალიზისას კი შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა: ახალგაზრდა თაობა ძირითადად თავისთვის საინტერესო წიგნებს იძენს (66%). მნიშვნელოვანია შეძენილი წიგნით ზოგადი ცოდნის ამაღლების შესაძლებლობაც (49%). აღნიშნული მიზეზების აქტუალობა ასაკის მატებასთან ერთად კლებადი ტენდენციით ხასიათდება. საპირისპირო სურათია წიგნების საჩუქრად შეძენის კუთხით, რომელიც შედარებით უფროს თაობაში უფრო გავრცელებული პრაქტიკაა (მატება 36%-დან 56%-მდე).

წიგნის შეძენის მიზანი / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=537)	კაცი (N=125)	16-24 (N=151)	25-34 (N=176)	35-54 (N=210)	55 + (N=125)
კონკრეტული წიგნისადმი ინტერესის გამო	50%	66%	66%	52%	53%	46%
სასაჩუქრედ	52%	44%	36%	50%	57%	56%
კითხვის პროცესი მანიჭებს სიამოვნებას	49%	43%	46%	46%	44%	57%
ზოგადი განათლების დონის ასამაღლებლად	41%	47%	49%	42%	43%	34%
პირადი ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად	23%	23%	20%	28%	24%	17%
ბავშვის განვითარებისთვის	1%	1%		1%	2%	1%
მიჭირს კონკრეტული მიზეზის დასახელება	0.3%	1%	2%			
გასართობად	1%		1%	1%		

წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=662

› შეძენილი წიგნების კატეგორიები

სიახლეს არ უნდა წარმოადგენდეს, რომ მკითხველების მსგავსად, წიგნის მყიდველებს შორისაც მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებულთა წილი (94%) საგრძნობლად აღემატება არამხატვრულის მოყვარულებს (34%). უფრო მეტიც, ამ უკანასკნელს რეგიონებში თითქმის ორჯერ უფრო ნაკლებად იძენენ (18%).

შეძენილი წიგნის კატეგორიების წილი / ჯამური სურათი[32]



წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=662

გასულ წელს მხატვრული ლიტერატურის კატეგორიებიდან საზოგადოებას უმეტესად შეუძენია: თანამედროვე ლიტერატურა (49%), კლასიკური ნაწარმოებები (34%) და საბავშვო წიგნები (29%). წამყვან კატეგორიებს შორისაა მოზარდებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა (16%) და დეტექტივები /ჰორორებიც (15%). სწორედ მათზე მოდის პანდემიის პერიოდში ძირითადად შეძენილი წიგნების 80%.

ლოგიკურია, რომ საზოგადოება, რომელიც საკმაოდ დაბალი ინტენსივობით კითხულობს არამხატვრულ ლიტერატურას, ნაკლებად იძენს მსგავსი შინაარსის წიგნებს. განხილულ კატეგორიებს შორის აქ მხოლოდ მცირედ უპირატესობას ფლობს ისტორიული / პოლიტიკური / კულტურის შესახებ წიგნები. თუმცა ამ შემთხვევაშიც იგი სეგმენტის მხოლოდ 10%-ს აქვს შეძენილი გასულ წელს, რომელთაგან მხოლოდ 4%-სთვის წარმოადგენს იგი ძირითად შეძენილ კატეგორიას.

7 წლამდე ბავშვის მშობლებისთვის წიგნის შეძენისას უპირატესი საკუთარი შვილის გართობა/განათლებაა. შესაბამისად, მათ მიერ შეძენილი წიგნების კატეგორიებს შორის საგრძნობლად ლიდერობს საბავშვო / ილუსტრირებული წიგნები (62%).

32 მონაცემთა ჯამი აღემატება 100%-ს, რადგან რესპონდენტთა ნაწილს შეუძენია როგორც მხატვრული, ასევე არამხატვრული ლიტერატურა.

წიგნის ყველა და ძირითადად შეძენილი კატეგორიები / ჯამური სურათი[33]



წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=662

კვლევის მონაწილე რეგიონულ ქალაქებში წიგნის ყველაზე აქტიურად შეძენილ კატეგორიებს შორის ლიდერის პოზიციას კვლავ თანამედროვე ლიტერატურა (27%-54%), კლასიკა (22%-38%) და საბავშვო წიგნები (20%-38%) ინარჩუნებს. უფრო კონკრეტულად, ქუთაისში (54%), ზუგდიდსა (54%) და გორში (42%) წიგნის მყიდველთა უმრავლესობა არჩევანს თანამედროვე ლიტერატურაზე აჩერებს, ბათუმში საბავშვო წიგნებზე (37%), თელავში კი კლასიკას და თანამედროვე კლასიკას ენიჭება უპირატესობა (36%).

33 მონაცემთა ჯამი „ყველა კატეგორიისთვის“ აღემატება 100%-ს, რადგან დასაშვები იყო ყველა შეძენილი კატეგორიის დასახელება, „ძირითადი კატეგორიის“ შემთხვევაში კი – მხოლოდ ერთის.

არამხატვრული ლიტერატურის შედარებით მეტად შეძენილ კატეგორიებს შორის გორში ლიდერობს ენციკლოპედიები და ლექსიკონები (11%), თელავში სამეცნიერო-პოპულარული (8%), ქუთაისში კულინარიული (6%), ზუგდიდში ისტორიულ-პოლიტიკური და კულტურის შესახებ წიგნები (5%), ბათუმში კი თანაბარია მოთხოვნა რელიგიურ წიგნებსა და ენციკლოპედიებზე / ლექსიკონებზე (4%-4%).

წიგნის ყველა შეძენილი კატეგორია / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=59)	ბათუმი (N=59)	ზუგდიდი (N=58)	თელავი (N=59)	გორი (N=76)
			მხატვრული ლიტერატურა		
თანამედროვე ლიტერატურა	54%	34%	54%	27%	42%
კლასიკა / თანამედროვე კლასიკა	22%	33%	38%	36%	31%
საბავშვო წიგნები	20%	37%	38%	25%	31%
ლიტერატურა მოზარდებისთვის	9%	6%	13%	5%	22%
დეტექტივი, ჰორორი, მისტიკა	10%	13%	20%	11%	14%
პოეზია	4%	7%	10%	4%	17%
სამეცნიერო ფანტასტიკა, ფენტეზი, უტოპია	3%	1%	4%	6%	8%
კომიქსი, გრაფიკული რომანი	11%		5%	6%	13%
დრამატურგია	5%	4%	1%		
			არამხატვრული ლიტერატურა		
ისტორია, პოლიტიკა, კულტურა	4%	1%	5%	3%	3%
რელიგია	2%	4%	2%	6%	7%
ბიოგრაფიები, მემუარები, წერილები, დღიურები	2%	2%	2%	1%	1%

წიგნები ხელოვნებაზე / ალბომები	2%	1%	2%		2%
ენციკლოპედიები, ლექსიკონები, გზამკვლევები	1%	4%	4%	6%	11%
პროფესიული / სასწავლო	4%	3%		2%	7%
სამეცნიერო-პოპულარული	1%	3%		8%	3%
კულინარიული წიგნები	6%		2%		7%
წიგნები თვითგანვითარებისთვის				3%	
სამოგზაურო/ტურისტული,					1%
ესეისტიკა და კრიტიკა			2%		
სხვა (არამხატვრული)				2%	

წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=311

ქალებისა და კაცების მიერ წიგნის შეძენისას მცირედი სხვაობა აღინიშნება. მართალია, ორივე შემთხვევაში თანამედროვე ლიტერატურა ლიდერობს, თუმცა მასზე ქალები შედარებით უფრო აქტიურად აჩერებენ არჩევანს (ქალები 53%, კაცები 38%). კაცების მიერ შეძენილ წიგნებში არანაკლებია კლასიკური ნაწარმოებების წილიც (37%). ქალებისთვის მეორე ადგილზე საბავშვო წიგნები ინაცვლებს (36%), რომელსაც კაცებთან შედარებით, 2,5-ჯერ უფრო აქტიურად იძენდნენ. საგულისხმოა, რომ კაცების მიერ ნაყიდი დეტექტიური წიგნები 2-ჯერ (11% vs 23%), სამეცნიერო ფანტასტიკა კი 3-ჯერ აჭარბებს ქალების მაჩვენებელს (5% vs 15%).

არამხატვრული წიგნების შეძენისას ზოგადი ტენდენციიდან მნიშვნელოვანი გადახრა სქესთა შორის არ ფიქსირდება. როგორც ქალები, ასევე კაცები უმეტესად ისტორიულ-პოლიტიკურ წიგნებზე აჩერებენ არჩევანს (ქალები 9%, კაცები 12%). მეორე ადგილზე ქალების შემთხვევაში რელიგიური წიგნები ინაცვლებს (7%), კაცები კი ბიოგრაფიებს/მემუარებსა და ხელოვნებასთან დაკავშირებულ წიგნებს შორის აკეთებენ არჩევანს (10%-10%). უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული და სასწავლო წიგნების შეძენა მცირედით მეტადაა დამახასიათებელი კაცებისთვის (8% vs 3%).

კვლევაში მონაწილე ყველა ასაკობრივ სეგმენტში, წიგნის შეძენის კუთხით, კვლავ თანამედროვე ლიტერატურა ლიდერობს, თუმცა ასაკის მატებასთან

ერთად მისი შეძენა მცირედით იკლებს (52%-დან 43%-მდე). მეორე ადგილს, ძირითად შემთხვევაში, კლასიკა/თანამედროვე კლასიკა იკავებს. გამონაკლისს წარმოადგენს 25-34 წლის ასაკის მკითხველები, რომლებიც შედარებით აქტიურად საბავშვო წიგნებს იძენენ (41%). იმის გათვალისწინებით, რომ 35-54 წლის მკითხველებს, ჩვეულებრივ, მოზარდი შვილები ჰყავთ, ამ სეგმენტში შედარებით მაღალია თინეიჯერებისთვის განკუთვნილი ლიტერატურის შეძენის მაჩვენებელი (26%). საგულისხმოა, რომ დეტექტივების / ჰორორის შეძენისკენ უფრო მეტად ახალგაზრდა (16-24 წლის) თაობაა მიდრეკილი (23%).

არამხატვრული ლიტერატურის შეძენისას მცირედი სხვაობა აღინიშნება ასაკობრივ სეგმენტებს შორის. კერძოდ, 16-24 წლის მკითხველები ისტორიულ-პოლიტიკური წიგნების შემდეგ (13%), ყველაზე აქტიურად იძენენ ბიოგრაფიულ წიგნებს (7%) და რელიგიურ ლიტერატურას; 25-34 წლის მკითხველი საზოგადოების მიერ შეძენილ წიგნებს შორის თანაბრად შეხვდებით პროფესიულ/აკადემიურ (8%), ბიოგრაფიულ (8%) და ისტორიულ/პოლიტიკურ (8%) წიგნებს; 35 წელს ზევით მკითხველებში კი იზრდება ინტერესი რელიგიური შინაარსის, ისტორიულ/პოლიტიკურ და ხელოვნების შესახებ წიგნებზე.

წიგნის ყველა შეძენილი კატეგორია / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=537)	კაცი (N=125)	16-24 (N=151)	25-34 (N=176)	35-54 (N=210)	55 + (N=125)
	მხატვრული ლიტერატურა					
თანამედროვე ლიტერატურა	53%	38%	52%	48%	50%	43%
კლასიკა / თანამედროვე კლასიკა	33%	37%	36%	30%	38%	32%
საბავშვო წიგნები	36%	14%	10%	41%	34%	32%
ლიტერატურა მოზარდებისთვის	18%	9%	11%	11%	26%	10%
დეტექტივი, ჰორორი, მისტიკა	11%	23%	23%	15%	9%	13%
პოეზია	9%	9%	10%	8%	9%	8%

სამეცნიერო ფანტასტიკა, ფენტეზი	5%	15%	9%	9%	7%	3%
კომიქსი, გრაფიკული რომანი	5%	8%	7%	7%	6%	1%
დრამატურგია	3%	4%	5%	6%	2%	1%
სხვა (მხატვრული)		1%	1%			

არამხატვრული ლიტერატურა

ისტორია, პოლიტიკა, კულტურა	9%	12%	13%	8%	8%	14%
რელიგია	7%	6%	5%	3%	8%	10%
ბიოგრაფიები, მემუარები, წერილები	4%	10%	7%	8%	3%	7%
წიგნები ხელოვნებაზე / ალბომები	4%	10%	4%	5%	7%	7%
ენციკლოპედიები, ლექსიკონები	5%	5%	4%	5%	6%	7%
პროფესიული / სასწავლო	3%	8%	3%	8%	4%	2%
სამეცნიერო-პოპულარული	4%	5%	4%	2%	5%	5%
კულინარიული წიგნები	4%	4%	1%	2%	5%	7%
წიგნები თვითგანვითარებისთვის	2%	4%	5%	3%	3%	0.1%
სამოგზაურო/ტურისტული	1%	4%	1%	3%	2%	2%
ესეისტიკა და კრიტიკა		0.2%		0.2%		
სხვა (არამხატვრული)	2%	2%	1%	3%	1%	3%

წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=662

შეძენილი წიგნების ჟანრები

ემთხვევა მკითხველთა მიერ ყველაზე აქტიურად წაკითხული და შეძენილი ჟანრიც, რომელსაც რომანები წარმოადგენს. ამ მიმართულებით ახალ წიგნს ყოველი 10 მყიდველიდან 6-სთან აღმოაჩენთ (64%), რომელთაგანაც 5 (52%) სწორედ მას იძენს ძირითადად. შედარებით პოპულარულია მოთხრობები (36%) და ზღაპრები/თქმულებები (26%), თუმცა ისინი საგრძნობლად ჩამორჩება რომანების შეძენის მაჩვენებელს.

წიგნის ყველა და ძირითადად შეძენილი ჟანრები / ჯამური სურათი[34]

	ყველა ჟანრი (N=662)	თბილისი (N=351)	რეგიონები (N=311)	ძირითადი ჟანრი (N=662)
რომანი	64%	66%	58%	52%
ზღაპარი / თქმულება	26%	26%	29%	14%
მოთხრობა	36%	38%	29%	14%
ლექსი	16%	17%	16%	5%
დრამატურგია	9%	8%	11%	3%
ნოველა	11%	12%	9%	2%
პოემა	5%	5%	4%	2%
ეპოსი / საგა / ბალადა / თქმულება	3%	3%	2%	1%
იგავ-არაკი	7%	7%	5%	1%
ჰაგიოგრაფია	3%	4%	1%	1%
ეპისტოლარული	1%	1%	1%	1%
ესეები	2%	3%	1%	1%
ჰიმნოგრაფია	1%	1%	0.4%	0.1%
სხვა (სასწავლო, რელიგია, ა. შ.)	8%	10%	4%	6%

წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=662

34 მონაცემთა ჯამი „ყველა ჟანრისთვის“ აღემატება 100%-ს, რადგან დასაშვები იყო ყველა შეძენილი ჟანრის დასახელება, „ძირითადი ჟანრის“ შემთხვევაში კი მხოლოდ ერთის, ძირითადის.

აღნიშნული ტენდენცია მეორდება ყველა რეგიონულ ქალაქში. შეძენილ წიგნებს შორის რომანების მნიშვნელობა კიდევ უფრო მაღალია ქუთაისსა (71%) და ზუგდიდში (76%), შედარებით ნაკლები კი ბათუმში (44%). მეორე ყველაზე პოპულარული ჟანრია ზღაპრებიც ყველა ქალაქში, გარდა ქუთაისისა. აქ მას მოთხრობები ანაცვლებს.

	ქუთაისი (N=59)	ბათუმი (N=59)	ზუგდიდი (N=58)	თელავი (N=59)	გორი (N=76)
რომანი	71%	44%	76%	58%	53%
მოთხრობა	40%	20%	22%	29%	32%
ზღაპარი / თქმულება	19%	35%	28%	29%	36%
ლექსი	13%	11%	22%	13%	25%
ნოველა	13%	7%	3%	8%	10%
დრამატურგია	10%	19%	4%	6%	1%
იგავ-არაკი	6%	5%	6%	0%	5%
პოემა	4%	1%	7%	6%	9%
ჰაგიოგრაფია	1%		1%		3%
ეპოსი / საგა / ბალადა / თქმულება	4%		3%		2%
ესეები		1%	2%		2%
ეპისტოლარული				7%	2%
ჰიმნოგრაფია			1%		1%
სხვა (სასწავლო, რელიგია, ა. შ.)	2%	6%		12%	4%

წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=311

ყველაზე აქტიურად რომანების შეძენის ტენდენცია უცვლელია როგორც სქესის, ასევე ასაკის მიუხედავად. მას საგრძნობლად ჩამორჩება მეორე და მესამე ადგილზე არსებული მოთხრობები და ზღაპრები. სიახლეს არ უნდა წარმოადგენდეს, რომ 16-24 წლის ასაკის მკითხველების მიერ ყველაზე აქტიურად შეძენილ ჟანრებს შორის ზღაპრები ნაკლებადაა. მათ დრამატურგია უფრო იტაცებთ.

შეძენილი წიგნების ჟანრები / სქესის და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=537)	კაცი (N=125)	16-24 (N=151)	25-34 (N=176)	35-54 (N=210)	55 + (N=125)
რომანი	65%	62%	69%	66%	66%	52%
მოთხრობა	37%	33%	27%	36%	41%	39%
ზღაპარი / თქმულება	29%	20%	13%	32%	30%	31%
ლექსი	18%	14%	10%	15%	18%	23%
ნოველა	13%	8%	11%	7%	15%	13%
დრამატურგია	7%	14%	16%	8%	5%	6%
იგავ-არაკი	8%	2%	2%	7%	10%	5%
პოემა	5%	5%	8%	2%	4%	7%
ჰაგიოგრაფია	3%	3%	4%	2%	2%	5%
ეპოსი / საგა / ბალადა / თქმულება	2%	4%	2%	3%	4%	1%
ესეები	2%	3%	4%	3%	1%	2%
ეპისტოლარული	1%	1%		1%	2%	1%
ჰიმნოგრაფია	1%	1%	2%		1%	
სხვა (სასწავლო, რელიგია, ა. შ.)	7%	11%	8%	10%	5%	13%

წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=662

შეძენილი წიგნების რაოდენობა და ენები

კვლევის ფარგლებში დადგინდა ისიც, რომ გასულ წელს დიდი ქალაქის მცხოვრებლებმა საშუალოდ 13 წიგნი შეიძინეს. უფრო კონკრეტულად, მათგან 78%-ს საშუალოდ 6 ქართული წიგნი აქვს შეძენილი. თითქმის ამდენივეა უცხო ენიდან ქართულად თარგმნილი წიგნების მყიდველთა რაოდენობაც (74%), რომელთაც წლის განმავლობაში ასევე 6 წიგნი აქვთ შეძენილი. უცხოენოვანი წიგნებით კი მხოლოდ მეხუთედი დაინტერესდა (21%), რომელთაც მხოლოდ 1 ასეთი წიგნი შეიძინეს. ისევე როგორც კითხვისას, ამ შემთხვევაშიც ხაზგასასმელია, რომ მყიდველთა უმრავლესობა (59%) წლის განმავლობაში არაუმეტეს 6 ცალი წიგნის შეძენით შემოიფარგლება. ასეთი მოქალაქეების რაოდენობა კიდევ უფრო მაღალია რეგიონებში (70%).

შეძენილი წიგნების რაოდენობა / ჯამური სურათი[35 36]



წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=662

ზემოთქმული ტენდენცია მეორდება სქესისა და ასაკის მიუხედავად. კერძოდ, ყველა განხილულ კატეგორიაში, მკითხველების შეძენილი წიგნების რაოდენობა ძირითადად 1-6 წიგნით შემოიფარგლება.

35 ქართული და უცხოენოვანი წიგნების შემთხვევაში მონაცემები თბილისი-რეგიონის ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან.

36 რეგიონული ქალაქების ჭრილში მონაცემები არ არის სტატისტიკურად განსხვავებული ჯამური სურათისგან არც ერთი კატეგორიისთვის (ქართული, თარგმნილი, უცხოენოვანი).

შეძენილი წიგნების რაოდენობა / ასაკისა და სქესის ჭრილი

	ქალი (N=537)	კაცი (N=125)	16-24 (N=151)	25-34 (N=176)	35-54 (N=210)	55 + (N=125)
			ქართული ლიტერატურა			
არც ერთი	**მონაცემები სქესის ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან.**		33%	28%	14%	11%
1-დან 6 წიგნამდე			52%	55%	59%	69%
7 და მეტი წიგნი			14%	17%	27%	19%
მიჭირს პასუხის გაცემა			0.1%	1%		
			თარგმნილი ლიტერატურა			
არც ერთი			18%	27%	24%	39%
1-დან 6 წიგნამდე			55%	51%	52%	47%
7 და მეტი წიგნი			27%	20%	23%	14%
მიჭირს პასუხის გაცემა			0.1%	1%	1%	
			უცხოური ლიტერატურა			
არც ერთი			65%	80%	83%	88%
1-დან 6 წიგნამდე			26%	16%	14%	11%
7 და მეტი წიგნი			9%	4%	2%	1%
მიჭირს პასუხის გაცემა					1%	
			სულ (ქართული, თარგმნილი, უცხოური ლიტერატურა)			
1-დან 6 წიგნამდე	55%	67%	60%	62%	49%	67%
7 და მეტი წიგნი	44%	33%	40%	36%	50%	33%
მიჭირს პასუხის გაცემა	1%		0.1%	2%	1%	

წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი გასული წლის მანძილზე (2020 წელს) N=662

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ გაყიდულ უცხოენოვან ლიტერატურას შორის საგრძნობი უპირატესობა ინგლისურ წიგნებს გააჩნია (68%). მეორე ადგილზეა რუსულენოვანი ლიტერატურა, რომელიც უცხო ენაზე წიგნის მყიდველთაგან 38%-ს შეუძენია. ნაკლებად პოპულარულია წიგნების შეძენა გერმანულ, იტალიურ, ფრანგულ, თურქულ და კორეულ ენებზე.

უცხო ენაზე შეძენილი წიგნების ენა / ჯამური სურათი[37]



წყარო: უცხოენოვანი წიგნის მყიდველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=119

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა წარმოადგენს უდიდეს წიგნის ბაზრობას მსოფლიოში, რომელზეც 2018 წელს საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით წარსდგა. ამ პროექტის ფარგლებში ითარგმნა და გამოიცა ქართველ ავტორთა ნაწარმოებები გერმანულ და სხვა ევროპულ თუ არაევროპულ ენებზე. ასევე, გერმანიასა და სხვა გერმანულენოვან ქალაქებში ჩატარდა ღონისძიებები, პრეზენტაციები და შეხვედრები ქართველ ავტორებთან (დაწვრ. იხ. გვ. 175).

37 მონაცემთა სიმცირიდან გამომდინარე, წარმოდგენილია მხოლოდ ჯამური შედეგები.

აღმოჩნდა, რომ ამ ფაქტის შესახებ თბილისის მკითხველთა უმრავლესობა (59%) ინფორმირებულია, თუმცა სურათი იცვლება რეგიონებში. აქ ყოველი 10 გამოკითხულიდან, მხოლოდ 4-ს აქვს ინფორმაცია.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის შესახებ ინფორმაციის ფლობა / ჯამური სურათი (N=1000)



წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

რეგიონულ ქალაქებს შორის ინფორმირებულობის ყველაზე მაღალი დონე თელავში (53%), ზუგდიდსა (51%) და გორში (50%) ფიქსირდება, სადაც მკითხველთა ნახევარს სმენია აღნიშნული ფაქტის შესახებ. მათ ჩამოუვარდება ქუთაისი და ბათუმი ცნობადობის თანაბარი დონით (35%-36%).

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის შესახებ ინფორმაციის ფლობა / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=100)	ბათუმი (N=100)	ზუგდიდი (N=100)	თელავი (N=100)	გორი (N=100)
კი, მაქვს ამის შესახებ ინფორმაცია	35%	36%	51%	53%	50%
არა, არ მაქვს ამის შესახებ ინფორმაცია	65%	64%	49%	47%	50%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=500

მკითხველთა შორის მცირედი სხვაობა ფიქსირდება სქესთა და ასაკობრივ კატეგორიებს შორის. მაგ., ყოველი 10-10 გამოკითხულიდან, ფაქტის შესახებ 6 ქალის და 5 კაცისთვისაა ცნობილი. ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ინფორმირებულობის დონეც. კერძოდ, თუ ახალგაზრდა თაობის (16-24 წლის) 42%-მა იცის ამის შესახებ, 55+ სეგმენტში იგი უკვე 72%-ს აღწევს.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის შესახებ ინფორმაციის ფლობა / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=764)	კაცი (N=236)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
კი, მაქვს ამის შესახებ ინფორმაცია	59%	46%	42%	48%	56%	72%
არა, არ მაქვს ამის შესახებ ინფორმაცია	41%	54%	58%	52%	44%	28%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისადმი დამოკიდებულება

ქვეყნის კულტურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის მიზნით საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მკითხველებს საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული დადებითი განწყობა აქვთ როგორც თბილისში (92%), ასევე რეგიონებში (86%). უფრო მეტიც, ნეგატიური დამოკიდებულების მქონე მკითხველი ზოგიერთ ქალაქში საერთოდ არ მოიძებნება (გორი), ზოგან კი მათი რაოდენობა მხოლოდ 1-5%-ის ფარგლებში მერყეობს. მსგავსი ღონისძიებების არსებითი მნიშვნელობა გააზრებული აქვს უმრავლესობას, სქესისა და ასაკის მიუხედავად.

საერთაშორისო პროექტებისადმი დამოკიდებულება / ჯამური სურათი



წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

საერთაშორისო პროექტებისადმი დამოკიდებულება / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=100)	ბათუმი (N=100)	ზუგდიდი (N=100)	თელავი (N=100)	გორი (N=100)
ძალიან მნიშვნელოვანია	70%	62%	54%	85%	97%
უფრო მნიშვნელოვანია	22%	17%	16%	13%	1%
ნეიტრალური განწყობა	6%	20%	24%	1%	2%
უფრო უმნიშვნელოა	1%	1%	5%		
სრულიად უმნიშვნელოა	1%			1%	

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=500

საერთაშორისო პროექტებისადმი დამოკიდებულება / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=764)	კაცი (N=236)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
ძალიან მნიშვნელოვანია	83%	64%	78%	74%	72%	84%
უფრო მნიშვნელოვანია	11%	21%	15%	17%	14%	9%
ნეიტრალური განწყობა	4%	11%	5%	6%	10%	5%
უფრო უმნიშვნელოა	2%	4%	2%	2%	4%	1%
სრულიად უმნიშვნელოა	0%	1%	0%	1%	0%	0%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

> წიგნის რეალიზაციის ობიექტებში სიარული პანდემიამდე

საინტერესოა, რა სიხშირით სტუმრობდნენ მკითხველები წიგნის რეალიზაციის ამა თუ იმ პუნქტს პანდემიის დაწყებამდე, 2019 წელს. აღმოჩნდა, რომ მოქალაქეებს შორის ყველაზე დიდი პოპულარობით წიგნის მაღაზიები სარგებლობდა (75%), წიგნის ფესტივალთან (18%) და ბიბლიოთეკასთან (23%) შედარებით. უფრო კონკრეტულად, მკითხველთა 44% მინიმუმ 2-3 თვეში ერთხელ სტუმრობდა მას, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წიგნის ფესტივალების (3%) და ბიბლიოთეკის (14%) ამავე ინტენსივობით ვიზიტორთა მაჩვენებელს.

თბილისისა და რეგიონების წიგნის მაღაზიების ვიზიტორთა რაოდენობას შორის განსხვავება დიდი არაა (შესაბამისად, 77% და 71%), თუმცა დედაქალაქელი მკითხველების თითქმის ნახევარი მას შედარებით მაღალი ინტენსივობით, მინიმუმ 2-3 თვეში ერთხელ სტუმრობდა, რეგიონის მესამედის (34%) საპირისპიროდ.

წიგნის ფესტივალებსა და ბაზრობებში 2019 წელს მონაწილეობა არ მიუღია მკითხველთა აბსოლუტურ უმრავლესობას როგორც თბილისში (78%), ასევე

რეგიონებში (92%). თითქმის თანაბრად რთული ვითარებაა ამ მხრივ ყველა რეგიონულ ქალაქში (81%-98%). ღონისძიებაზე დამსწრეთა შორის ძირითადი ნაწილი 6 თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად სტუმრობდა მას, რაც ზოგადად მსგავსი აქტივობების იშვიათად ჩატარებითაც შეიძლება აიხსნას.

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ დიდი ქალაქების მკითხველი საზოგადოება ნაკლებად დადის ბიბლიოთეკებში. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ 2019 წელს მათგან მხოლოდ მეხუთედმა (23%) ისარგებლა აღნიშნული მომსახურებით.

წიგნის რეალიზაციის ობიექტებში სიარული პანდემიამდე, 2019 წელს / ჯამური სურათი[38]



წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

38 ბიბლიოთეკის მონაცემები თბილისი-რეგიონის ჭრილში არა არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან.

წიგნის რეალიზაციის ობიექტებში სიარული პანდემიამდე / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=100)	ბათუმი (N=100)	ზუგდიდი (N=100)	თელავი (N=100)	გორი (N=100)
	წიგნის მაღაზია				
	წიგნის მაღაზიისთვის მონაცემები ქალაქის ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან.				
	წიგნის ფესტივალი / ბაზრობა				
მინიმუმ თვეში ერთხელ	1%				
2-3 თვეში ერთხელ	10%				1%
6 თვეში ერთხელ	4%	1%			1%
წელიწადში ერთხელ	5%	2%	2%	4%	4%
საერთოდ არ ვყოფილვარ	81%	97%	98%	96%	94%
	ბიბლიოთეკა				
	ბიბლიოთეკისთვის მონაცემები ქალაქის ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან.				

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=500

წიგნის მაღაზიის ვიზიტორებს შორის ქალები სჭარბობენ მამაკაცებს (79% vs 68%), ასაკობრივი გამყოფი კი 55 წელია, რომლის ზევითაც მყიდველების რაოდენობა მინიმუმ 2-ჯერ მცირდება.

როგორც მოსალოდნელია, ფესტივალების ვიზიტორთა ძირითადი ნაწილი 34 წლამდე ახალგაზრდები არიან, ასაკის მატებასთან ერთად კი სულ უფრო მცირდება მათი რაოდენობა. დამსწრეთა შორის გენდერული განსხვავება არ ვლინდება.

ბიბლიოთეკის ვიზიტორთა შორის ყველაზე ხშირად 16-24 წლის მკითხველები, ანუ სტუდენტები გვხვდება, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად იწყებენ ბიბლიოთეკით სარგებლობას, თუმცა ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო ნაკლებად სტუმრობენ მას. ბიბლიოთეკის თანამშრომლის ინფორმაციით,

ცალკე სეგმენტია მათი მუდმივი ვიზიტორები, რომლებიც კვირაში ერთხელ მაინც სტუმრობენ ბიბლიოთეკას ამა თუ იმ საკითხის შესახებ ინფორმაციის გასაგებად.

განსხვავება ქალებსა და კაცებს შორის, ისევე როგორც რეგიონისა და თბილისის მკითხველ მოსახლეობას შორის, არ ვლინდება.

წიგნის რეალიზაციის ობიექტებში სიარული პანდემიამდე / სქესის და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=764)	კაცი (N=236)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
წიგნის მაღაზია						
მინიმუმ თვეში ერთხელ	21%	13%	16%	18%	24%	12%
2-3 თვეში ერთხელ	27%	25%	30%	32%	25%	19%
6 თვეში ერთხელ	18%	19%	18%	21%	19%	16%
წელიწადში ერთხელ	13%	11%	15%	13%	12%	9%
საერთოდ არ ვყოფილვარ	21%	32%	22%	16%	21%	43%
წიგნის ფესტივალი / ბაზრობა						
მინიმუმ თვეში ერთხელ	**მონაცემები სქესის ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან.**		1%		1%	1%
2-3 თვეში ერთხელ			1%	3%	3%	1%
6 თვეში ერთხელ			6%	3%	4%	4%
წელიწადში ერთხელ			13%	16%	8%	8%
საერთოდ არ ვყოფილვარ			77%	78%	84%	87%
ბიბლიოთეკა						
მინიმუმ თვეში ერთხელ	**მონაცემები სქესის ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან.**		21%	6%	3%	4%
2-3 თვეში ერთხელ			13%	5%	4%	1%
6 თვეში ერთხელ			11%	5%	1%	2%
წელიწადში ერთხელ			8%	4%	6%	1%
საერთოდ არ ვყოფილვარ			48%	80%	87%	91%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

ბიბლიოთეკაში ვიზიტის ძირითადი მიზეზებია: წიგნის გამოტანა (47%), ადგილზე წაკითხვა (25%) ან მეცადინეობა (11%). მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ბიბლიოთეკის ვიზიტორთა პროტოტიპს წარმოადგენს პენსიონერი ან უმუშევარი ადამიანი, რომელიც წიგნის კითხვის გარდა, ბიბლიოთეკაში სხვა ადამიანებთან შესახვედრად დადის, კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ამ მიმართულებით თბილისსა და რეგიონის მკითხველებს შორის სხვაობა არაა.

ბიბლიოთეკაში ვიზიტის მიზეზები / ჯამური სურათი[39]

	ზოგადი მიზეზები (N=228)	თბილისი (N=113)	რეგიონები (N=115)	ძირითადი მიზეზი (N=228)
წიგნის გამოსატანად	61%	58%	70%	47%
წიგნის წასაკითხად	46%	50%	33%	25%
სამეცადინოდ / დავალებების შესასრულებლად	18%	20%	12%	11%
ინფორმაციის მოსაძიებლად/ გასაცნობად	3%	4%		3%
მეგობარს, ახლობელს გავყევი	13%	15%	9%	2%
უფასო ინტერნეტით სარგებლობისთვის	3%	3%	1%	2%
სიახლეების გასაცნობად	5%	6%	3%	2%
შვილი დამყავს	4%	5%	1%	1%
მეგობართან შესახვედრად	2%	3%	1%	1%
კონკრეტულ ღონისძიებაზე დასასწრებად	3%	3%	4%	1%
ჭადრაკის სათამაშოდ	1%	1%		1%
ჩემი დაწერილი მოთხრობების გადასათეთრებლად	1%	1%		1%
სამეცნიერო ბაზისთვის	1%	1%		1%
გარემო მომწონს	1%	2%		1%
ჟურნალების, გაზეთების წასაკითხად	2%	3%	1%	1%
საქმიანი შეხვედრის მიზნით	4%	5%	2%	
ჟურნალ-გაზეთების გამოსატანად	1%	1%		
კაფეთი სარგებლობის მიზნით	2%	2%		

წყარო: ბიბლიოთეკის ვიზიტორი მკითხველები N=228

39 რეგიონულ ქალაქებში მონაცემთა სიმცირიდან გამომდინარე, შედეგები არ არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება სქესთა შორის სხვაობას, ქალი მკითხველების ნახევარზე მეტი (67%) ბიბლიოთეკაში წიგნის გამოსატანად მიდის, რაც აღემატება კაცების მაჩვენებელს (51%). წიგნის წასაკითხად მისულ ვიზიტორებს შორის თანაბრად აღმოაჩენთ ორივე სქესის წარმომადგენლებს (46%-46%), თუმცა იქ მეცადინეობას გოგონებზე მეტად, მცირედით მეტი ვაჟი ამჯობინებს (20% 17%-ის წინააღმდეგ). საგულისხმოა, რომ 2019 წელს ბიბლიოთეკაში მყოფი მკითხველი მამაკაცების მცირე ნაწილის (6%) ვიზიტის მიზეზს უფასო ინტერნეტით სარგებლობა წარმოადგენდა.

წიგნის გამოტანა წარმოადგენდა 2019 წელს ბიბლიოთეკაში ვიზიტის ძირითად მიზეზს ყველა ასაკობრივ კატეგორიაში. ამასთან, ასაკის მატებასთან ერთად, მკითხველები სულ უფრო მეტად ამჯობინებენ წიგნის სახლში წამოღებას, ბიბლიოთეკაში კითხვის ნაცვლად. ბუნებრივია, მეცადინეობის მიზნით ბიბლიოთეკას უმეტესად 34 წლამდე ახალგაზრდები სტუმრობენ.

უნდა აღინიშნოს, რომ მკითხველთა გარკვეული ნაწილისთვის ბიბლიოთეკა სიახლეების გაცნობის ადგილია. 55+ ასაკის მკითხველთა 16% სწორედ ამ მიზნით ესტუმრა ბიბლიოთეკას 2019 წელს. წიგნის გამოტანა-წაკითხვის შემდეგ ეს ამ ასაკობრივი კატეგორიის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ / ᲡᲥᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲭᲠᲘᲚᲘ

	ქალი (N=168)	კაცი (N=60)	16-24 (N=109)	25-34 (N=41)	35-54 (N=47)	55 + (N=31)
წიგნის გამოსატანად	67%	51%	64%	54%	60%	59%
წიგნის წასაკითხად	46%	46%	56%	42%	31%	26%
სამეცადინოდ	17%	20%	23%	18%	10%	
მეგობარს, ახლობელს გავყევი	13%	13%	16%	8%	15%	5%
სიახლეების გასაცნობად	6%	4%	4%	3%	7%	16%
შვილი დამყავს	5%	4%		1%	20%	7%
საქმიანი შეხვედრის მიზნით	4%	3%	2%	3%	10%	7%
კონკრეტულ ღონისძიებაზე დასასწრებად	3%	3%	1%	9%	5%	5%
ინფორმაციის მოსაძიებლად/ გასაცნობად	2%	4%	4%	3%		
უფასო ინტერნეტით სარგებლობის მიზნით	0.2%	6%	0.2%	6%	7%	
ჟურნალების, გაზეთების წასაკითხად	4%	0.2%	1%		3%	15%
მეგობართან, ახლობელთან შეხვედრისთვის	1%	4%	1%	1%	7%	
კაფეთი სარგებლობის მიზნით	1%	2%	1%	5%		
გარემო მომწონს	1%	2%	3%			
ჭადრაკის სათამაშოდ		2%	2%			
ჩემი დაწერილი მოთხრობების გადასათეთრებლად		2%				8%
ჟურნალ-გაზეთების გამოსატანად	1%		1%			
სამეცნიერო ბაზისთვის	1%		1%			

წყარო: ბიბლიოთეკის ვიზიტორი მკითხველები N=228

როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის, ასევე ბიბლიოთეკების ასოციაციის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ იმას, რომ დროთა განმავლობაში მკითხველების მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობის მიზეზები იცვლება იმის მიხედვით, თუ რა მომსახურებების მიღების საშუალება აქვთ მათ ადგილზე. მაგალითად, მას შემდეგ, რაც რეგიონული ბიბლიოთეკების ნაწილი მკითხველს სთავაზობს არა მარტო წიგნის რესურსს, არამედ მულტიფუნქციურ პრინტერსა და ინტერნეტით სარგებლობას, გაიზარდა აღნიშნული მომსახურებების მისაღებად მიმართვიანობა.

ვიზიტორთა უმრავლესობა (62%) აღნიშნავს, რომ 2019 წელს მათ ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის მიიღეს ბიბლიოთეკაში სასურველი მომსახურება, მესამედს ნაწილობრივ გაუმართლა (34%), მხოლოდ 3%-მა ვერ შეძლო სასურველი სერვისის მიღება.

ბიბლიოთეკაში სასურველი მომსახურების მიღება / ჯამური სურათი[40]



წყარო: ბიბლიოთეკის ვიზიტორი მკითხველები N=228

როგორც ზევით აღინიშნა, მკითხველთა 77% საერთოდ არ ყოფილა 2019 წელს ბიბლიოთეკაში. ამის მიზეზად ნახევარი (49%) დროის სიმცირეს ასახელებს, 40%-ს არ გააჩნია ბიბლიოთეკაში სიარულის საჭიროება, რადგან სასურველი წიგნები თავად აქვს, მესამე მიზეზი კი სურვილის არქონაა (11%). შედარებით

40 მონაცემები რეგიონის, ქალაქების, სქესისა და ასაკის ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან.

ნაკლებად მნიშვნელოვან მიზეზებს შორის დასახელდა ტერიტორიული სიშორე (5%) და ინფორმაციის არქონა ბიბლიოთეკის მომსახურებების შესახებ (5%).

იმის მიუხედავად, რომ ხშირად მკითხველებს ბიბლიოთეკაში არ ხვდებათ კომფორტული გარემო დაზიანებული შენობების გამო, ეს ნაკლებად წარმოადგენს მათ მიერ ბიბლიოთეკის მომსახურებაზე უარის თქმის მიზეზს (1%). იგივე შეიძლება ითქვას არსებულ ლიტერატურაზეც, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ მკითხველთა 2%-სთვის არაა საკმარისი.

ბიბლიოთეკაში ვიზიტისგან თავის არიდების მიზეზები / ჯამური სურათი

	ჯამური სურათი (N=772)	თბილისი (N=387)	რეგიონები (N=385)
არ მაქვს ბიბლიოთეკაში ვიზიტისთვის დრო	49%	52%	41%
არ მაქვს ბიბლიოთეკაში სიარულის საჭიროება	40%	40%	38%
არასოდეს გამჩენია ინტერესი	11%	10%	13%
ბიბლიოთეკა შორს არის ტერიტორიულად	5%	5%	6%
არ მაქვს ინფორმაცია ბიბლიოთეკის მომსახურებებზე	5%	5%	4%
ჯანმრთელობის მდგომარეობის / ასაკის გამო	2%	3%	1%
არ არის ჩემთვის სასურველი ლიტერატურა	2%	2%	1%
ბიბლიოთეკაში არ არის ინფრასტრუქტურა	1%	1%	1%
ჩემთვის უფრო კომფორტულია ყიდვა/ სახლში კითხვა	0.4%	0.5%	0.1%
მომსახურებაზე უარი მივიღე	0.2%	0.2%	
ქალაქში არ არის ბიბლიოთეკა	0.1%		0.3%
არ მიყვარს/არ მსურს ბიბლიოთეკაში კითხვა	0.1%		0.3%
ბიბლიოთეკაში დაძაბული გარემოა	0.1%		0.3%
წიგნის წამოღება რთულია	0.0%		0.2%
მიჭირს პასუხის გაცემა	7%	4%	15%

წყარო: მკითხველები, რომლებიც არ სტუმრობენ ბიბლიოთეკას N=772

აღნიშნული მიზეზები საერთოა როგორც თბილისისთვის, ასევე რეგიონებისთვის, თუმცა დედაქალაქელი მკითხველები უფრო მეტად უჩივიან ბიბლიოთეკაში სიარულისთვის საჭირო დროის სიმცირეს. ტენდენცია მეორდება უშუალოდ რეგიონულ ქალაქებშიც. კერძოდ, ქუთაისსა და გორში გამოკითხულთა ნახევარს ნაკლებად გააჩნია ბიბლიოთეკაში სიარულის საჭიროება (48%-49%), ბათუმში (43%), ზუგდიდსა (42%) და თელავში (60%) კი მთავარ მიზეზად დროის სიმცირე სახელდება.

ბიბლიოთეკაში ვიზიტისგან თავის არიდების მიზეზები / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=81)	ბათუმი (N=80)	ზუგდიდი (N=74)	თელავი (N=75)	გორი (N=75)
არ მაქვს ბიბლიოთეკაში ვიზიტისთვის დრო	34%	43%	42%	60%	45%
არ მაქვს ბიბლიოთეკაში სიარულის საჭიროება	48%	31%	22%	30%	49%
არასოდეს გამჩენია ინტერესი	7%	15%	35%	12%	7%
ბიბლიოთეკა შორს არის ტერიტორიულად	13%	2%		2%	5%
არ მაქვს ინფორმაცია ბიბლიოთეკის მომსახურებებზე	8%	1%	3%		7%
ჯანმრთელობის მდგომარეობის / ასაკის გამო	1%			6%	1%
ხელმიუწვდომელია სასურველი ლიტერატურა	2%				
ბიბლიოთეკაში არ არის ინფრასტრუქტურა		1%			7%
ჩემთვის უფრო კომფორტულია ყიდვა/ სახლში კითხვა				2%	
მომსახურებაზე უარი მივიღე					2%
არ მიყვარს/არ მსურს ბიბლიოთეკაში კითხვა	1%				
ბიბლიოთეკაში დაძაბული გარემოა	1%				
წიგნის წამოღება რთულია					1%
მიჭირს პასუხის გაცემა	6%	31%	13%	7%	1%

წყარო: მკითხველები, რომლებიც არ სტუმრობენ ბიბლიოთეკას N=385

დროის სიმცირე და საჭიროების არქონა წარმოადგენს წამყვან მიზეზებს სქესისა და ასაკის მიუხედავად.

ბიბლიოთეკაში ვიზიტისგან თავის არიდების მიზეზები / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=387)	კაცი (N=385)	16-24 (N=107)	25-34 (N=187)	35-54 (N=257)	55 + (N=221)
არ მაქვს ბიბლიოთეკაში ვიზიტისთვის დრო	51%	43%	41%	56%	56%	36%
არ მაქვს ბიბლიოთეკაში სიარულის საჭიროება	39%	40%	37%	32%	39%	49%
არასოდეს გამჩენია ინტერესი	8%	18%	14%	10%	14%	7%
ბიბლიოთეკა შორს არის ტერიტორიულად	7%	3%	2%	6%	5%	6%
არ მაქვს ინფორმაცია ბიბლიოთეკის მომსახურებებზე	3%	10%	5%	6%	5%	5%
ჯანმრთელობის მდგომარეობის / ასაკის გამო	2%	2%			0.1%	8%
ხელმიუწვდომელია სასურველი ლიტერატურა	1%	3%	4%	1%	1%	2%
ბიბლიოთეკაში არ არის ინფრასტრუქტურა	1%	1%	2%	0.3%	1%	1%
ჩემთვის უფრო კომფორტულია ყიდვა/ სახლში კითხვა	1%		1%	1%		
მომსახურებაზე უარი მივიღე	0.3%			1%		
ქალაქში არ არის ბიბლიოთეკა	0.1%				0.2%	
არ მიყვარს/არ მსურს ბიბლიოთეკაში კითხვა	0.1%		0.5%			
ბიბლიოთეკაში დაძაბული გარემოა	0.1%		0.5%			
წიგნის წამოღება რთულია	0.1%		0.3%			
მიჭირს პასუხის გაცემა	6%	11%	11%	8%	6%	7%

წყარო: მკითხველები, რომლებიც არ სტუმრობენ ბიბლიოთეკას N=772

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ბიბლიოთეკების მიმართ საზოგადოების ინტერესი საკმაოდ დაბალია, რაც PR განყოფილების ჩართვის აუცილებლობას იწვევს. ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლის მიერ მნიშვნელოვან საკითხად სახელდება რაიონების ბიბლიოთეკებთან კავშირის გააქტიურება, მათთვის თანამედროვე ლიტერატურის გადაცემა და მწერლებთან მუდმივი შეხვედრების ორგანიზება. საჭიროა არსებულ თუ პოტენციურ მკითხველთა საჭიროებების შესწავლა და ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებული მომსახურებების შესაბამისად განსაზღვრა. ასევე მნიშვნელოვანია კონკრეტული ქვეყნების გამოცემებთან აქტიური თანამშრომლობაც.

იმის მიუხედავად, რა ტიპის დაწესებულებასთან გვაქვს საქმე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი, მით უფრო, როდესაც საქმე წიგნებსა და ბიბლიოთეკას ეხება. საბიბლიოთეკო ასოციაციის წარმომადგენელი ხაზს უსვამს არა მხოლოდ ტექნოლოგიურად განვითარებული და უცხო ენებზე მოსაუბრე, არამედ კეთილგანწყობილი, კომუნიკაბელური და მშვიდი ადამიანების დასაქმების აუცილებლობასაც.

3.9 პანდემიის გავლენა წიგნის ბაზარზე

› პანდემიის გავლენა მკითხველებზე

კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, რამდენად იქონია 2020 წლის პანდემიამ გავლენა კითხვის ქცევაზე. შედეგები ცხადყოფს, რომ მკითხველთა ნახევარი (52%) კვლავ იმავე სიხშირით განაგრძობს კითხვას, როგორც მანამდე. რაც შეეხება მესამედს, მათ გააააქტიურეს კითხვის სიხშირე. მხოლოდ 15% წარმოადგენს კატეგორიას, რომელიც პანდემიის პერიოდში უფრო იშვიათად კითხულობს, ვიდრე მანამდე.

შეიძლება ითქვას, პანდემიამ მცირედით მეტი ნეგატიური გავლენა იქონია თბილისის მკითხველ მოსახლეობაზე. აქ 51% ახერხებს იმავე ინტენსივობით კითხვას, როგორიც მანამდე. აღნიშნული მაჩვენებელი რეგიონების შემთხვევაში 54%-ია. ამასთან, თბილისელთა 16%-მა შეამცირა კითხვის ინტენსივობა რეგიონების 10%-ის საპირისპიროდ.

პანდემიის გავლენა მკითხველებზე / ჯამური სურათი

	ჯამური სურათი (N=1000)	თბილისი (N=500)	რეგიონები (N=500)
პანდემიის პერიოდში ვკითხულობ უფრო ხშირად, ვიდრე მანამდე	32%	32%	31%
პანდემიის პერიოდში ვკითხულობ იმავე სიხშირით, როგორც მანამდე	52%	51%	54%
პანდემიის პერიოდში ვკითხულობ უფრო იშვიათად, ვიდრე მანამდე	15%	16%	10%
მიჭირს პასუხის გაცემა	2%	1%	4%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა რეგიონულ ქალაქში მკითხველთა ნახევარზე მეტი (55%-57%) ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს კითხვას (გარდა გორისა 41%). შედარებით დადებითად პანდემიამ ქუთაისზე (35%), ბათუმსა (32%) და გორზე იმოქმედა (35%), სადაც მესამედმა მოუმატა კითხვის ინტენსივობას. თელავში მას არაერთგვაროვანი გავლენა ჰქონდა – მეხუთედმა გაზარდა კითხვის ინტენსივობა, ზუსტად იმავე რაოდენობამ კი შეამცირა (22%-22%).

პანდემიის გავლენა მკითხველებზე / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=100)	ბათუმი (N=100)	ზუგდიდი (N=100)	თელავი (N=100)	გორი (N=100)
პანდემიის პერიოდში ვკითხულობ უფრო ხშირად, ვიდრე მანამდე	35%	32%	16%	22%	35%
პანდემიის პერიოდში ვკითხულობ იმავე სიხშირით, როგორც მანამდე	57%	55%	56%	57%	41%
პანდემიის პერიოდში ვკითხულობ უფრო იშვიათად, ვიდრე მანამდე	6%	3%	24%	22%	21%
მიჭირს პასუხის გაცემა	1%	9%	4%		2%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=500

პანდემიამ თანაბარი გავლენა იქონია როგორც ქალებზე, ასევე მამაკაცებზე, თუმცა მცირედი განსხვავება აღინიშნება ასაკობრივ კატეგორიებს შორის. პანდემიის პერიოდში კითხვის ინტენსივობა ყველაზე მეტად 16-24 წლის მკითხველებმა გაზარდეს.

პანდემიის გავლენა მკითხველებზე / სქესის და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=764)	კაცი (N=236)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
პანდემიის პერიოდში ვკითხულობ უფრო ხშირად, ვიდრე მანამდე	**მონაცემები სქესის ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან.**		40%	26%	33%	29%
პანდემიის პერიოდში ვკითხულობ იმავე სიხშირით, როგორც მანამდე			42%	54%	56%	53%
პანდემიის პერიოდში ვკითხულობ უფრო იშვიათად, ვიდრე მანამდე			16%	18%	11%	16%
მიჭირს პასუხის გაცემა			2%	2%	1%	1%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

> პანდემიის გავლენა წასაკითხი ლიტერატურის შერჩევაზე

აღმოჩნდა, რომ პანდემიას ფაქტობრივად არ უმოქმედია მკითხველების მიერ წაკითხულ ლიტერატურაზე როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. რესპონდენტთა უმრავლესობას, რომელთაც დაადასტურეს ჟანრის ცვლილება, ახალგაზრდები (16-34 წლის) წარმოადგენენ. მკითხველმა მოსახლეობამ, რომელმაც შეცვალა პანდემიის პერიოდში ლიტერატურის ჟანრები, ყველაზე აქტიურად შემდეგი წიგნების კითხვა დაიწყო: თანამედროვე ლიტერატურა (18%), სამეცნიერო ფანტასტიკა / ფენტეზი / უტოპია (16%) და დეტექტივი/ ჰორორი/ მისტიკა (15%).

პანდემიის გავლენა წასაკითხი ლიტერატურის შერჩევაზე / ასაკის ჭრილი[41]

	ჯამური სურათი (N=1000)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
დიახ, შეიცვალა	10%	14%	12%	6%	6%
არა, არ შეცვლილა	90%	86%	88%	94%	94%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

პანდემიის დროს წაკითხული ახალი კატეგორიები / ჯამური სურათი



წყარო: მკითხველები, რომელთა წიგნის კატეგორიის არჩევანზე იქონია გავლენა პანდემიამ N=82

41 მონაცემები რეგიონის, ქალაქების და სქესის ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან.

> პანდემიის გავლენა წიგნის შეძენაზე

პანდემიის ნეგატიური გავლენა შეეხო წიგნების რეალიზაციის სფეროს. კერძოდ, წიგნის მყიდველთა თითქმის ნახევარმა (48%) იმაზე ნაკლები წიგნი შეიძინა ამ პერიოდში, ვიდრე მანამდე. 41%-ზე მიმდინარე მოვლენებს გავლენა არ ჰქონია, 11%-ზე კი ამან პოზიტიურადაც კი იმოქმედა და შეძენილი წიგნების რაოდენობამ გადააჭარბა პანდემიამდე არსებულ მაჩვენებელს. საგულისხმოა, რომ პანდემიამ შედარებით მეტად ნეგატიურად თბილისელებზე იმოქმედა, რეგიონებთან შედარებით (52% vs 34%).

პანდემიის გავლენით წიგნის შეძენის სიხშირის ცვლილება / ჯამური სურათი



წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი პანდემიის პერიოდში N=625

რეგიონულ ქალაქებში დადგინდა, რომ პანდემიამ შედარებით პოზიტიური გავლენა ქუთაისის მკითხველ მოსახლეობაზე იქონია. კერძოდ, მეხუთედში (22%) გაიზარდა ამ დროს შეძენილი წიგნების რაოდენობა, თუმცა გვერდს ვერ ავუვლით მესამედის (34%) მიერ უფრო ნაკლები წიგნის შეძენის ფაქტსაც. ყველაზე დიდი ნეგატიური გავლენა გორში ფიქსირდება, რომლის მკითხველი მოსახლეობის ნახევარზე მეტმა უფრო ნაკლები წიგნი შეიძინა, ვიდრე ამას პანდემიამდე აკეთებდა. მაშინ, როცა ყიდვის ინტენსივობა მხოლოდ 7%-ში გაიზარდა. თითქმის იგივე სურათია ზუგდიდშიც, სადაც 56%-ში შემცირდა შეძენილი წიგნების რაოდენობა და მხოლოდ 4%-ში გაიზარდა. ყველაზე

ნაკლებად ყიდვის ქცევაზე გავლენა პანდემიამ ბათუმში იქონია, სადაც გამოკითხულთა უდიდესი ნაწილის მიერ (71%) პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში შეძენილი წიგნების რაოდენობა არ შეცვლილა. დარჩენილ ნაწილში კი თანაბრად იყოფა პოზიტიური და ნეგატიური შედეგები: მკითხველების 14%-ში გაიზარდა შეძენილი წიგნების რაოდენობა, მეორე 14%-ში კი შემცირდა. საზოგადოების ნახევარზე მეტის ყიდვის ქცევაზე არ უმოქმედია პანდემიას თელავშიც (57%), თუმცა საყურადღებოა მესამედის (36%) მიერ შემცირებული ინტენსივობა.

პანდემიის გავლენით წიგნის შეძენის სიხშირის ცვლილება / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=57)	ბათუმი (N=56)	ზუგდიდი (N=58)	თელავი (N=57)	გორი (N=75)
პანდემიის პერიოდში შევიძინე უფრო მეტი წიგნი, ვიდრე მანამდე	22%	14%	4%	7%	6%
პანდემიის პერიოდში შევიძინე იმავე რაოდენობის წიგნი, რამდენიც მანამდე	44%	73%	40%	57%	40%
პანდემიის პერიოდში შევიძინე უფრო ნაკლები წიგნი, ვიდრე მანამდე	34%	14%	56%	36%	54%

წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი პანდემიის პერიოდში N=303

ასაკობრივი კატეგორიების შედარებისას გამოვლინდა, რომ პანდემიამ საგრძნობლად შეცვალა წიგნის ყიდვის ქცევა თითოეულ სეგმენტში. შედარებით დიდი ნეგატიური ცვლილება დაფიქსირდა ყველაზე ახალგაზრდებისა (55%, 16-24 წლის) და ასაკოვნების (60%, 55+) შემთხვევაში. მართალია, 25-34 წლის ასაკის მკითხველების თითქმის ნახევრის ყიდვის ქცევაზე პანდემიას გავლენა არ ჰქონია (48%), თუმცა მეორე ნაწილში არსებული ნეგატიური ეფექტი აჭარბებს პოზიტიურს. კერძოდ, მხოლოდ 12%-ში გაიზარდა შეძენილი წიგნების რაოდენობა მაშინ, როცა 40%-ის შემთხვევაში შემცირდა. იგივე ტენდენცია მეორდება 35-54 წლის ასაკობრივ კატეგორიაშიც.

პანდემიის გავლენით წიგნის შეძენის სიხშირის ცვლილება / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=504)	კაცი (N=121)	16-24 (N=148)	25-34 (N=168)	35-54 (N=202)	55 + (N=107)
პანდემიის პერიოდში შევიძინე უფრო მეტი წიგნი, ვიდრე მანამდე	**მონაცემები სქესის ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული ჯამური სურათისგან.**		16%	12%	10%	2%
პანდემიის პერიოდში შევიძინე იმავე რაოდენობის წიგნი, რამდენიც მანამდე			28%	48%	47%	39%
პანდემიის პერიოდში შევიძინე უფრო ნაკლები წიგნი, ვიდრე მანამდე			55%	40%	43%	60%

წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი პანდემიის პერიოდში N=625

> პანდემიის გავლენა წიგნის შეძენის არხებზე

მკითხველი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის (79%) მიერ წიგნის შეძენის არხებზე პანდემიას გავლენა არ მოუხდენია. განსაკუთრებით ნაკლებია მისი ზეგავლენა რეგიონების მკითხველებზე, სადაც მხოლოდ 10% ადასტურებს წარსულში გამოყენებული გზების ცვლილებას. თბილისში აღნიშნული მაჩვენებელი 25%-ს შეადგენს.

პანდემიის გავლენა წიგნის შეძენის არხებზე / ჯამური სურათი



წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი პანდემიის პერიოდში N=625

წიგნის შეძენის ახალი არხების ათვისება რეგიონულ ქალაქებს შორის ყველაზე მეტად ზუგდიდელმა მკითხველებმა დაიწყეს (22%), ყველაზე ნაკლებად კი ცვლილება ბათუმში დაფიქსირდა (5%).

პანდემიის გავლენა წიგნის შეძენის არხებზე / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=57)	ბათუმი (N=56)	ზუგდიდი (N=58)	თელავი (N=57)	გორი (N=75)
დიახ, შეიცვალა	10%	5%	22%	6%	11%
არა, არ შეცვლილა	90%	95%	78%	94%	89%

წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი პანდემიის პერიოდში N=303

პანდემიის გავლენა წიგნის შეძენის არხებზე / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=504)	კაცი (N=121)	16-24 (N=148)	25-34 (N=168)	35-54 (N=202)	55 + (N=107)
დიახ, შეიცვალა	24%	16%	მონაცემები ასაკის ჭრილში არ არის სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული			
არა, არ შეცვლილა	76%	84%				

წყარო: მკითხველები, რომელთაც შეიძინეს წიგნი პანდემიის პერიოდში N=625

როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, წიგნის შეძენის ალტერნატიული წყაროებიდან ყველაზე მეტად გააქტიურდა წიგნის მაღაზიების და გამომცემლობების ვებგვერდებიდან წიგნის შეძენა (56%) და ელექტრონული წიგნების ჩამოტვირთვა (32%). მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა დაიწყო წიგნის მაღაზიაში სიარულიც (17%). არანაკლებ გააქტიურდა წიგნის გაყიდვაზე არასპეციალიზებული ონლაინ მაღაზიებით და აპლიკაციებით (მაგ. გლოვო, ვოლტი) სარგებლობაც (16%).

პანდემიის გავლენით გააქტიურებული წიგნის რეალიზაციის არხები / ჯამური სურათი[42]



წყარო: მკითხველები, რომელთა წიგნის შეძენის არხებზე იქონია გავლენა პანდემიამ N=117

> წიგნის შეძენისადმი სამომავლო განწყობა

საინტერესოა მკითხველთა განწყობა უახლოესი 1 წლის მანძილზე წიგნის შეძენასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა უმრავლესობა (65%) განიხილავს წიგნის შეძენას, საიდანაც თითქმის ნახევარი (31%) დარწმუნებულია ამაში. ამასთან, თბილისში უფრო მაღალია წიგნის შეძენის მზაობა. რეგიონების მკითხველთა მეხუთედი (21%) სრულად ან ნაწილობრივ გამორიცხავს უახლოეს მომავალში წიგნის შეძენას, თბილისში კი ასეთი მხოლოდ 12%-ა.

42 მონაცემთა სიმცირიდან გამომდინარე, წარმოდგენილია მხოლოდ ჯამური შედეგები.

წიგნის შეძენისადმი მზაობა / ჯამური სურათი



წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

რეგიონული ქალაქებიდან ყველაზე დიდი მზაობა წიგნის შეძენის კუთხით ზუგდიდსა (62%) და გორში (58%) აღინიშნება. მკითხველთა თითქმის ნახევარია მზად ბათუმსა (49%) და თელავშიც (52%). ქუთაისში უახლოესი 1 წლის მანძილზე წიგნის შეძენას 40% განიხილავს.

წიგნის შეძენისადმი მზაობა / რეგიონული ქალაქების ჭრილი

	ქუთაისი (N=100)	ბათუმი (N=100)	ზუგდიდი (N=100)	თელავი (N=100)	გორი (N=100)
აუცილებლად განვიხილავ	12%	23%	19%	12%	20%
უფრო განვიხილავ	28%	26%	43%	40%	38%
არც განვიხილავ, არც გამოვრიცხავ	36%	28%	27%	27%	25%
უფრო არ განვიხილავ	12%	11%	10%	11%	12%
საერთოდ არ განვიხილავ	12%	13%	1%	9%	5%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=500

წიგნის შეძენისადმი მზაობა ასაკის მატებასთან ერთად იკლებს. მაგალითად, თუ 16-24 წლის მკითხველების 74% განიხილავს უახლოეს მომავალში წიგნების შეძენა, 55+ ასაკის წარმომადგენლებში მხოლოდ ნახევარია ამისთვის მზად (50%). მცირედი სხვაობა ვლინდება სქესთა შორისაც, სადაც ქალები უფრო განიხილავენ წიგნის შეძენას (68% vs 57%).

წიგნის ყიდვისადმი მზაობა / სქესისა და ასაკის ჭრილი

	ქალი (N=764)	კაცი (N=236)	16-24 (N=216)	25-34 (N=228)	35-54 (N=304)	55 + (N=252)
აუცილებლად განვიხილავ	34%	24%	35%	37%	30%	20%
უფრო განვიხილავ	34%	33%	39%	33%	34%	30%
არც განვიხილავ, არც გამოვრიცხავ	20%	25%	19%	22%	24%	20%
უფრო არ განვიხილავ	7%	12%	5%	6%	9%	14%
საერთოდ არ განვიხილავ	6%	6%	3%	2%	3%	16%

წყარო: მხატვრული/არამხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სრული შერჩევითი ერთობლიობა N=1000

> პანდემიის გავლენა წიგნის გამომცემლებზე, მაღაზიებსა და დისტრიბუტორებზე

2019 წლის ბოლოდან კორონა ვირუსის გლობალურად გავრცელებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია მთელ დედამიწაზე, რამაც საგრძნობლად დააზარალა ბიზნესსექტორი. გამონაკლისს არც წიგნის ბაზარი წარმოადგენს, რასაც მოწმობს მოცემულ კვლევაში მონაწილე გამომცემლობების, წიგნის მაღაზიების და დისტრიბუტორების შედეგებიც. უფრო კონკრეტულად, მათ აბსოლუტურ უმრავლესობაზე (80%<) არსებულმა შეზღუდვებმა ნეგატიურად იმოქმედა და 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს შემოსავლის საშუალოდ 44%-ით შემცირება გამოიწვია. ამ მხრივ შედარებით მეტად დაზარალდნენ გამომცემლობები, რომელთაც წლიური შემოსავალი თითქმის გაუნახევრდათ, წიგნის მაღაზიების შემოსავლის დაახლოებით მესამედის და დისტრიბუტორების

შემოსავლის მეოთხედის კლების ფონზე. მხოლოდ ერთეული გამომცემლობების საქმიანობაზე ჰქონდა პანდემიას დადებითი ზეგავლენა, რაც მათი შემოსავლის მეტ-ნაკლებად ზრდაში გამოიხატა.

პანდემიის გავლენა წიგნის ბაზარზე მოქმედი კომპანიების შემოსავალზე

	წიგნის გამომცემლობები	წიგნის მაღაზიები	წიგნის დისტრიბუტორები
წლიური შემოსავლის კლება (საშუალოდ)	(- 54%)	(- 32%)	(- 24%)

წყარო: კვლევაში მონაწილე წიგნის გამომცემლობები, დისტრიბუტორები და მაღაზიები

აღნიშნული ნეგატიური ცვლილებების რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი სახელდება:

- საზოგადოების ქცევის ცვლილება პანდემიის დროს – წიგნი გადაიქცა შედარებით ნაკლებად პრიორიტეტულ საგნად, მთელი აქცენტი გადავიდა საკვებისა და მედიკამენტების შეძენაზე;
- კოვიდრეგულაციების შესახებ არასაკმარისი ინფორმირებულობა, რაც იწვევდა კომპანიებში პროცესების შენელებას;
- კომპანიების ნაკლები მზაობა დისტანციურ რეჟიმზე გადასასვლელად – ვებგვერდის მომზადება და საკურიერო სერვისის დამატება ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რისთვისაც კომპანიები არ იყვნენ მზად; მეორე მხრივ კი, არ არსებობდა საკმარისი კომპეტენცია ონლაინ-გაყიდვების მიმართულებით; გამოსავალი აღმოჩნდა სხვადასხვა ონლაინპლატფორმებით („ბუქსეილი“, „ბუქსფეისი“) სარგებლობა, რომელიც საჭიროებდა მხოლოდ წიგნების მიტანას პარტნიორების საწყობში გამომცემლების მიერ, თუმცა ამ დროს გაიყიდა მკითხველებისთვის უკვე ნაცნობი წიგნები, ახალ გამოცემებს კი გაუჭირდა მომხმარებლამდე მისვლა;
- სირთულე წარმოიშვა პარტნიორ ვებგვერდებზე წიგნების რეალიზაციის პროცესშიც, რადგან თავდაპირველად არ იყო დაშვებული წიგნების გაყიდვა, მოგვიანებით კი გარე საკურიერო კომპანიებმა განაცხადეს უარი მსგავსი ტიპის მომსახურების გაწევაზე;

- გადატვირთული საკურიერო მომსახურება – რაც, შესაძლოა, მომხმარებლებში მომსახურების ნაკლოვანებად აღქმულიყო;
- იმპორტის შეფერხება და ინფლაცია, რამაც დააზარალა უცხოენოვანი წიგნების შემოტანა-რეალიზაციაზე დამოკიდებული მაღაზიები;
- ტრანსპორტით გადაადგილების და ერთ სივრცეში 5 ადამიანზე მეტის ყოფნის შეზღუდვა – რადგან საიტიდან მკითხველამდე წიგნის მიწოდება სხვადასხვა ადამიანის სრულ ჩართულობას საჭიროებდა;
- ფესტივალების შეჩერება – სწორედ მსგავს ღონისძიებებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა გამომცემლობებისა და წიგნის მაღაზიებისთვის, ახალი წიგნების პრეზენტაცია-რეალიზაციისას.

განხილული სირთულეების მიუხედავად, თანამშრომლებს შორის უწყვეტი კომუნიკაციის წყალობით, გამომცემლობების ნახევარზე მეტმა დაძლია კრიზისის მნიშვნელოვანი ეტაპი და შეძლო დაგეგმილი პროექტების ნაწილობრივ (მინ. 50%-ით) ან სრულად განხორციელება როგორც პირველადი, ასევე განმეორებითი გამოცემების მიმართულებით. ამის უმთავრესი მიზეზი გახდა სწრაფი რეაგირება ცვლილებებზე, რაც თანამშრომლების მიერ ახალი ფუნქცია-მოვალეობების შეძენითაც გამოიხატა.

მეტ-ნაკლებად (50-70%) აღასრულეს გეგმა სადისტრიბუციო კომპანიებმაც. გამომცემლობებისგან და დისტრიბუტორებისგან განსხვავებით, წიგნის მაღაზიების უმრავლესობას 2020 წლისთვის პროექტები არ ჰქონია დაგეგმილი, შესაბამისად, პანდემიას მათ განხორციელებაში ხელი არ შეუშლია.

საბედნიეროდ, პანდემიით გამოწვეული კრიზის მიუხედავად, გამოკითხული კომპანიების თითქმის ნახევარმა შეძლო როგორც თანამშრომლების, ასევე მათი ანაზღაურების შენარჩუნება. თუმცა მეორე ნაწილს საშუალოდ 25%-ით მოუწია დასაქმებულთა რაოდენობის, 30%-ით კი სახელფასო ფონდის შემცირება. კვლევის მონაწილეთა გათვლებით, მიყენებული ზიანის სრულად აღმოფხვრას დაახლოებით 1-2 წელი, ზოგ შემთხვევაში კი, შესაძლოა, 3-4 წელიც დასჭირდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ გამომცემლობები, წიგნის მაღაზიები და დისტრიბუტორები ნაკლებად გრძნობენ სახელმწიფოს მხარდაჭერას კოვიდკრიზისის დროს. მათი რეკომენდაცია უმთავრესად გადასახადებისგან გათავისუფლებას ან გარკვეული შეღავათების დაწესებას უკავშირდება. არასწორ ნაბიჯად მიიჩნევენ პანდემიის დროს წიგნის მაღაზიებისა და ღია ბაზრობების სრულად დაკეტვასაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია მათთვის სახელმწიფოს ჩართულობა

საავტორო უფლებების შესყიდვის ან დარღვევის მონიტორინგის პროცესში. მათი აზრით, უპრიანი იქნებოდა ბანკებთან შუამდგომლობა გრძელვადიანი უპროცენტო სესხების გაცემისას ან მცირე გრანტების დაწესება შედარებით პატარა გამომცემლობებისთვის. ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯია მათთვის ვაუჩერიზაციის პროექტების დაფინანსების ზრდა მუნიციპალიტეტებისთვის, სკოლებისა და ბიბლიოთეკებისთვის წიგნების შეძენის უზრუნველსაყოფად.

პანდემიის დროს არსებული შეზღუდვების გარდა, გამომცემლობებისთვის მტკივნეული აღმოჩნდა სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც 2013 წლიდან საჯარო სკოლების წიგნები მათგან დამოუკიდებლად, სტამბაში იბეჭდება. აღნიშნულმა რეფორმამ მნიშვნელოვნად შეამცირა გამომცემლობების შემოსავალი. ამ მომენტისთვის მათ წიგნის ბეჭდვის და რეალიზაციის შესაძლებლობა მხოლოდ კერძო სკოლებისთვის აქვთ. კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი გამომცემლობის აზრით, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს მათ საქმიანობაში და უზღუდავდეს სრულყოფილი ფუნქციონირების საშუალებას.

გარდა ბევრი ნეგატიური ცვლილებისა და სირთულისა, ბოლო 2 წლის განმავლობაში კომპანიებმა მეტ-ნაკლებად შეძლეს ახალ, „კოვიდრეალობას“ მორგებოდნენ: აითვისეს წიგნის რეალიზაციის ახალი არხები (მაგ., აფთიაქები, მაღაზიები), შექმნეს/დახვეწეს ვებგვერდები, აამოქმედეს ონლაინშეძენის და ადგილზე მიტანის მომსახურებები, დაიწყეს ახალ და განაახლეს მივიწყებულ პროექტებზე მუშაობა, დაამატეს ვიდეო ზარის ფუნქცია წიგნის შერჩევის პროცესის გასამარტივებლად და ა. შ. შედეგად, დღევანდელი სამუშაო პროცესი არც ისე რთულად მიმდინარეობს.

შედარებით დიდ გამომცემლობებში გადავიდნენ „კლასტერული“ მუშაობის რეჟიმზე, რომელიც ამცირებს თანამშრომლებს შორის კომუნიკაციას და შესაბამისად, ვირუსის გავრცელების ალბათობას. ნაკლებად მტკივნეული აღმოჩნდა დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა მცირე კომპანიებისთვის, უმეტესად პროექტული თანამშრომლების ყოლიდან გამომდინარე.

მუშაობის ჩვეულ რეჟიმს ნელ-ნელა უბრუნდებიან როგორც მცირე, ასევე მსხვილი წიგნის მაღაზიებიც. დღეს მომხმარებელს უკვე ყველანაირი კოვიდრეგულაციის დაცვით (დეზობარიერი, თერმოსკრინინგი, სადეზინფექციო ხსნარი) შეუძლია წიგნების შეძენა ფილიალშივე.

არსებულ სიტუაციას გაგებით ეკიდებიან თავად მკითხველებიც, რომლებიც არ აპროტესტებენ დისტანციის დაცვის მიზნით, მაღაზიის წინ გაჩენილ რიგებს. პანდემიის შემდეგი ტალღების მოლოდინიდან გამომდინარე, ცდილობენ წიგნების მომარაგებასაც.

> პანდემიის გავლენა ეროვნული ბიბლიოთეკის და ბიბლიოთეკის ასოციაციის საქმიანობაზე

კოვიდ 19-ის პანდემიის ნეგატიური გავლენა ეროვნული ბიბლიოთეკის და ბიბლიოთეკების ასოციაციის სამუშაო პროცესზეც აისახა. დისტანციურ მუშაობაზე გადასვლამ რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დააყენა ისინი: სახლიდან ბაზებთან წვდომის არქონა; ტექნიკური გაუმართაობა; კადრების არაკვალიფიცირებულობა ციფრული სერვისებით სარგებლობის მიმართულებით; ზოგი სამუშაოს ონლაინრეჟიმში გადატანის შეუძლებლობა (მაგ., წიგნის მიღება/დახარისხების ან ფონდების შემუშავების პროცესი, რომელიც, შესაძლოა, საჭიროებდეს მასალების რესტავრაცია-დამუშავებას. ეს კი მხოლოდ ეროვნულ ბიბლიოთეკაშია შესაძლებელი); „წიგნების კარანტინი“ (უსაფრთხოების მიზნით წიგნის დამუშავება თაროზე დაბრუნებამდე).

რეგულაციების სირთულეს წარმოადგენდა ისიც, რომ თანამშრომლების გარკვეულ ნაწილს (დაცვის თანამშრომლები და სამშენებლო სამუშაოებში ჩართული პირები) კვლავ უწევდა საკუთარი ხარჯებით ბიბლიოთეკამდე მისვლა უწყვეტი სამშენებლო სამუშაოებიდან გამომდინარე. საბედნიეროდ, სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერის შედეგად, პანდემიას გავლენა არ ჰქონია ბიბლიოთეკების თანამშრომლების ხელფასებზე, თუმცა კრიზისის პერიოდში, მუნიციპალიტეტების მხრიდან ბიუჯეტის შემცირების საჭიროების შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, დარტყმას სწორედ ბიბლიოთეკები იღებენ. Covid-19-თან დაკავშირებული რეგულაციებიდან გამომდინარე ფინანსურად კიდევ უფრო დაზარალდნენ ბიბლიოთეკები, რადგან ისედაც მწირი ბიუჯეტით მოუხდათ აქსესუარების შეძენა (თერმომეტრი, დეზობარიერი, სადეზინფექციო ხსნარი და სხვა.) რთული მდგომარეობა აღმოჩნდა რეგიონებში, სადაც ტექნიკის არქონის გამო სხვა მომსახურების შეთავაზებაც (როგორიცაა ქსეროქსი და სკანერი) ვერ შეძლეს მკითხველისთვის. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, დისტანციურად მუშაობა განაგრძეს მხოლოდ იმ ბიბლიოთეკებმა, რომელთა პერსონალსაც ჰქონდა ტექნიკასთან წვდომის შესაბამისი ცოდნა და ელექტრონული მომსახურების შესაძლებლობა.

პანდემიის გავლენა დაეტყო ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაგეგმილ ღონისძიებებსაც – პრეზენტაციებს, გამოფენებსა და სხვ., რომლებიც შეზღუდვებამდე თითქმის ყოველდღე იმართებოდა. მიმდინარე მოვლენებმა შეაფერხა ბიბლიოთეკის შევსება ახალგამოცემული წიგნებითაც, რადგან შეჩერდა საგამომცემლო საქმიანობაც.

გარდა იმისა, რომ პანდემიის პერიოდში დიდი ხნის განმავლობაში ბიბლიოთეკები სრულად იყო დაკეტილი მკითხველისთვის, შეზღუდვების შემსუბუქების

შემდეგ ერთ-ერთ გამოწვევად დარჩა დისტანციის დაცვის საკითხი. კერძოდ, 150 ადამიანზე გათვლილ დარბაზში მხოლოდ 20 პირის დაშვება მკითხველისთვის დისკომფორტის შემქმნელი აღმოჩნდა.

არსებული სიტუაციის საპასუხოდ, შეწყვეტილმა პირისპირმა კომუნიკაციამ ონლაინსივრცეში გადაინაცვლა, სიახლეების გაზიარების უმთავრეს წყაროდ კი სოციალური ქსელი (Facebook) იქცა. მკითხველებს საშუალება მიეცათ დასწრებოდნენ ონლაინგამოფენებს და ესარგებლათ ვირტუალური ტურით ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ამ უკანასკნელს დღის განმავლობაში 30,000 სტუმარიც კი ჰყავდა.

კოვიდპანდემიამ ნათელი გახადა წიგნების ელექტრონული ვერსიების არსებობისა და გაციფრულების დაჩქარების მნიშვნელობა, რაც საგრძნობლად ამარტივებს მუნიციპალიტეტებს შორის საბუთბრუნვის პროცესს და არ ხდის საჭიროს სხვადასხვა წერტილს შორის გადაადგილებას. ამას ხელს უწყობს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ 5 წლის წინ დაწყებული პროექტი, რომელიც ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაციას, კომპიუტერებით აღჭურვას, კადრების გადამზადებას და მათი ტექნიკური უნარების გაუმჯობესებას ითვალისწინებს. ამ ეტაპზე პროექტი პანდემიის გამო შეჩერებულია. აუცილებელ რესურსს წარმოადგენს ავტომატიზაციის და პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტებიც, თუმცა მთავარ პრობლემად მათი ჰონორარი სახელდება, რომლის ფინანსური რესურსიც ამ ეტაპზე არ არსებობს. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია თავად გამომცემლობებისგან თანხმობის მიღება ელექტრონული წიგნების გამოყენებაზე.

აღნიშნული საკითხი აქტუალურია პოსტპანდემიურ პერიოდშიც, რადგან არსებობს ალბათობა, მკითხველებმა განაგრძონ/დაიწყონ ბიბლიოთეკის დისტანციური სერვისებით სარგებლობა, სათანადო რესურსების არქონის შემთხვევაში კი ეს მნიშვნელოვანი პრობლემა შეიძლება აღმოჩნდეს ბიბლიოთეკებისთვის.

საბიბლიოთეკო ასოციაციის წარმომადგენლის ინფორმაციით, ბიბლიოთეკას აქვს პოტენციალი, არაერთი დამატებითი მომსახურება შესთავაზოს საზოგადოებას. მაგალითად, შეითავსოს ტურისტული სააგენტოს ფუნქციაც – საინფორმაციო მიმართულებით, აქტიურად ჩაერთოს სხვადასხვა სატრენინგო მოდულში და ა. შ.

3.10 „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ საქმიანობის მიმოხილვა[43]

„საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“ 1998 წელს დაარსდა. დღესდღეობით საქართველოში მოქმედ, აქტიურ წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელ ორგანიზაციათა დაახლოებით 90 პროცენტი სწორედ მისი წევრია.

ასოციაცია განსაზღვრავს და იცავს წიგნის სექტორის ინტერესებსა და საავტორო უფლებებს, უზრუნველყოფს ბეჭდვის თავისუფლებას საგამომცემლო სფეროში; მართავს როგორც ადგილობრივ წიგნის ბაზრობებს თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში, ასევე პროფესიულ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებს ქართველი გამომცემლებისა და გამავრცელებელი ორგანიზაციებისათვის. ამასთანავე, ასოციაცია უკვე მრავალი წელია მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე და წარადგენს საქართველოს ეროვნულ სტენდს; გამოხატავს სექტორის საერთო ინტერესებს და იცავს მას თავისუფალი ბაზრისა და თანაბარი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით მთელი მსოფლიოს მასშტაბით; იცავს გამოცემის თავისუფლებასა და საავტორო უფლებებს, ხელს უწყობს წიგნის სფეროში დარგის განვითარებისთვის ხელსაყრელი საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და სრულყოფას. ამ დარგში ჩართული პროფესიონალებისთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ასოციაციამ შექმნა პროფესიული ეთიკის კოდექსი და აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას სხვა მნიშვნელოვან საკანონმდებლო ინიციატივებზე.

ასოციაციის უმთავრესი მიზანია ლიტერატურული პროცესისა და საქართველოში საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა; ზრუნვა ნებისმიერი ასაკის ადამიანების, მათ შორის, ბავშვებისა და ახალგაზრდების, წიგნიერების დონის ამაღლებაზე; ლიტერატურასთან დაკავშირებული სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების ინტერკულტურული დიალოგის ხელშეწყობა; წიგნის კითხვის პოპულარიზაცია და შესაბამისი სოციალური ინსტიტუტების მხარდაჭერა.

43 წყარო: „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“

საგამომცემლო სექტორის ლობირება

„საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“ მუდმივად იცავს წიგნის სექტორის წარმომადგენლების ინტერესებს. ასოციაცია წარმოადგენს გამომცემლებს, მათ ინტერესებს და აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან სექტორისთვის აქტუალურ სხვადასხვა საკითხზე, იქნება ეს საავტორო უფლებები, სასკოლო სახელმძღვანელოები თუ აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივები.

2020 წელს პანდემიის გამო წიგნის სექტორს მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა. საგამომცემლო სექტორისა და, ზოგადად, წიგნის ბაზრის გადასარჩენად ასოციაციამ შეიმუშავა ცხრაპუნქტიანი ანტიკრიზისული გეგმა (იხ. www.gpba.ge).

აღნიშნული გეგმის ცალკეულმა პუნქტებმა გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო და დაფინანსდა ისეთი პროექტები, რომლებმაც მნიშვნელოვანი და საჭირო დახმარება აღმოუჩინა საგამომცემლო სექტორს პანდემიის პერიოდში. თუმცა, ასოციაცია კვლავაც აგრძელებს წიგნის სექტორის ლობირებას, სახელმწიფო დონეზე უფრო ფართო მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

„საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“ უკვე მრავალი წელია ჩართულია შავი ბაზრის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა და გამოწვევაა საგამომცემლო ინდუსტრიისთვის. კონტრაფაქციული გამოცემების წინააღმდეგ ბრძოლაში, „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“, უკვე წლებია, არაერთ სახელმწიფო უწყებასთან ყოფილა ჩართული მოლაპარაკებებში, ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზისა და აღსრულების მექანიზმების დასახვეწად. იურიდიულ კომპანიასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ასოციაციამ შავი ბაზრის წინააღმდეგ არაერთი ღონისძიება განახორციელა და აწარმოვა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიაც მოვაჭრეებისა და მკითხველებისთვის.

ასოციაცია სახელმძღვანელოების გამომცემლებთან ერთად ასევე წლებია აქტიურად არის ჩართული მოლაპარაკებებში განათლების სამინისტროსთან. მას შემდეგ, რაც 2013 წელს განხორციელებული სახელმძღვანელოების რეფორმის შედეგად სამინისტრომ თავად დაიწყო სახელმძღვანელოების ბეჭდვა და გამომცემლების საავტორო უფლებების დარღვევით პროცესს სრულად ჩამოაშორა ისინი, წლების განმავლობაში, ასოციაციის ჩართულობით, მუდმივ რეჟიმში

მიმდინარეობდა ამ მიმართულებით მოლაპარაკებები და სხვადასხვა ტიპის სამუშაოები, სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემლებსა და განათლების სამინისტროს შორის ჯანსაღი თანამშრომლობის ფორმირებისათვის. ამ ძალისხმევის შედეგად, უკანასკნელი წლების განმავლობაში, გარკვეული დადებითი შედეგები უკვე გამოიკვეთა და გამომცემლებმა განაახლეს სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობა გრიფირების კონკურსის ფარგლებში. თუმცა, ცალკეული პრობლემები კვლავაც მოსაგვარებელი რჩება.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში ასოციაცია ასევე ჩართულია „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ განხილვასა და მის ინტეგრირებაში. აღნიშნული რეგულაციები ძალაში უნდა შესულიყო 2021 წლის 1-ლი ივლისიდან და სხვა საბავშვო პროდუქტებთან ერთად, საბავშვო წიგნებზეც უნდა გავრცელებულიყო. ასოციაცია აქტიურ კომუნიკაციას აწარმოებს ამ მიმართულებით ეკონომიკის სამინისტროსთან და ზედამხედველობის სამსახურთან. დადგენილების ფარგლებში შეხვედრა დაიგეგმა კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელების ჩართულობითაც, რათა რეგულაციების ამოქმედების პროცესში გათვალისწინებული ყოფილიყო გამომცემლებისა და წიგნის გამავრცელებელი ორგანიზაციების ინტერესები. მოლაპარაკების ფარგლებში გამოიკვეთა დადგენილებაში გარკვეული პრობლემური საკითხები და დაიგეგმა ცვლილებებიც ამ მიმართულებით. ასევე გადაწყდა, რომ საგამომცემლო ინდუსტრიისთვის დამატებითი ვადა იქნება გამოყოფილი, რათა სექტორი მოემზადოს და განახლებული პირობებით სრულფასოვნად შეძლოს ახალი რეგულაციების დაცვა.

„საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“ და IPA (გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია)

2007 წელს „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“ გახდა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის (International Publishers Association) წევრი. დღემდე ასოციაციას მჭიდრო პარტნიორობა აკავშირებს გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციასთან (IPA). ასოციაცია წევრია IPA-ს ისეთი მნიშვნელოვანი კომიტეტების, როგორებიცაა აღმასრულებელი, გამოცემის თავისუფლების, ინკლუზიური გამოცემებისა და წიგნიერების კომიტეტები. 2021 წლიდან ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე, გვანცა ჯობავა, გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციაში ასევე ხელმძღვანელობს წიგნიერების ქვეკომიტეტს.

2020 წელს, საქართველოში პირველად ჩატარდა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის სახელმძღვანელოების გამომცემელთა მსოფლიო ფორუმი. IPA-ს სახელმძღვანელოების გამომცემელთა მსოფლიო ფორუმი ერთადერთი გლობალური ფორუმია, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე იკრიბება და აერთიანებს სახელმძღვანელოების პროფესიონალ გამომცემლებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“ სახელმძღვანელოების გამომცემელთა მსოფლიო ფორუმის წევრი 2016 წელს გახდა.

IPA-სთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, მისი წარმომადგენლები არაერთხელ ეწვივნენ საქართველოს უკანასკნელი წლების განმავლობაში. მათ გამართეს შეხვედრები სექტორისთვის კრიტიკულ საკითხებზე როგორც ადგილობრივ გამომცემლებთან, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებთან.

2021 წლის აპრილში „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქთან“ პარტნიორობით, ასოციაციამ გამართა ქართველ გამომცემელთა და მწერალთა შეხვედრები IPA-ს და UNESCO-ს წარმომადგენლებთან, ამ პროექტის საკონსულტაციო კომიტეტის წევრებთან და საპატიო სტუმრებთან. სპეციალურად „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ წევრი ორგანიზაციებისათვის, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის ახალ პრეზიდენტ ბოდურ ალ ქასიმისთან, და ასოციაციის გენერალურ მდივან ხოსე ბორგინოსთან, სადაც განიხილეს საგამომცემლო სფეროს საკვანძო, საინტერესო და აქტუალური საკითხები.

„საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით, წიგნის სექტორის განვითარებისთვის წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი ტრადიციული და ახალი პროექტი ხორციელდება:

» თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით, 1997 წლიდან ყოველწლიურად ტარდება. ფესტივალი 2017 წლიდან ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის, 2019 წლიდან კი „მწერალთა სახლის“ ხელშეწყობით

იმართება. იგი კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი წიგნის ფესტივალია, რომელსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ათასობით გულშემატკივარი და დამთვალიერებელი ჰყავს. აღსანიშნავია, რომ ფესტივალის სტუმრების რაოდენობამ ბოლო წლებში 70 000 ადამიანს მიაღწია.

ფესტივალის მთავარი მიზანია საქართველოში წიგნის კითხვის პოპულარიზაცია და საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა. წლების მანძილზე თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში წიგნიერების დონის ამაღლებას წარმატებით ართმევს თავს, რაზეც მიანიშნებს ფესტივალის დამთვალიერებლების, მასმედიისა და ახალი მონაწილეების მზარდი რაოდენობა. ფესტივალს ყოველწლიურად ათასობით დამთვალიერებელი სტუმრობს, მონაწილეობს 100-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე ადგილობრივ და უცხოურ გამომცემლობებთან და წიგნის გამავრცელებელ ორგანიზაციებთან ერთად წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები, სახელმწიფო მუზეუმები, ინსტიტუტები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები.

ფესტივალს წლების განმავლობაში საპატიო სტუმრის სტატუსით მწერლები სხვადასხვა ქვეყნიდან სტუმრობენ. 2017 წელს ფესტივალს პირველად ჰყავდა ფოკუს ქვეყანა, ნორვეგია, რომელმაც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმრის სტატუსი 2018 წელს საქართველოსგან გადაიბარა. 2018 წელს, სიმბოლურად, თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ფოკუს ქვეყანა გერმანია გახლდათ, რაც საგანგებოდ დაემთხვა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმრის სტატუსით წარდგენის წელს. ფესტივალზე ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა საკუთარი სტენდით იყო წარმოდგენილი, ბაზრობას ესტუმრნენ გერმანელი მწერლები და გამომცემლები, ხოლო ფესტივალის საზეიმოდ გახსნა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის პრეზიდენტმა იურგენ ბოსმა. 2019 წელს ფესტივალის ფოკუს ქვეყანა ფინეთი გახლდათ, წიგნის ბაზრობა კი გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ჰიუგო ზეტცერმა გახსნა, ხოლო 2020 წელს ფოკუს ქვეყნის სტატუსი თურქეთს მიენიჭა, თუმცა, პანდემიიდან გამომდინარე, აღნიშნული სტატუსით იგი 2022 წლის ფესტივალზე ისარგებლებს.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ძირითადი ნაწილი წიგნის ბაზრობაა, რომლის ფარგლებშიც მონაწილე გამომცემლობები და გამავრცელებელი ორგანიზაციები სტუმრებს წიგნებს, დამხმარე მასალებსა და წიგნის აქსესუარებს განსაკუთრებული ფასდაკლებითა და სპეციალური სასაჩუქრე პაკეტების სახით სთავაზობენ. ამასთანავე, ფესტივალი წიგნთან,

ლიტერატურასთან, სამწერლო და საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებულ არაერთ ღონისძიებას აერთიანებს: ახალი წიგნების პრეზენტაციები და ავტორების წარდგენები, საჯარო კითხვა, შეხვედრები და დისკუსიები ავტორებთან, საპატიო სტუმრების წარდგენა, ლიტერატურული დაჯილდოებები, პროფესიული სემინარები და კონფერენციები, ინოვაციური პროექტები, მათ შორის, პროექტი „მსახიობები ლიტერატურისათვის“. ფესტივალზე ყოველწლიურად ეწყობა საბავშვო სივრცე, იგეგმება შემეცნებით-გასართობი პროგრამები სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის. ფესტივალის ფარგლებში იმართება ილუსტრაციებისა და წიგნების გამოფენაც.

თბილისის წიგნის XXIII საერთაშორისო ფესტივალი 2021 წელს, 24 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით, ფიზიკური სახით გაიმართება. წიგნის მოყვარულებს ფესტივალი ტრადიციულად „ექსპო ჯორჯიას“ პავილიონებში უმასპინძლებს. მსოფლიოში გავრცელებული პანდემიის გამო, 2020 წელს თბილისის წიგნის XXII საერთაშორისო ფესტივალი პირველად ჩატარდა ონლაინფორმატში. 2021 წელს, არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფმა, ღონისძიების ტრადიციულ ფორმატში დასაბრუნებლად, შეიმუშავა უსაფრთხოების საგანგებო პროტოკოლი და ყველა შეზღუდვის მკაცრად გასაკონტროლებლად დამატებითი სამუშაოები ჩაატარა.

» თბილისის წიგნის საახალწლო ფესტივალი

„საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ ინიციატივით, საქართველოში ტრადიციად დამკვიდრდა დეკემბრის ბოლოს თბილისის წიგნის საახალწლო ფესტივალის ჩატარება.

თბილისის წიგნის საახალწლო ფესტივალის ჩატარების აუცილებლობა საზოგადოების მაღალმა ინტერესმა განაპირობა. უკანასკნელ წლებში თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ვიზიტორთა რაოდენობამ ნათლად აჩვენა, რომ საჭირო იყო წლის განმავლობაში კიდევ ერთი ფესტივალის ჩატარება.

საახალწლო ფესტივალის სლოგანია „ახალი წელი ახალი წიგნებით“. იგი მიზნად ისახავს საქართველოში წიგნის კითხვის პოპულარიზაციისა და ლიტერატურული პროცესების ხელშეწყობას, საქართველოში წიგნიერებისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას და საახალწლოდ ოჯახის წევრებისთვის, მეგობრებისა და ძვირფასი ადამიანებისთვის წიგნის ჩუქების ტრადიციის დამკვიდრებას.

სამდღიანი მასშტაბური პროგრამის ფარგლებში წიგნის საახალწლო ფესტივალი თავს უყრის წიგნთან, ლიტერატურასთან დაკავშირებულ მრავალ ღონისძიებას.

საახალწლო ფესტივალის ფარგლებში „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“ წევრი გამომცემლებისა და გამავრცელებელი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოავლენს და აჯილდოებს მიმდინარე წლის ბესტსელერ წიგნებს სხვადასხვა კატეგორიაში.

» წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე

„საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ ინიციატივით, საქართველოში ყოველწლიურად წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნება.

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე მსოფლიოში ცნობილი ღონისძიებაა, რომელშიც 100 სხვადასხვა ქვეყნიდან 31 მილიონ ადამიანამდე მონაწილეობს და ერთიანდება საერთო სლოგანის გარშემო: „იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო!“ პროექტის საერთაშორისო ორგანიზატორი გახლავთ "Litworld". ეს დღე ადამიანებს მთელი მსოფლიოდან შესაძლებლობას აძლევს გაერთიანდნენ, გაიზიარონ წიგნის ხმამაღლა კითხვის სიხარული და თავადაც შეიტანონ წვლილი კითხვის პოპულარიზაციაში. ასოციაციის ინიციატივით, საქართველო ყოველწლიურად უერთდება საერთაშორისო ინიციატივას და ხდება მსოფლიოს ამ მასშტაბური ღონისძიების ნაწილი.

გლობალური პანდემიიდან გამომდინარე, 2021 წელს წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე ონლაინ გაიმართა. ღონისძიების ოფიციალური გახსნისა და დახურვის ცერემონიები ლაივ რეჟიმში გადაიცემოდა ასოციაციის სოციალური მედიის პლატფორმებზე. მთელი დღის განმავლობაში 70-მდე ქართველმა მწერალმა ონლაინშეხვედრები გამართა სკოლებსა და უნივერსიტეტებში მთელი საქართველოს მასშტაბით, წაიკითხეს ლიტერატურული ტექსტები მოსწავლეებთან და სტუდენტებთან ერთად და კიდევ ერთხელ გაამახვილეს ყურადღება წიგნიერების მნიშვნელობაზე. ამ დღეს ტრადიციულად გაიცა წიგნის ქომაგის ჯილდო, რომელიც 2021 წელს მსახიობ ნინო კასრაძეს, თანამედროვე ეპოქაში წიგნისა და კინოს/თეატრის სფეროების დაახლოებაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილისა და წიგნის კითხვის პოპულარიზაციის საქმეში ახალი გზების/საშუალებების ძიებისთვის, გადაეცა.

წლის წიგნის ქომაგის ჯილდო ასოციაციის ინიციატივით 2016 წელს დაარსდა და მას შემდეგ ყოველწლიურად გადაეცემა იმ ადამიანებს, პროექტებსა თუ ინსტიტუციებს, რომლებიც წლის განმავლობაში განსაკუთრებულად უწყობენ ხელს საქართველოში წიგნიერების გავრცელებას. პრემიის უმთავრესი პირობაა, რომ დაჯილდოებული ადამიანი თუ ორგანიზაცია არ იყოს დასაქმებული წიგნის სფეროში. ამას გარდა, ლიტერატურისა თუ საგამომცემლო სფეროს განვითარება არ უნდა იყოს მისი უშუალო, პირდაპირი მოვალეობა. წინა წლებში აღნიშნული ჯილდო გადაეცათ: პროექტს „წიგნების თარო“ (2020), მამუკა ხაზარაძეს (2019), თემურ ჩხეიძეს (2018), „ფორმულა კრეატივს“ (2017), ლევან ბერძენიშვილს (2016).

» წიგნისა და საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე

23 აპრილს, მსოფლიო წიგნის და საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. სპეციალურად ამ დღისთვის, „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“ 2003 წლიდან ყოველწლიურად მართავს სხვადასხვა ტიპის კულტურულ ღონისძიებებს.

ამ დღესთან დაკავშირებით ტრადიციულად იმართება წიგნების ერთდღიანი გამოფენა-გაყიდვა, სადაც სხვადასხვა გამომცემლობა იღებს მონაწილეობას და მკითხველს ფასდაკლებით სთავაზობს ყველა ჟანრის ლიტერატურას. პარალელურად, შინაარსობრივი პროგრამის ფარგლებში, იმართება ახალი წიგნების პრეზენტაციები, შეხვედრები ავტორებთან, საჯარო კითხვა.

ასოციაციის მიზანია წარმოაჩინოს წიგნის მნიშვნელობა, ხელი შეუწყოს ახალ თაობაში ლიტერატურის პოპულარიზაციას და რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩართოს ამ დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

» საქართველოს რეგიონული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლების პროექტი

„საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“ წლებია ახორციელებს საქართველოს რეგიონული ბიბლიოთეკების წიგნადი

ფონდის განახლების პროექტს. 2020 წლის ნოემბრის თვეში აღნიშნული პროექტი უკვე მერვედ განხორციელდა.

პროექტის მიზანია რეგიონული ბიბლიოთეკების დაფინანსება, რათა მათ ყოველწლიურად შეავსონ თავიანთი წიგნადი ფონდები გამომცემლობების მიერ წარმოდგენილი უახლესი ქართული გამოცემებით. ბიბლიოთეკები ყოველწლიურად წარდგენილი კატალოგის საშუალებით ირჩევენ მათთვის სასურველ წიგნებს და ახალი გამოცემებით ამდიდრებენ რეგიონულ ბიბლიოთეკებს. პროექტი ხელს უწყობს როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ბიბლიოთეკების, ასევე საგამომცემლო სექტორის განვითარებას და თანამედროვე ლიტერატურის პოპულარიზაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პროექტი 2020 წელს „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ მიერაა შემუშავებული და პანდემიასთან დაკავშირებული ანტიკრიზისული გეგმის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების განსაახლებლად დაფინანსების გაზრდასა და ორ ეტაპად განხორციელებას გულისხმობდა. პროექტი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლების გარდა, მიზნად ისახავდა საგამომცემლო სექტორის დახმარებასა და მასში დასაქმებული პირებისათვის ზარალის მინიმალიზაციას. 2020 წელს აღნიშნული პროექტი დისტანციურად ორჯერ ჩატარდა და მისი ჯამური ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზარდა. საქართველოს 64 რეგიონული ბიბლიოთეკიდან თითოეულს გადაეცა მათ მიერ შერჩეული, 1,000-ზე მეტი ლარის ღირებულების წიგნები.

» საქართველოს ეროვნული სტენდები საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე

„საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“ წლების განმავლობაში ორგანიზებას უწევს საქართველოს ეროვნული სტენდებისა და სხვადასხვა ლიტერატურული თუ საგამომცემლო/პროფესიული ღონისძიების მოწყობას საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე, მათ შორის: ფრანკფურტისა და ლონდონის წიგნის ბაზრობებზე. ასოციაცია მუდმივად ზრუნავს იმაზე, რომ ქართველ გამომცემლებს ჰქონდეთ სექტორში მიმდინარე საერთაშორისო პროცესებში აქტიური ჩართულობის საშუალება და საერთაშორისო პლატფორმებზე საკუთარი ორგანიზაციების წარდგენის

შესაძლებლობა. საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე საქართველოს ეროვნული სტენდით მონაწილეობა წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის.

„საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ მიერ ორგანიზებულმა ადგილობრივმა და საერთაშორისო აქტივობებმა, ისევე როგორც ზოგადად სექტორის განვითარებაზე ზრუნვამ, საფუძველი ჩაუყარა იმ პროცესებს, რომლებმაც საქართველოს საგამომცემლო სექტორი 2018 წლამდე და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საპატიო სტუმრობამდე მიიყვანა.

» 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი – საქართველო

2018 წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგა, რაც დიდი მოვლენა იყო ქართული ლიტერატურის და კულტურის საერთაშორისო ასპარეზზე აღიარების თვალსაზრისით. საქართველოს საგამომცემლო პროგრამას ორგანიზება „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ პროფესიონალთა გუნდმა გაუწია.

საგამომცემლო პროგრამა მოიცავდა 3 ეროვნულ სტენდს და საპატიო სტუმრის პავილიონის მცირე სცენას. საქართველოს ეროვნულ სტენდს, რომელიც 2007 წლიდან ყოველწლიურად ეწყობა წიგნის ბაზრობაზე, საპატიო სტუმარი ქვეყნის პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა და სტატუსი ენიჭებოდა. სტენდი წიგნების საგამოფენო და ბიზნეს შეხვედრების სივრცეს სთავაზობდა 40-მდე ქართულ გამომცემლობას. ბაზრობის სამი სამუშაო დღის განმავლობაში სტენდზე გაიმართა ბიზნესსაუზმეები და ლანჩები. ეროვნული სტენდის სცენა, საპატიო სტუმრის საგამომცემლო პროგრამის მთავარი პლატფორმა, ოთხი დღის განმავლობაში დაეთმო ღონისძიებებს გამომცემლების, ქართველი და უცხოელი ავტორებისა და ლიტერატორების მონაწილეობით.

არტისა და დიზაინის პავილიონში განთავსებული ქართული სტენდი ემსახურებოდა საქართველოს პოტენციალის გამოვლენას ხელოვნების სფეროსა და ინოვაციურ ტექნოლოგიებში. საგამოფენო სივრცეში ვიზიტორებისათვის ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია ხელოვნებისა და დიზაინის თემატიკის მქონე ქართულ წიგნებზე. მეორე სივრცეში წარმოდგენილი იყო მუდმივი ინსტალაცია, ინოვაციური არტპროექტი Oraculum 0.1 (მოლაპარაკე ავატარები).

მესამე სივრცეში, ინტერაქტიურ სტენდზე ვიზიტორებს ჰქონდათ საშუალება გასცნობოდნენ ქართულ ანბანსა და მონოტაიპის მიერ შექმნილ შრიფტებს, რაც ქართული კულტურის უნიკალური ელემენტის, დამწერლობის წარმოჩენას ემსახურებოდა. სტენდზე ქართველმა კალიგრაფმა ვიზიტორებს წარუდგინა ქართული დამწერლობა, ჩაატარა არაერთი ვორკშოფი ქართული ასო-ნიშნების წერის ხელოვნების დასაუფლებლად. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი იყო აგრეთვე ქართული საბავშვო ლიტერატურის სტენდი, რომელზეც გამოიფინა ქართველი გამომცემლობების საბავშვო წიგნები და ქართველი არტისტების მიერ შესრულებული ილუსტრაციები. პატარა სტუმრებისთვის სტენდზე ხელმისაწვდომი იყო ციფრული თამაშები და აპლიკაციები. 50-მდე ქართული საბავშვო წიგნი ასევე გამოიფინა ბაზრობის სპეციალურ სივრცეში – ფრანკფურტის საბავშვო ფოიეში.

საგამომცემლო პროგრამის ფარგლებში გაიმართა 70-მდე ღონისძიება, რომლებზეც წარმოჩნდა ქართული ლიტერატურა და საგამომცემლო სექტორი. აუდიტორიას შესაძლებლობა ჰქონდა, გასცნობოდა ქართველ გამომცემლობებს, ავტორებს და ხელოვანებს და დასწრებოდა მათი პროექტების წარდგენას. საგამომცემლო პროგრამის ნაწილში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ჟანრის თანამედროვე და კლასიკური ქართული ლიტერატურა.

» ასოციაციის პროექტები „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში

2021 წელი საქართველოს დედაქალაქისათვის განსაკუთრებული წელია, ვინაიდან 23 აპრილს, თბილისმა, ერთი წლით, წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი კუალა ლუმპურისგან ოფიციალურად გადმოიბარა.

World Book Capital (წიგნის მსოფლიო დედაქალაქი) ფართომასშტაბიანი პროექტია, რომელიც 2001 წელს, UNESCO-ს გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილებით დაარსდა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, რომელსაც „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ გუნდი ხელმძღვანელობს, „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამომცემელთა ასოციაციამ“ არაერთი პროგრამა და აქტივობა შეიმუშავა.

მათ შორისაა სარეზიდენციო პროგრამა ქართველი მწერლებისთვის, რომლის მთავარი მიზანია თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და, შესაბამისად,

ქართველი ავტორების ხელშეწყობა. პროექტი კონკურსში გამარჯვებულ ავტორებს მშვიდ და კომფორტულ გარემოში ახალ ლიტერატურულ ტექსტებზე მუშაობის საშუალებას აძლევს. პროექტით გათვალისწინებული პირობები ხელს უწყობს ავტორთა მოტივაციის გაზრდას, ნაყოფიერი სამუშაო პროცესისა და შემოქმედებითი საქმიანობის წარმართვას, რის შედეგადაც შეიქმნება სრულიად ახალი ლიტერატურული ნამუშევრები.

დედაქალაქის პროექტის ფარგლებში, ასოციაციამ უკვე განახორციელა თბილისის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაციის პროექტი, რომელიც 2020-2021 წლებში ორ ეტაპად განხორციელდა და თბილისის ყველა საჯარო სკოლა მოიცვა. თბილისის 177 საჯარო სკოლას საშუალება მიეცა უახლესი ქართული და უცხოური გამოცემებიდან 900 ლარის წიგნები შეერჩია საკუთარი ბიბლიოთეკებისთვის, მათ შორისაა უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლა, რომელმაც აუდიო წიგნები ელექტრონული წიგნების მაღაზია „საბასგან“ მიიღო.

პროექტის მიზანია თბილისის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების უახლესი გამოცემებით შევსება, სკოლის მოსწავლეების თანამედროვე ლიტერატურულ პროცესთან დაახლოება და წიგნის კითხვის წახალისება.

„თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში ასოციაცია 2021 წლის შემოდგომაზე გეგმავს ქართველი ავტორების შეხვედრებს მოსწავლეებთან და სტუდენტებთან საჯარო სკოლებსა და უნივერსიტეტებში.

„საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციას“ ზემოხსენებული პროექტების ფარგლებში ჰყავს ერთგული მხარდამჭერები და პარტნიორი ორგანიზაციები, ესენია: საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, „მწერალთა სახლი“, თბილისის მერია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს პენცენტრი, თიბისი ბანკი, იურიდიული კომპანია LBP.

3.11 „მწერალთა სახლის“ საქმიანობის მიმოხილვა[44]

„მწერალთა სახლის“ მთავარი ამოცანაა ღია სივრცის შექმნა ქართული და მსოფლიო კულტურის ტრადიციების და მიმდინარე ლიტერატურული პროცესების წარმოსაჩენად, სადაც ქართველ და სტუმარ მწერლებსა და კულტურის მოღვაწეებს საშუალება ექნებათ საზოგადოებას წარუდგინონ თავიანთი შემოქმედება და, ამავდროულად, აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო დონეზე მიმდინარე მნიშვნელოვან სალიტერატურო და სახელოვნებო პროცესებში. 2019 წელს „მწერალთა სახლი“ და ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი გაერთიანდა.

„მწერალთა სახლის“ მიზანია კულტურული მემკვიდრეობისა და ლიტერატურის პოპულარიზაცია, სალიტერატურო პროცესების ხელშეწყობა, ლიტერატურული კონკურსებისა და პრემიების დაწესება, უცხოურ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უწყებებთან და სახელოვნებო კავშირებთან კონტაქტების დამყარება და განვითარება, ორი მუზეუმის (დ. სარაჯიშვილისა და რეპრესირებულ მწერალთა) დაარსება, ლიტერატურით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის საინტერესო პროექტების შეთავაზება, ლიტერატურული გაზეთის გამოცემა.

გარდა ზემოთ ხსენებული მნიშვნელოვანი აქტივობებისა (საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი, ლიტერა, ლიტერა მთარგმნელებისთვის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო პრემია), „მწერალთა სახლი“ არაერთ შემოქმედებით თუ პროფესიულ პროექტსა და პროგრამას სთავაზობს საზოგადოებას:

» შემოქმედებითი სტიპენდიები ავტორებისთვის

პროგრამის მიზანია მხატვრული, არამხატვრული და საბავშვო/საყმაწვილო ლიტერატურის ახალი გამოცემის შექმნის ხელშეწყობა ქართულ ენაზე. გამოსაცემად შერჩეული ტექსტი განეკუთვნება შემდეგ ჟანრებს: რომანი; პროზა; პოეზია; არამხატვრული ლიტერატურა (დოკუმენტური პროზა, ესეისტიკა); საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა.

2020 წელს შემოქმედებითი სტიპენდია 26 მწერალმა მიიღო.

44 წყარო: „მწერალთა სახლი“

» სტიპენდიები მთარგმნელებისთვის

პროგრამის მიზანია უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის პროცესის ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც 2020 წელს 11 სტიპენდია გაიცა.

» სარეზიდენციო სტიპენდიები ქართველი და უცხოელი ავტორებისთვის

სარეზიდენციო პროგრამა განკუთვნილია თანამედროვე ავტორებისა და მთარგმნელებისთვის. იგი საშუალებას აძლევს შერჩეულ კანდიდატებს, ორკვირიანი პროგრამის ფარგლებში იცხოვრონ „მწერალთა სახლის“ რეზიდენციაში და იმუშაონ თავიანთ ტექსტებზე თუ სათარგმნად შერჩეულ ნაწარმოებებზე.

» წიგნის სექტორის კვლევა

ქართული წიგნის სექტორის კვლევა 2013 წლიდან ტარდება. კვლევების მთავარ მიზანს წარმოადგენს წიგნის ბაზრის ყველა კომპონენტის შესახებ სრული სტატისტიკური ინფორმაციის მიღება ბაზრის ზოგადად შესაფასებლად, სუსტი მხარეების გამოსავლენად და მათი აღმოფხვრისთვის საჭირო კონკრეტული რეკომენდაციების შესამუშავებლად.

ასევე, წიგნის ბაზრის შემდგომი განვითარებისა და მკითხველთა ბაზის გაფართოების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობისათვის.

» თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი

თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი (TIFL) 2015 წლიდან ქვეყნის ლიტერატურული პროცესების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ფესტივალი იმართება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრ-დობის სამინისტროს, თბილისის მერიისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით. ფესტივალის პროგრამა მოიცავს სხვადასხვა

სახის ღონისძიებებს: პოეზიის საღამოებს, ავტორებთან შეხვედრებს, წიგნის პრეზენტაციებს, პანელ-დისკუსიებს. საზოგადოებისთვის ღია საღამოების გარდა, მოწვეული ავტორებისთვის იგეგმება კულტურული პროგრამა თბილისში და ქალაქგარეთ, რათა საქართველოში მოგზაურობა მათთვის დასამახსოვრებელ გამოცდილებად იქცეს.

ფესტივალს არ აქვს ანალოგი კავკასიის რეგიონში, შესაბამისად, TIFL იმ აქტივობებს შორისაა, რომლებიც თბილისის კულტურულ ცენტრად („ჰაბად“) ქცევას განაპირობებს. TIFL უნიკალური მოვლენაა, რომელიც გაზაფხულის ერთ კვირაში თავს უყრის ქართულ და მსოფლიო ლიტერატურას და აწვდის საზოგადოებას გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებების ფორმატით.

პროექტი განსაკუთრებულია იმ მხრივაც, რომ სარგებლიანია მრავალი მომიჯნავე სფეროსთვის: ფესტივალი თანამედროვე ავტორებს, ლიტერატურის კრიტიკოსებს, მკვლევრებს და მთარგმნელებს საშუალებას აძლევს, ჩაერთონ ცოცხალ და მუდმივად განვითარებად საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებში. მჭიდროდ თანამშრომლობს ლიტერატურულ ჟურნალებთან, გამომცემლობებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ყოველწლიური ლიტერატურული ფესტივალის წყალობით ქვეყანას სტუმრობენ სხვადასხვა ქვეყნის აზრის ლიდერები (opinion leaders), რაც ხელს უწყობს საქართველოს, როგორც ტურისტული მიმართულების პოპულარიზაციასაც.

განვლილი ფესტივალების სტუმრები იყვნენ ისეთი ავტორები, როგორებიც არიან ჩარლზ ბერნსტაინი, ვიქტორ ეროფეევი, დიბისი პიერი, ეთგარ კერეთი, იბრაჰიმ ალ-ქუნი, სერგეი ჟადანი, ტომას ვენცლოვა, ტადეუშ დაბროვსკი, იულია ფიედორჩუკი, ნინო ხარატიშვილი, იური ანდრუხოვიჩი, აიზეკ მერიონი, ვერა პავლოვა და სხვები – ლიტერატურული წრეებისა თუ ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი მწერლები.

» ონლაინ ლიტერატურული ფესტივალი ინგლისურენოვანი ქვეყნებისთვის

Georgia’s fantastic tavern. Where Europe meets Asia

2021 წლის 25-28 თებერვალს ჩატარდა ონლაინ ლიტერატურული ფესტივალი 20-მდე ქართველი, ინგლისელი და ამერიკელი მწერლისა და ლიტერატურის კრიტიკოსის მონაწილეობით ბრიტანეთის ბიბლიოთეკასთან და ამერიკის ლიტერატურულ პლატფორმასთან – Words Without Borders თანამშრომლობით. სპეციალურად ფესტივალისთვის შეიქმნა ვებგვერდი www.georgiasfantastictavern.

com, რომელსაც ფესტივალის განმავლობაში 80-მდე ქვეყნიდან სტუმრობდნენ ვიზიტორები. ღონისძიებების ტრანსლაცია ხდებოდა ბრიტანული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე. ქართველი ავტორების რომანების თარგმანები განთავსდა ამერიკულ საერთაშორისო ლიტერატურულ პლატფორმაზე. ფესტივალის ფარგლებში ბრიტანულ ბიბლიოთეკასთან „მწერალთა სახლის“ თანამშრომლობა იყო პირველი პრეცედენტი, რაც ძალიან წარმატებული აღმოჩნდა ქართული ლიტერატურის ინგლისურენოვანი ქვეყნების მასშტაბით პოპულარიზაციისთვის. ფესტივალის შესახებ არაერთი გამოხმაურება და ბლოგი დაიწერა შემდეგ გამოცემებში: The Guardian, The Calvert Journal, British library blogs.

» ონლაინ ლიტერატურული ფესტივალი გერმანულენოვანი ქვეყნებისთვის

Georgiens erste Republik (1918-1921). Geschichte. Literatur. Kunst

2021 წლის 24-27 ივნისს ჩატარდა ონლაინ ლიტერატურული ფესტივალი 20-მდე ქართველი და გერმანელი მწერლის, ლიტერატურის კრიტიკოსის და ხელოვანის მონაწილეობით. გერმანიას განსაკუთრებული როლი აქვს საქართველოს პირველი დემოკრატიის აღიარების თვალსაზრისით და ღონისძიებების მთავარი თემა გერმანულ-ქართული მრავალწლიანი კულტურული ურთიერთობები იყო.

ფესტივალის ტრანსლაცია გაიმართა ბერლინის ლიტერატურულ სახლის Lettrétage ონლაინპლატფორმაზე, რაც უზრუნველყოფდა გერმანულენოვანი მსმენელის აქტიურ წვდომას ღონისძიებებზე. ღონისძიებები ჩატარდა ბერლინის ლიტერატურული სახლის Lettrétage, კონრად ადენაუერის ფონდის, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის, გერმანიაში საქართველოს საელჩოსა და იუნესკოს პროექტის „თბილისი – წიგნის დედაქალი 2021“ მხარდაჭერით.

» ონლაინ ლიტერატურული ფესტივალი ფრანგულენოვანი ქვეყნებისთვის

Voyage au Caucase – Géorgie

„მწერალთა სახლის“ ერთ-ერთი პრიორიტეტია ქართული ლიტერატურის ცნობადობის გაზრდა ფრანგულენოვან ქვეყნებშიც. ერთ-ერთი ასეთი მასშტაბური ღონისძიება იყო ონლაინ ლიტერატურული ფესტივალი ფრანგულენოვანი ქვეყნებისთვის 30-მდე ქართველი მწერლისა და ხელოვანის მონაწილეობით,

რომელიც 2021 წლის 2-4 დეკემბერს ჩატარდა. ფესტივალი მიეძღვნა საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთობების 100-წლიან ისტორიას (1921-2021). ფესტივალის პარტნიორები იყვნენ საფრანგეთის საელჩო საქართველოში, ფრანგული ინსტიტუტი, ფრანგული კულტურული მედია პლატფორმა Toute la culture და ფრანგული პიარ სააგენტო Trames.

» ქართველი ავტორების ხელშემწყობი პროგრამები / ლიტერატურული ტურები

ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის მიზნით ქართველი ავტორები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას მსოფლიოს სხვადასხვა ლიტერატურულ თუ სახელოვნებო სივრცეში დაგეგმილ ღონისძიებებში. ღონისძიების ფარგლებში ავტორები ცნობილ მოდერატორებთან ერთად საუბრობენ აქტუალურ თარგმანებზე და მართავენ პრეზენტაციებს, რაც მათი ცნობადობის გაზრდას უწყობს ხელს.

» ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა – 2007 წლიდან

2007 წლიდან საქართველო და ქართველ გამომცემელთა კოლექტიური სტენდები არაერთ საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე იყო წარმოდგენილი. ქართული ლიტერატურის და ქართველი ავტორების პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს ეროვნული სტენდების ორგანიზების პარალელურად, იმართებოდა ლიტერატურული ღონისძიებები როგორც უშუალოდ ბაზრობებზე, ასევე ქალაქის ლიტერატურულ სალონებსა თუ სივრცეებში. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა, რომელზეც საქართველო 2007 წლიდან იღებს მონაწილეობას. ყოველწლიურად იმართება დაახლოებით 10-20 ლიტერატურული და პროფესიული ღონისძიება ქართველი მწერლების, მთარგმნელებისა და გამომცემლების მონაწილეობით.

2018 წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგა, რაც დიდი მოვლენა იყო ქართული ლიტერატურის და კულტურის საერთაშორისო ასპარეზზე აღიარების თვალსაზრისით. პროექტის ფარგლებში მთელი წლის განმავლობაში 50 გერმანულენოვან ქალაქში 89 ავტორის მონაწილეობით 600 ლიტერატურული და კულტურული ღონისძიება

გაიმართა. ავტორებმა მონაწილეობა მიიღეს გერმანულენოვანი ქვეყნების 20-მდე ცნობილ და პოპულარულ საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დღეებში 250-მდე ღონისძიება გაიმართა საქართველოს პავილიონში, ბაზრობის ტერიტორიასა და ქალაქ ფრანკფურტში. ქართული ლიტერატურის და კულტურის შესახებ 7500-მდე გამოხმაურება დაიწერა გერმანულენოვან ონლაინ- და საგაზეთო გამოცემებში.

გარდა ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობისა, საქართველო მონაწილეობას იღებს ლაიფციგის (2012 წლიდან), ლონდონის (2013 წლიდან), ბოლონიის (2015 წლიდან) წიგნის ბაზრობებზე. 2021 წელს კი დაგეგმილია ეროვნული სტენდით წარდგენა გვადალახარას და თესალონიკის წიგნის ბაზრობებზე.

» ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი

საქართველო ყოველწლიურად მასპინძლობს ლიტერატურულ ფორუმ-დიალოგს გამომცემლებისთვის, მთარგმნელებისა და მწერლებისთვის. მისი მიზანია ხელი შეუწყოს როგორც უცხოური ლიტერატურის პოპულარიზაციას საქართველოში, ასევე ქართული ლიტერატურის ცნობადობის გაზრდას საზღვარგარეთ. აღნიშნული ღონისძიება ხელს უწყობს ქართველი და უცხოელი გამომცემლების კონტაქტების და თანამშრომლობის გაღრმავებას. 2011-2021 წლებში ფორუმ-დიალოგმა უმასპინძლა სხვადასხვა ქვეყნის 130-მდე უცხოელ გამომცემელს, მთარგმნელსა თუ ლიტერატურის აგენტს.

» სემინარები ქართველი გამომცემლებისთვის

„მწერალთა სახლისა“ და პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ყოველ-წლიურად იმართება სპეციალური პროფესიული სემინარები ქართველი გამომცემლებისთვის, რომელთაც საშუალება ეძლევათ ინტენსიური სემინარების ფარგლებში გაიზიარონ უცხოელი ექსპერტების გამოცდილება საგამომცემლო სექტორში და განავითარონ თავიანთი პროფესიული უნარ-ჩვევები.

» სემინარები მთარგმნელებისთვის და მთარგმნელობითი პროგრამა

„მწერალთა სახლის“ პრიორიტეტია ქართული ლიტერატურის უცხო ენებზე თარგმნის ხელშეწყობაც. სწორედ ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების ხარისხიანი თარგმანების მოსამზადებლად, 2014 წლიდან იმართება სემინარები უცხო ენებზე მთარგმნელთათვის თბილისსა და სხვადასხვა ევროპულ ქალაქში. მასში ყოველწლიურად მონაწილეობს საშუალოდ 10-მდე მთარგმნელი (ჯამში ამ წლების განმავლობაში 90-მდე მთარგმნელი). სემინარს ხელმძღვანელობენ გამოცდილი უცხოელი ექსპერტები.

გარდა ამისა, „მწერალთა სახლის“ მთარგმნელობითი პროგრამით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ ადგილობრივ თუ უცხოურ გამომცემლობას, რომელთაც ქართული ლიტერატურის უცხო ენებზე და უცხოური ლიტერატურის ქართულ ენებზე თარგმნა-გამოცემის სურვილი აქვთ. 2010-2021 წლებში ქართულ ენაზე ითარგმნა 90-მდე წიგნი, ქართველი ავტორების 550 წიგნზე მეტი კი 40-მდე ქვეყანაში გამოიცა.

» კატალოგები „წიგნები საქართველოდან“

2014 წლიდან ყოველწლიურად გამოიცემა კატალოგები, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ქართველი ავტორების ნაწარმოებების, ბიბლიოგრაფიის, უცხოენოვანი თარგმანების, საცდელი თარგმანების შესახებ. კატალოგები მიზნად ისახავს უცხოელი გამომცემლებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ქართველი ავტორების ნაწარმოებების საავტორო უფლებების გაყიდვისა და მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე მათი გამოცემის მიზნით. კატალოგებში წარმოდგენილია როგორც მხატვრული პროზა, ასევე პოეზია და არამხატვრული პროზა. ცალკე გამოიცემა საბავშვო-საყმაწვილო ლიტერატურის კატალოგიც.

» ილუსტრატორების „ვორკშოპები“

„მწერალთა სახლის“ ერთ-ერთი პრიორიტეტია ქართველი ილუსტრატორების ხელშეწყობა. 2014-2019 წლებში დაახლოებით 10-მდე პროექტი განხორციელდა ქართველი და უცხოელი ილუსტრატორების მონაწილეობით, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

» უცხოელი ჟურნალისტების მედიატურები

ქართული ლიტერატურისა და კულტურის გაცნობის მიზნით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში იმყოფებოდა 30-მდე ცნობილი ჟურნალისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი და ბლოგერი. ვიზიტის ფარგლებში ჟურნალისტები ხვდებოდნენ ქართველ ავტორებს, ლიტერატურის კრიტიკოსებს, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს. სტუმრობდნენ ლიტერატურულ ინსტიტუციებს, მუზეუმებს, სახელოვნებო ცენტრებსა და კულტურულ ორგანიზაციებს.

ვიზიტის შემდეგ საქართველოს შესახებ არაერთი სტატია და ბლოგი გამოქვეყნდა პროგრამის მონაწილე ჟურნალისტებისა და ბლოგერების მიერ, რაც ხელს უწყობს საქართველოს კულტურისა და ლიტერატურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ.

» დავით სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმი

2020 წელს „მწერალთა სახლში“ გაიხსნა დავით სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმი. სახლი, სადაც „მწერალთა სახლია“ განთავსებული, დავით სარაჯიშვილმა 1903-1905 წლებში ააგო. მუზეუმი განთავსებულია სარაჯიშვილისეული სახლის მეორე სართულის ორ ოთახში. მუზეუმის გახსნა ერთგვარი ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მცდელობაა დაუმსახურებლად დავიწყებული დავით სარაჯიშვილისა და ეკატერინე ფორაქიშვილის ხსოვნის წინაშე. მუზეუმში შესაძლებელია დავითისა და ეკატერინეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა კედლებზე დატანილი მათი ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი მომენტებით.

» რეპრესირებული მწერლების მუზეუმი

2021 წელს „მწერალთა“ სახლი გეგმავს რეპრესირებული მწერლების მუზეუმის გახსნასაც. „მწერალთა სახლი“, თავისი მრავალშრიანი ისტორიით ჩვენი უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი მეხსიერების ადგილია. საბჭოთა რევკომის ბრძანებით, 1921 წლის 28 თებერვალს დავით სარაჯიშვილისეული

სახლი, რომელიც იმ დროისთვის აკაკი ხოშტარიას ეკუთვნოდა, მწერალთა და ხელოვანთა გაერთიანებას გადაეცა. მიუხედავად იმისა, რომ შენობა წითელმა რევკომმა გადასცა მაშინდელ მწერლებს, სწორედ წითელმა ტერორმა იმსხვერპლა ამ სახლის პირველი ბინადარი უდიდესი ქართველი მწერლები და პოეტები. სწორედ ამიტომაცაა მნიშვნელოვანი „მწერალთა სახლის“ სივრცეში რეპრესირებული მწერლების ხსოვნისადმი მიძღვნილი მუზეუმის გახსნა.

» „მწერალთა სახლის“ გაზეთი

2013 წლიდან „მწერალთა სახლს“ შეუერთდა „ლიტერატურული გაზეთი“, რომელიც გამოდის თვეში ორჯერ და იყიდება მთელი საქართველოს მასშტაბით. მასში წარმოდგენილია თანამედროვე ქართული ლიტერატურა და დიდ ადგილს უთმობს დამწყებ ავტორებსა და მათ სადებიუტო ტექსტებს.

» კონკურსი სალიტერატურო პერიოდული ჟურნალების გამოსაცემად

თანამედროვე ლიტერატურის განვითარებისა და ხელშეწყობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ლიტერატურული პერიოდიკის არსებობა და ხელშეწყობა. იგი ხელს უწყობს ახალი ავტორების აღმოჩენას და გაცნობას მკითხველისთვის. თანამედროვე ლიტერატურული პროცესების თვალის მიდევნება და ამ პროცესების შუაგულში ყოფნა ლიტერატურულ პერიოდიკას კვლევისა და ლიტერატურის შესწავლისთვისაც უმნიშვნელოვანეს როლს სძენს. სწორედ ამიტომ, „მწერალთა სახლი“ რამდენიმე წელია აცხადებს კონკურსს სხვადასხვა ტიპის სალიტერატურო პერიოდული ჟურნალების გამოსაცემად.

2020 წელს კონკურსის წესით დაფინანსებული პერიოდიკა: „დილა“ (საბავშვო ჟურნალი); „შოკოლიტი“ (საბავშვო ჟურნალი); „ცისკარი“; „არილი“; „ახალი საუნჯე“; „აფინაჟი“ (რეგიონული ჟურნალი – გამოდის ზუგდიდში); „ებგური“ (რეგიონული ჟურნალი – გამოდის ქუთაისში)

» იუნესკოს პროექტი – „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021“

იუნესკოს პროექტის „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021“ ფარგლებში „მწერალთა სახლი“ 2021 წელს რამდენიმე პროექტს ახორციელებს: ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი უცხოელი გამომცემლებისთვის და ლიტერატურული აგენტებისთვის; ონლაინ ლიტერატურული ფესტივალები გერმანულენოვანი ქვეყნებისთვის; სარეზიდენციო პროგრამა მწერლებისთვის; რეპრესირებული მწერლების მუზეუმის გახსნა, გვადალახარას და თესალონიკის წიგნის ბაზრობებზე ეროვნული სტენდით მონაწილეობა.

» საქართველო სტუმარი ქვეყანა პარიზის წიგნის ბაზრობაზე

საქართველოს ოფიციალური მოწვევა აქვს პარიზის წიგნის ბაზრობიდან, წარდგეს პარიზის წიგნის ბაზრობაზე (Salon du Livre) სტუმარი ქვეყნის სტატუსით. საპატიო სტუმარი ქვეყნის წელი მოგვიანებით დაზუსტდება. საქართველო მთელი წლის განმავლობაში ფოკუსში მოექცევა და საშუალება მიეცემა, საფრანგეთის ლიტერატურულ და კულტურულ სივრცეებში გამართოს ღონისძიებები ქართული მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული ტრადიციების და კულტურული მემკვიდრეობის წარმოსაჩენად. საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით პარიზის წიგნის ბაზრობაზე მონაწილეობა ხელს შეუწყობს ქართული ლიტერატურული თარგმანების ფრანგულ ენაზე თარგმნის პროცესის გაძლიერებას და ქართველი ავტორების შესახებ ცნობადობის ამაღლებას ფრანკოფონიის ქვეყნებში.

4. რეკომენდაციები

ქართული წიგნის ბაზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია შემდეგი დასკვნებისა გაკეთება და რეკომენდაციების შემოთავაზება:

- ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოს წიგნის ბაზარიც საკმაოდ კომპლექსურია და არაერთ კომპონენტს აერთიანებს (გამომცემლობები, წიგნის მაღაზიები, დისტრიბუტორები, ბიბლიოთეკები, მკითხველები და ა. შ.), რომელთა წარმატებული საქმიანობა პირდაპირ დაკავშირებულია სფეროს განვითარებასთან. ბაზარზე არსებული მდგომარეობის გასაანალიზებლად და სამომავლო ნაბიჯების გადასადგმელად არსებითი მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, მსგავსი ტიპის პერიოდული კვლევების ჩატარებას, მეორე მხრივ კი, თავად კომპანიების სურვილს, მიიღონ მონაწილეობა მასში და ისაუბრონ არსებულ მიღწევებსა თუ პრობლემებზე. მიუხედავად იმისა, რომ ქართული წიგნის ბაზრის კვლევა 2013 წლიდან ტარდება და შესაძლებლობას აძლევს სექტორის წარმომადგენლებს, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან საბაზრო ტენდენციებზე, აღმოჩნდა, რომ კომპანიებს შორის კვლავ არსებობს უნდობლობა მის მიმართ. საკმაოდ რთული აღმოჩნდა ზოგი ორგანიზაციის მხრიდან კვლევისთვის აუცილებელი ცალკეული ინფორმაციის მიღება, კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიის მიუხედავად. პრობლემას წარმოადგენს კომპანიებში საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა ან მისი წარმოების გართულებული პროცესიც. შედეგად მოცემული ანგარიში ეყრდნობა ბაზრის მთავარ მოთამაშეთა უმრავლესობის, თუმცა არა ყველას მონაცემებს. ამის გამო შედეგები ზუსტად ვერ ასახავს ბაზრის მდგომარეობას, თუმცა მაქსიმალურადაა მიახლოებული მასთან. **იმისთვის, რომ მომავალში კიდევ უფრო სიღრმისეულად იქნას შესწავლილი წიგნის ბაზრის მდგომარეობა, რეკომენდებულია დარგის მონაწილეთა მიერ საკუთარი საქმიანობის შესახებ სრულყოფილი, ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების წარმოება და მათი გაზიარებისთვის მზაობა. ეს საშუალებას აძლევს დარგის განვითარებით დაინტერესებულ ორგანიზაციებს, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან არსებულ პრობლემებზე და გადადგან შესაბამისი ნაბიჯები მათ აღმოსაფხვრელად.**

- მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება წიგნების მრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობა, კვლევაში მონაწილე გამომცემლობების, დისტრიბუტორების და წიგნის მაღაზიების მონაცემებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ იმატებს წიგნის გასაყიდი ფასიც. მკითხველს საშუალება აქვს სრულიად უსასყიდლოდ ისარგებლოს ბიბლიოთეკით ან შედარებით ნაკლებფასიანი ალტერნატივა გამოიყენოს (მაგ., ელექტრონული წიგნის ჩამოტვირთვა), თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს უკანასკნელნი ნაკლებად უწევს კონკურენციას წიგნების შეძენას. შესაბამისად, მუდმივად მზარდმა ფასმა, შესაძლოა, მომავალში პრობლემები შეუქმნას ჩვენს მკითხველ საზოგადოებას. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ წიგნის მყიდველთა დიდი ნაწილი (≈70%) წლის განმავლობაში წიგნის შესაძენად არაუმეტეს 100 ლარს ხარჯავს. **აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, გამომცემლობებმა, წიგნის მაღაზიებმა და დისტრიბუტორებმა შეინარჩუნონ გონივრული ფასები წიგნებზე და/ან შესთავაზონ გარკვეული მარკეტინგული აქტივობები (ფასდაკლებები, აქციები), რაც წაახალისებს მკითხველთა მიერ სასურველი წიგნების შეძენის პროცესს.**

- საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა არის ქვეყნის ძირითადი ბიბლიოთეკა, რომელიც ყველაზე ზუსტად აღწერს ქვეყანაში შექმნილი წიგნების რაოდენობას ISBN კოდის დახმარებით. ამისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გამომცემლობების მიერ თითოეული დაბეჭდილი წიგნისთვის ISBN კოდის მინიჭება და სავალდებულო ეგზემპლარის მიწოდება ბიბლიოთეკისთვის. დღევანდელი მდგომარეობით ეს უკანასკნელი საკანონმდებლო დონეზე რეგულირდება. მეორე მხრივ კი, თავად ბიბლიოთეკა უნდა უზრუნველყოფდეს ყველა მიღებული წიგნის სათანადოდ აღრიცხვასა და მკითხველებისთვის ხელმისაწვდომ ონლაინკატალოგში განთავსებას. **აღნიშნულ მონაცემთა ბაზა წარმოადგენს საუკეთესო წყაროს საქართველოში წარმოებული წიგნების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მისაღებად, შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ მისი უწყვეტი განახლება. რეკომენდებულია, მოწესრიგდეს უკვე არსებული ბაზები (მათ შორის მუნიციპალიტეტების დონეზე) და დაიხვეწოს აღრიცხვის სტანდარტი მომავალში მიღებული წიგნების შესახებ მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის შესანახად.**

- შედარებით რთული ვითარება შეინიშნება რეგიონის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების შევსების პროცესში. თავად ბიბლიოთეკებს არ აქვთ უფლება შეიძინონ წიგნები ტენდერის გარეშე, რაც თავის მხრივ, რთულ პროცედურებთან და ბიუროკრატიასთანაა დაკავშირებული. ხშირ შემთხვევაში, ახალი წიგნების მიღების ერთადერთ გზად სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში ერთჯერადად მიღებული ვაუჩერები რჩება. იმის გამო, რომ არ არის წინასწარ განსაზღვრული, რა კატეგორიისა და ჟანრის წიგნებზე უნდა გაიხარჯოს აღნიშნული ვაუჩერები, ახალი წიგნების შერჩევა ცალკეული ბიბლიოთეკარის ლიტერატურულ გემოვნებაზეა დამოკიდებული. **აქედან გამომდინარე, აქტუალური ხდება რამდენიმე საკითხი: ერთი მხრივ, საჭიროა გაიზარდოს რეგიონის ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდების შევსების ინტენსივობა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ჩართულობით, მეორე მხრივ კი, მაქსიმალურად მიეწოდოს ინფორმაცია რეგიონულ ბიბლიოთეკებს ადგილობრივი მკითხველების გემოვნების და მოთხოვნების შესაბამისი ახალი გამოცემების შესახებ. ამისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ყველა ბიბლიოთეკაში სრულყოფილად აღიწერებოდეს მკითხველთა პრეფერენციები წიგნებთან დაკავშირებით. პროცესს კიდევ უფრო გაამარტივებდა მსგავსი სტატისტიკური ბაზის ციფრულ ფორმატში წარმოება.**

- მოცემული კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკვლევი სეგმენტი იყო მკითხველები და მათი კითხვის ჩვევა, რომლის შესწავლის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

  - კვლევაში მონაწილე ქალაქების 16 + მოსახლეობის 50%-ს ბოლო 1 წლის მანძილზე არც ერთი წიგნი წაუკითხავს;
  - მკითხველი მოსახლეობის ნახევარზე მეტი მინიმუმ კვირაში ერთხელ უთმობს დროს მხატვრულ თუ არამხატვრულ ლიტერატურას, საიდანაც 19% ინტენსიური, ყოველდღიურად მკითხველია;
  - მკითხველებზე წასაკითხი წიგნის შერჩევისას ყველაზე მეტად ზემოქმედებს ახლობლებისა და მეგობრების რეკომენდაცია, წიგნის შინაარსი და ანოტაცია და ძველი შთაბეჭდილება ავტორზე;
  - მკითხველთა 86,5% ძირითადად მხატვრულ ლიტერატურას კითხულობს. უფრო კონკრეტულად კი თანამედროვე ლიტერატურასა და კლასიკურ ნაწარმოებებს;

- ყველაზე პოპულარული ჟანრი რომანია, რომელიც ყოველი 10 მკითხველიდან 6-სთვის ძირითადი საკითხავი ჟანრია;
- თბილისის მოსახლეობის მიერ წაკითხული წიგნების საშუალო რაოდენობა 2-ჯერ უსწრებს რეგიონის მაჩვენებელს (15 წიგნი 7-ის წინააღმდეგ);
- ქართველი მკითხველი საზოგადოება თანაბრად კითხულობს როგორც ქართულ, ასევე თარგმნილ წიგნებს;
- გამოკითხულთა მიერ წაკითხული წიგნების მთავარი წყარო პირადი ან ოჯახის ბიბლიოთეკაა;
- მკითხველთა 67%-ს შეუძენია სხვადასხვა კატეგორიის ლიტერატურა 2020 წლის განმავლობაში;
- მკითხველთა აბსოლუტურ უმრავლესობას (86%) 200-ლარზე მეტი არ ჰქონია წიგნების შესაძენად გამოყოფილი გასულ წელს;
- წიგნის რეალიზაციის ობიექტს შორის უპირობოდ ლიდერობს წიგნის მაღაზიები;
- მკითხველები წიგნს უმთავრესად მისდამი ინტერესის გამო იძენენ;
- მკითხველების მსგავსად, წიგნის მყიდველებს შორისაც მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებულთა წილი საგრძნობლად აღემატება არამხატვრულის მოყვარულებს;
- გასულ წელს მხატვრული ლიტერატურის კატეგორიებიდან საზოგადოებას უმეტესად შეუძენია: თანამედროვე ლიტერატურა, კლასიკური ნაწარმოებები და საბავშვო წიგნები;
- ემთხვევა მკითხველი საზოგადოების მიერ ყველაზე აქტიურად წაკითხული და შეძენილი ჟანრიც – მხატვრული პროზა, კონკრეტულად კი – რომანი;
- გასულ წელს დიდ ქალაქებში მცხოვრებმა მკითხველებმა საშუალოდ 13 წიგნი შეიძინეს (უმეტესად ქართული და თარგმნილი);
- მკითხველთა 44% მინიმუმ 2-3 თვეში ერთხელ სტუმრობდა წიგნის მაღაზიებს პანდემიამდე, ბიბლიოთეკას კი 14%. ბიბლიოთეკაში სიარულისგან თავის შეკავების მთავარი მიზეზებია: დროის სიმცირე და საჭიროების არქონა;

- » მკითხველი მოსახლეობის მცირე ნაწილი (23%), რომელიც ბიბლიოთეკაში დადიოდა პანდემიამდე, მას ძირითადად წიგნის გამოსატანად, ადგილზე წასაკითხად ან სამეცადინოდ სტუმრობდა.

- საინტერესო იყო იმის დადგენაც, რამდენად და რა მიმართულებით იმოქმედა კოვიდპანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა წიგნის ბაზარზე:

  - » მკითხველთა ნახევარი (52%) კვლავ იმავე სიხშირით განაგრძობს კითხვას, როგორც მანამდე, მესამედმა გააააქტიურა კითხვის ინტენსივობა, 15%-მა კი შეამცირა. პანდემიას ფაქტობრივად არ უმოქმედია მკითხველების მიერ წაკითხულ ლიტერატურაზე;

  - » პანდემიის ნეგატიური გავლენა აისახა წიგნის შეძენაზე. მყიდველთა თითქმის ნახევარმა (48%) იმაზე ნაკლები წიგნი შეიძინა ამ პერიოდში, ვიდრე მანამდე, 41%-ზე მიმდინარე მოვლენებს გავლენა არ ჰქონია, 11%-მა კი გაზარდა შეძენილი წიგნების რაოდენობა; წიგნის შეძენის არხებზე პანდემიას უმეტესად გავლენა არ მოუხდენია. მოსახლეობის უმრავლესობა კვლავ განიხილავს წიგნის შეძენას უახლოესი 1 წლის მანძილზე;

  - » კვლევაში მონაწილე გამომცემლობებზე, წიგნის მაღაზიებსა და დისტრიბუტორებზე პანდემიას საკმაოდ დიდი ნეგატიური გავლენა ჰქონდა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მათი შემოსავალი. აღნიშნული განაპირობა როგორც კომპანიის შიგნით არსებულმა პრობლემებმა (ნაკლები მზაობა დისტანციურ მომსახურებაზე გადასასვლელად, ფინანსების არქონა ცვლილებების გასატარებლად, ახლებური სამუშაო პირობებისთვის არასაკმარისი კომპეტენცია, ა. შ.), ასევე გარე ფაქტორებმა (ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდება, მკითხველების მხრიდან წიგნზე მოთხოვნის კლება, ა. შ.).

შეიძლება ითქვას, პანდემიას გარკვეული დადებითი ეფექტიც ჰქონდა წიგნის ბაზარზე იმ მხრივ, რომ დააჩქარა კომპანიებში ბევრი მნიშვნელოვანი პროცესი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სფეროს განვითარება თანამედროვე სამყაროში (ონლაინმომსახურების დანერგვა, ვებგვერდების გაუმჯობესება, მომსახურების ხარისხის ამაღლება და ა. შ.).

კვლევის ფარგლებში გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის, „ეისითის“ გუნდი მადლობას უხდის „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციას“, „მწერალთა სახლს“, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას და მუნიციპალიტეტების ცენტრალურ ბიბლიოთეკებს, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას. ასევე, ყველა იმ გამომცემლობას, სადისტრიბუციო კომპანიას, სავაჭრო ობიექტს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას, ელექტრონული წიგნების მაღაზიასა და მკითხველს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ კვლევაში.